

ლ. ქალდანი, გ. სალუქვაძე

თოვლის ზოავები  
საქართველოში





### ლადო ქალდანი

გეოგრაფიის მეცნიერებათა  
დოქტორი

Lado Qaldani – Dr.Sci.in Geography.  
Ладо Калдани – Доктор географических  
наук.



### მანანა სალიკვაძე

პიდრომეტეორილოგიის ინსტიტუტის  
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი,  
გეოგრაფიის მეცნიერებათა  
აკადემიური დოქტორი

Manana Salikvadze – Academic Dr.Sci. in  
Geography.

Манана Салуквадзе –Академический д-р  
географических наук.

საქართველოს ფედერაციული უნივერსიტეტის  
პიღოვებულობის ინსტიტუტი

თოვზლის ზვავები საქართველოში

**Snow Avalanches in Georgia**

**Снежные лавины в Грузии**

თბილისი

2015

**ლადო ქალდანი**  
გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი

**მანანა სალუკვაძე**  
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის უფროსი  
მეცნიერ თანამშრომელი, გეოგრაფიის მეცნიერებათა  
აკადემიური დოქტორი

**Lado Kaldani**  
Dr.Sci.in Geography

**Manana Saluqvadze**  
Academic Dr.Sci.in Geography

**Ладо Калдани**  
Доктор географических наук

**Манана Салуквадзе**  
Академический доктор  
географических наук

**ISBN 978-9941-0-8452-2**

## მთავარი რედაქტორი

**ნოდარ ბეგალიშვილი**

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ჰიდროლოგიის  
განყოფილების გამგე, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი

**Editor in Chief N. Begalishvili**

**Главный редактор Бегалишвили Н.А.**

**რედ.კოლეგია:** თ.ცინცაძე, ლ.ინწკირველი,

მ.ტატიშვილი, გ.გუნია, გ.მელაძე, გ.გრიგოლია.

**Editorial Board:** T.Tsintsadze, L.Intskirveli, M.Tatishvili, G.Gunia,  
G. Meladze, G. Grigolia.

**Редакционная коллегия:**

ცინცაძე თ. თ., ინცკირველი ლ. ი., ტატიშვილი მ. ა.,

გუნია გ. ს., მელაძე გ. გ., გრიგოლია გ. ლ.

**რეცენზებები:** გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესიონალი ელიზბარაშვილი,  
ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი ავთანდილ ამირანაშვილი,  
ფიზ.-მათ. აკადემიური დოქტორი ვიქტორ ჩიხლაძე.

**Reviewer:**

Dr.Sci. in Geography **E. Elizbarashvili**,

Dr.Sci in fiz.-mat **A. Amiranashvili**,

Akademic Dr.Sci.infiz.-mat **V. Chikladze**.

**Рецензенты:**

Доктор географических наук, профессор **Е. Елизбарашвили**,

Доктор физ.-мат. наук **А. Амирранашвили**,

Академический доктор физ.- мат. наук **В. Чихладзе**.

(C)	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი Instituteof Hydrometeorology of the Georgian TechnicalUniversity Институт Гидрометеорологии Грузии	2015
-----	---	------

უაკ 551. 578.46

„თოვლის ზვავები საქართველოში“ მონოგრაფიაა ქართულ ენაზე, რომელშიც წარმოდგენილია ცნობები თოვლის ზვავებზე და აღწერილია მათი ჩამოსვლით გამოწვეული კატასტროფები, ზოგადად და მათ შორის, საქართველოში. განხილულია ატმოსფერული ნალექები, თოვლის საფარი, ზვავწარმომქმნელი ფაქტორები, ზვავების კლასიფიკაცია და ზვავსაწინააღმდეგო დონისძიებები.

UDC 551.578.46

“Snow Avalanches in Georgia” the monograph in Georgian presents information on snow avalanches and describes the hazards related with them in general and among them in Georgia. Atmospheric precipitation, snow cover, snow-slip generating factors, snow avalanche classification and snow-slip prevention measurers are discussed.

УДК 551.578.46

„Снежные лавины в Грузии“ монография на грузинском языке, в которой представлены сведения о снежных лавинах и описаны катастрофы вызванные сходом лавин в общем, в том числе и в Грузии. Рассмотрены атмосферные осадки, снежный покров, лавинообразующие факторы, классификация лавин и противолавинные мероприятия.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

<b>შესაფალი.....</b>	<b>6</b>
<b>ზვავებზე სპეციალური ტერმინების განმარტებები.....</b>	<b>8</b>
<b>თავი 1. ზოგადი ცხოველი თოვლის ზეავაზი; ზვავების მიერ გამოყვეული კატასტროფები და ზვავების შესრაბლა საძართველოში.....</b>	<b>13</b>
<b>თავი 2. თოვლის საზარი და საძართველოს ტერტიორიის დარაიონება თოვლიანობის მიხედვით.....</b>	<b>29</b>
<b>თავი 3 ზვავაზორმომმენები ზაქტორები; ზვავშემძღვანის მორგოლობიური კლასიფიკაცია და მორგომეტრიული მახასიათებლები, მათი დადგენის მეთოდები 47</b>	<b>47</b>
<b>თავი 4 ზვავები, კლასიფიკაცია წარმომნის მიხედვით, ზვავების ლინამიკური მახასიათებლები და მათი დადგენის მეთოდები, გაფასტროზული თოვლის ზვავები.....</b>	<b>50</b>
<b>თავი 5 ზვავსაშიში დასხლებული პუნქტები საძართველოში.....</b>	<b>53</b>
<b>თავი 6 ჟყვა საზარის როლი თოვლის ზვავების ზორირებაში.....</b>	<b>64</b>
<b>თავი 7 ზვავსაშიშოროების ოპერატორის მახასიათებლები და მათი გამოთვლის მეთოდები.....</b>	<b>73</b>
7.1. ტერიტორიის ზვავაქტიურობა.....	<b>73</b>
7.2. ზვავშემკრებების გავრცელების სისტორე.....	<b>85</b>
7.3. ზვავების ჩამოსვლის სისტორე.....	<b>93</b>
7.4. ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა.....	<b>106</b>
<b>თავი 8 საძართველოს ზვავსაშიში ტერიტორიის საზღვრები.....</b>	<b>115</b>
<b>თავი 9 საძართველოს ტერიტორიის დარაიონება ზვავსაშიშოროების მიხედვით.....</b>	<b>121</b>
<b>თავი 10 ზვავსაზინეაზღვებო ღონისძიებები, მათი კლასიფიკაცია. პასიური და აზტიური ღონისძიებები, ღრომებითი და კაპიტალური ღონისძიებები 131</b>	<b>131</b>
<b>ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა დანართი.....</b>	<b>152</b>
	<b>158</b>

## შესაგალი

გლაციოლოგია, რომელიც საბუნებისმეტყველო გეოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთ დარგს მიეკუთვნება, არის მოძღვრება თოვლ-მყინვარული რესურსების შესახებ. იგი ბერძნული სიტყვაა, *glacies* ნიშნავს ყინულს, ხოლო *logos* მოძღვრებას. კვლევის ობიექტს წარმოადგენს ბუნებრივი ყინული, თოვლის საფარი, მყინვარი, თოვლის ზვავი. როგორია მათი როლი და გავლენა ბუნებრივი გარემოს უკოლუციასა და ქვეყნის ეკონომიკაზე.

ჩვენს მიერ განხილულია თოვლი და თოვლის ზვავები. მნიშვნელოვანია მათი როლისა და გავლენის გათვალისწინება მთიანი რეგიონების ათვისებისას, კერძოდ, ინფრასტრუქტურის მოწყობის, ტურიზმის განვითარების, ტურისტული მარშრუტების დადგენის დროს. თოვლის ზვავების ჩამოსვლა, ნგრევისა და დიდი მატერიალური ზარალის გარდა, იწვევს ადამიანთა მსხვერპლს. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „ადამიანს აქვს უფლება მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგრმარეობის შესახებ“, ანუ ადამიანს, რომელიც ცხოვრობს ზვავსაშიშ ზონაში, აქვს სრული უფლება იცოდეს რა პირობებში მოუწევს ყოფნა და როგორ დაიცავს სახელმწიფო მის უსაფრთხოებას. კატასტროფების რისკის შემცირებას უკეთა დონეზე სჭირდება გადაწყვეტა. უნდა გაძლიერდეს აღრეული გაფრთხილების სისტემა, ასევე გასაათვალისწინებელია კატასტროფული შედეგები და რისკ-ფაქტორები. ბუნებრივი სტიქიური მოვლენებიდან ერთ-ერთი თოვლის ზვავია, რომლის ჩამოსვლაც ხშირ შემთხვევაში ფარალური შედეგით მთავრდება, ამიტომ ამ მოვლენის შესწავლა, მისი ბუნების გამოვლენა და ზვავსაშიშროების რაოდენობრივი მახასიათებლების დადგენა მეტად აქტუალურია.

ზამთრის თვეებში მოსული ატმოსფერული ნალექი, ხშირად, თოვლის სახით მოდის. მათი თანდათანობით დაგროვების შედეგად, იქმნება თოვლის სქელი საფარი, რომელიც მდინარეებსა და მიწისქვეშა წყლებს ასაზრდოებს. საქართვე-

ლოში საქმაოდ დიდია თოვლის წლიური მარაგი. თოვლის საფარი შეიცავს 22-24 მილიარდ მ<sup>3</sup> სასმელსა და მტკნარ წყალს. გარდა ამისა, თოვლით დაფარული ფერდობები და განსაკუთრებით, საქართველოს ზამთრის კურორტები – გუდაური, ბაკურიანი, 2010 წლიდან მესტია, 2015 წლიდან კი „გოდერძი“ (აჭარა), თავისი სილამაზით ბევრ დამსკვებელს იზიდავს. თუმცა, დიდ სარგებელსა და სილამაზეთან ერთად, თოვლი თავისი ბუნებით ვერაგია. ფერდობზე, ის ჯერ ნელა, მდორედ მოცურავს, თანდათან იკრებს სიჩქარეს და უცებ, სიჩუმე ირღვევა და გამაყრულებული გრუბუნით მოწყდება მთის ფერდობს თოვლის ზვავი, რომელიც თავის გზაზე ყველაფერს იტაცებს და შთანთქავს. ბუნების ეს მოვლენა ლიტერატურულ წყაროში „თეთრი სიკვდილის“ ან „თეთრი ურჩეულის“ სახელითაა ცნობილი, ხოლო ქართველმა პიდროლოგმა და გლაციოლოგმა, პროფესორმა ვასილ ცომაიმ მას „თეთრი ფათერაკი“ უწოდა.

ქართულენოვან ნაშრომში „თოვლის ზვავები საქართველოში წარმოდგენილია ზოგადი ცნობები თოვლის ზვავების შესახებ და აღწერილია ზვავებისაგან გამოწვეული კატასტროფები საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. განხილულია ატმოსფერული ნალექები, თოვლის საფარი, ზვავების კლასიფიკაცია, ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებები. წარმოდგენილია საქართველოს ტერიტორიის დარაიონება თოვლიანობისა და ზვავსაშიშროების მიხედვით, ასევე ზვავების წარმომქმნელი ფაქტორების ანალიზი.

მიგვაჩნია, რომ ეს ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს უმაღლესი სასწავლებლების სამსახურებლო, საბუნებისმეტყველო, ენერგეტიკისა და სხვა ფაკულტეტის სტუდენტებს, ასევე, მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობას, ტურისტებს, დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

მკითხველის ყველა შენიშვნა და სურვილი მაღლიერებით იქნება მიღებული და გათვალისწინებული.

## **ზვავებზე სპეციალური ტერმინების განმარტებები**

**გრუნტის ზვავი** – ნოტიო, გაზაფხულის ზვავი, რომელიც ნიადაგზე ან გრუნტზე ჩამოცურდება. ჩამოსულ ზვავში გვხვდება კლდის ნამსხვრევები, ხის მასალა, ნიადაგი.

**ზედაპირის ფენის ზვავი** – წარმოადგენს ზვავს, რომლის ჩამოსვლა იწყება თოვლის შიგნით რღვევით, რაც მთელი თოვლის მასის ჩამოშლას იწვევს.

**ზვავაქტიური (ზვავსაშიში) ფერდობი** – მთის ფერდობი, საიდანაც შესაძლებელია ზვავის ჩამოსვლა. ზვავაქტიური ფერდობის შეფარდება ტერიტორიასთან, ზვავაქტიურობის კოეფიციენტს წარმოადგენს.

**ზვავების შესწავლის მეთოდები** – მეტეოროლოგიურ ან თოვლსაზვავე სადგურებში იზომება ნალექის რაოდენობა, განისაზღვრება მისი ინტენსივობა, სხვადასხვა სიღრმეებზე იზომება თოვლის ტემპერატურა. საველე სამუშაოების ჩატარების დროს წარმოებს ზვავების რეგისტრაცია, კარტირება და ჩამოსული ზვავების აღწერა. ზუსტდება ზვავების გავრცელების საზღვრები, მათი განმეორადობა. ექსტრემალური პირობების დროს ხდება ზვავების ზომების შეფასება. სამეცნიერო კალევებზე მუშაობისას ახდენენ ზვავების მათემატიკურ მოდელირებას და ზვავსაშიშოების პროგნოზირების მეთოდებს აღიანგინ, განსაზღვრავენ ზვაგშემკრების მორფომეტრიულ და ზვავების დინამიკურ მახასიათებლებს.

**ზვავის აუზი** - ზვავშემკრებების სისტემა, ერთი გამოზიდვის კონუსით.

### **ზვავების დანალექი**

1. ხეობის ძირში ან მოპირდაპირე ფერდობზე გამოტანილი თოვლის მასა, რომელშიც გვხვდება ქვა, გრუნტი, ბუჩქისა და ხის ნამტვრევები. ასეთი დანალექის სიმაღლე, რიგ შემთხვევაში, ათეულ მეტრს, ხოლო მოცულობა – მილიონ მ³ აღწევს;

2. ორგანული და მინერალური ნარჩენები, რომლებიც ზვავის თოვლის დნობის შემდეგ რჩება.

**ზვავის გამოტანის კონუსი** – ეს არის: 1.ზვავის გაჩერების და გამოტანილი თოვლის დაგროვების ადგილი, რომელიც

შესაძლებელია მოპირდაპირე ფერდობზეც აღმოჩნდეს; 2. ზვავის მიერ გამოტანილი ნაშალი მასალის დანალექი, რომელიც თოვლის დნობის შემდეგაც რჩება, ხეობის ძირში ან მოპირდაპირე ფერდობზე.

**ზვავების გეობოტანიკური ნიშნები** – ზვავაქტიურობის პვალია რომელიც გამოიხატება: მცენარეული საფარის დაზიანებით ან განადგურებით, ტყის ფორმაციების ცვლილებით, რელიეფში მკვეთრად გამოხატული ზვავების მიერ გაკაფული ტყით, განსაკუთრებით, ფერდობზე გადაწოლილი ფოთლოვანი ჯიშებით, ასევე, წიწვოვან ტყები შერეული ტყით და შედარებით ახალგაზრდა ტყის არსებობით. ამ ნიშნებს მიეკუთვნება კენტეროწამტვრეული ხეები, ზვავის კონუსები ხის ტოტების არსებობა, ხეების დაზიანება.

**ზვავების გეომორფოლოგიური ნიშნები** – მთიანი რაიონის ციცაბო ფერდობზე რელიეფში გამოხატული ფორმა, რომელიც, ძირითადად, სველი ზვავების ჩამოსვლის შემდეგ გვხვდება. ზვავების გეომორფოლოგიური ნიშნები კარგად ჩანს: ზვავის კერაში, ხევში, ზვავის გამოზიდვის კონუსში, ზვავის ტრანზიტის ზონაში, კონუსის ფორმის ხევებში, რელიეფის ეროზიულ და აკუმულაციურ ისეთ ფორმებში, როგორიცაა კ.წ. ზვავის ბორცვი, სერი, მიწაჟრილი.

**არის ზვავის კერა (ზვავის წარმოქმნის ადგილი)** – ზვავშემკრების ზედა, ფერდობის უმეტესად ჩაღრმავებული და გაფართოებული ნაწილი, საიდანაც თოვლის ზვავის ჩამოსვლა იწყება.

**ზვავის საპაერო ტალღა** – მოვლენა, რომელიც ზვავის ჩამოსვლის შემდეგ, იწვევს ზვავის მოქმედების ზონის გარეთ ნერგვას, მას ზვავის ქარს ან ქარბორბალასაც უწოდებენ. ზვავის საპაერო ტალღა, ძირითადად, უკაგშირდება კ.წ. მტვრიან ზვავს, თუმცა სხვა ტიპის ზვავებისთვისაც არის დამახასიათებელი.

**ზვავის დარი (დარის ზვავი)** – ფერდობზე დარის ფორმის რელიეფის უარყოფითი ფორმა, რომელიც ზვავშემკრების შუა ნაწილს წარმოადგენს. ის ზვავის ტრანზიტის ზონაცაა, რომელიც მპევთრად არის გამოხატული რელიეფში და შე-

საძლებელია ზვავის კერასა და ზვავის კონუსს შორისაც არსებობდეს.

**ზვავის ხელოვნური დარი** – მოწყობილობა, ზვავების დინამიკური მახასიათებლების მოდელირებისათვის. იგი წარმოადგენს მეტალის ან ხის დარს, მას მიერთებული აქვს გადამცემი სისტემა, რომელიც ოვალის მასის მოძრაობას აღწერს. შვეიცარიაში, კავკასიის ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში და სახალინზე ასეთი დარის საშუალებით ზვავის დარტყმის ძალის განსაზღვრა ხდებოდა.

**ზვავის ხელოვნური ჩამოშვება** – საჭირო დროსა და ადგილზე, მოსახლეობისა და სხვადასხვა ობიექტის ზვავებისაგან დაცვის დონისძიება. არსებობს რამდენიმე ხერხი: ა) ზვავშემკრების მიმართულებით იარაღიდან, ნაღმების გასროლა; ბ) ზვავსაშიში ფერდობის სპეციალური მუხტით აფეთქება; გ) ოვალის კარნიზის მოხერხვა; დ) სპეციალური საინჟინრო მეთოდების გამოყენება, მაგალითად, ვიბროსტენდი, მუდმივმოქმედი ასაფეთქებული კამერები, და სხვ. ყველა ეს დონისძიება, უსაფრთხოების ზომების სრული დაცვით უნდა ჩატარდეს.

**ზვავმცოდნეობა** – დარგი, რომელიც შეისწავლის ოვალის სტრუქტურას, ფორმირების მექანიზმს და ოვალის ზვავების ჩამოსვლას, ასევე პროგნოზირების და ზვავებთან ბრძოლის მეთოდებს. განსაზღვრავს ფერდობზე თოვლის არამდგრადობის პირობებს, ზვავსაშიშროების ფაქტორს და ზვავების ჩამოსვლის მიზეზს, ზვავის გადაადგილებისა და გატყორცნის სიშორეს, ზვავების გავლენას გარემოზე. ზვავების შესწავლისთვის გამოიყენება ფიზიკური, მათემატიკური და გეოგრაფიული მეთოდები. შემუშავებულია ზვავსაშიში ტერიტორიის დარაიონების პრინციპები, ზვავსაწინააღმდეგო პასიური და აქტიური დონისძიებები. ზვავებს სწავლობენ შემდეგ ქვეყნებსა და რეგიონებში: შვეიცარია, აშშ, იაპონია, კანადა, საფრანგეთი, ავსტრია, ჩეხეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, ჩრდილო კავკასია, შუა აზია, რუსეთი, საქართველო.

**ზვავსაშიში პერიოდი** – დროის ინტერვალი, რა დროსაც ოვალდაგროვების პირობები და ფერდობზე ოვალის მექანი-

კური მდგრადობა, იწვევს ზვავის ჩამოსვლას. უმეტესად, ზვავის ჩამოსვლის მიზეზი ხდება, მაგალითად, ხის ტოტიდან თოვლის ჩამოვარდნა, თოვლის კარნიზის ჩამოშლა, თოვლიდან ან სხვა სახეობის იარაღიდან გასროლა და სხვა. ზვავების წარმოქმნის პირობებს ზვავსაშიში პერიოდის დროს, ზვავსაშიში სიტუაციასაც უწოდებენ.

**ზვავსაშიში ტერიტორია** – ზვავების შესაძლებელი ჩამოსვლის ტერიტორია, სადაც თოვლის საფარი, რელიეფის ხასიათი და ფერდობების დახრილობა, ხელსაყრელ პირობებს ქმნის ზვავების ჩამოსვლისთვის.

**ზვავშემკრები** – მთიანი ფერდობისა და ხეობის მონაკვეთი, სადაც წარმოიქმნება, გადაადგილდება და ჩერდება ზვავი. უმეტესად, ზვავის გადაადგილება რელიეფის უარყოფით ფორმებში ხდება, თუმცა შესაძლებელია, რომ ზვავშემკრებს მცირედ დანაწევრებული რელიეფიც წარმოადგენდეს. ზვავის გაჩერების ადგილი – რელიეფის დადებითი ფორმაა. ზვავშემკრები შეიძლება იყოს, როგორც რთული, ისე მარტივი. რთულ ზვავშემკრებს გააჩნია, ზვავების ჩასახვის რამდენიმე ზონა.

**თოვლის დაფის ზვავი** – თოვლის ფენისაგან წარმოიქმნება, რომელსაც შეჭიდულება გააჩნია და შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს გარდვევას. იგი იწვება თოვლის მოწყვეტით დიდი ფართობიდან. მოწყვეტის ხაზი წარმოადგენს საფეხურს, რომელიც ფერდობის ზედაპირის პერპენდიკულარულად მდებარეობს. მოძრაობისას, ზვავის ნაწილები შეიძლება დაიშალონ და წარმოქმნან საპარტო ტალღა.

**თოვლის ზვავი** – ფერდობიდან, სიმძიმის ძალის გავლენით მოწყვეტილი, გარკვეული მოცულობისა და სიჩქარის თოვლის მასა.

**თოვლის ზვავების კადასტრი** – წარმოადგენს სისტემატიზებულ საცნობარო მასალას ზვავების გავრცელებასა და რეჟიმზე. აქ წარმოდგენილია ზვავშემკრებების კატალოგი და ინფორმაცია ზვავების ჩამოსვლის, ადგილისა და დროის შესახებ. კადასტრი მთიანი რაიონებით დაინტერესებული ორგანიზაციებისთვისაა განკუთვნილი.

**ინსოლაციური ზვავი** – სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, ათბობის დროს თოვლის დნობის შედეგად წარმოიქმნება.

**კატასტროფული ზვავი** – როგორც სპორადული, ისე სისტემატური ზვავია, რომელიც სცილდება თავის ჩვეულ საზღვრებს. მისთვის დამახასიათებელია ნგრევა და ადამიანთა მსხვერპლი. საქართველოში ასეთი ზვავები ტერიტორიის 36%-ზე კოცელდება.

**რელიეფში გამოხატული ზვავის ფორმა** – მთიანი რელიეფის ფორმა, რომელშიც წარმოიქმნება ზვავი ან თავად, ზვავის ჩამოსვლის შედეგად წარმოქმნილი რელიეფი, რომელიც ეროზიული ან აკუმულირებული ხასიათისაა – მაგალითად: ეროზიული დრმულები, დარები, დაუნაწევრებული 14-15<sup>0</sup>-ზე მეტი დახრილობის ფერდობი. აკუმულირებული ფორმა წარმოიქმნება ზვავის მიერ გამოტანილი ნაშალი მასალისგან. ეს არის ზვავის გამოზიდვის კონცესი ხეობის ძირში, 5-7 მ-ის სიმაღლეზე აზირთული გამოტანილი ნარჩენებით.

**სისტემატური ზვავი** – ყოველწლიურად ჩამოსული ზვავი. საქართველოში ასეთ ზვავებს ტერიტორიის 20% უკავიათ.

**სპორადული ზვავი** – იშვიათი განმეორადობის ზვავი, რომელიც შესაძლებელია 2-3 წელიწადში ან ათეულ წელიწადში ერთხელ ჩამოვიდეს.

**ფხვიერი თოვლის ზვავი** – მშრალი თოვლისგან წარმოქმნილი ზვავია, რომელსაც შეჭიდულობის ძალა არ გააჩნია. იგი, ძირითადად, წერტილოვან ზვავს წარმოადგენს.

**დარის ზვავი** – წარმოადგენს ზვავს, რომელიც ეროზიულ დარში ან დარტაფში გადაადგილდება [31].

## თავი 1. ზობადი ცხვენი თოვლის ზეპეპხე; ზეპეპის მიერ გამოწვეული კატასტროფები და ზეპეპის შესრაც- ლა საქართველოში

რომაელები ბუნების რთულ მოვლენას – ზვავს, “moles nivium” უწოდებდნენ, რაც თოვლის გროვას ნიშნავს, ხოლო მოგვიანებით “casus nivium”, რაც თოვლის კაზუსის აღმნიშვნელია. VI საუკუნიდან სიტყვა „ზვავი“ გვხვდება მეცნიერულ ტრაქტატებსა და სამეცნიერებლოւ ჩანაწერებში. მრავალი მწერლის ნაწარმოებშია აღწერილი ბუნების ეს ვერაგული მოვლენა. ფრიდრიხ შილდერი თავის პოემებში „ვილპელმ ტელი“ და „მთის სიმღერა“ ზვავების მრისხანე ბუნებას გვიჩვენებს. ალექსანდრე პუშკინი ცნობილ ლექსებში „გავასია“ და „მეწყერი“ ზვავების ჩამოსვლის სურათს და მდინარე თერგის ჩახერგვას ასახავს. ალექსანდრე გრიბოედოვი იხსევნებს რა, თავის მოგზაურობას საქართველოს სამხედრო გზაზე, ზვავების ჩამოსვლის მოულოდნელობაზე აკეთებს აქცენტს. მიხეილ ლერმონტოვის „კავკასიელ ტყვეში“, აღწერილია ზვავების ჩამოსვლისა და ხეობების დაფარვის სურათი. ქართველი მწერლების – ალ. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, რევაზ ინანიშვილის და სხვათა ნაწარმოებებში გადმოცემულია ზვავების ჩამოსვლა. ქართველ კაცს ბუნების ამ მოვლენასთან დაკავშირებით ხშირად უმედობა ეუფლებოდა და შეელას დემრთს შეხთხოვდა: „ამ ქვეყნად ყველა აღმართი უფლის იმედით ვიარე, ხან ზვავმა გადამიარა, ხან ზვავზე გადავიარე, უფალი მეხმარებოდა, ის მიშუშებდა იარებს“...

თურქი მწერლის თუნჯერ ჯუჯენოდლუს (Tunger Cücenoglu) ნაწარმოებში „ზვავი“ ნაჩვენებია თურქეთის მთიანი დასახლების მოძინადრეთა შიში და ზვავის ჩამოსვლასთან დაკავშირებული კატასტროფის მოლოდინი. ეს განცდა იმდენად ძლიერია, რომ ზამთრის პერიოდში, დასახლებაში დასაშვები იყო, მხოლოდ ჩურჩულით საუბარი და არავის უნდა ემშობიარა, რათა სამშობიარო ტკივილებით გამოწვეულ კივილს არ გამოეწვია ზვავის ჩამოსვლა. პირობის დარღვევის შემთხვე-

ვაში, დანარჩენ მობინადრეთა გადარჩენის მიზნით, მშობიარე ეს სასიკვდილოდაც კი იმეტებდნენ.

ერნესტ პეტიონუეი, რომელიც შესანიშნავი მოთხილამურე იყო, პირველი მსოფლიო ომის დროს ავსტრია-იტალიის ფრონტზე იმყოფებოდა. იგი წერდა: „ზამთრის ზვავებს არა აქვთ მეტსახელი, ისინი მოულოდნელი, საშინელი და სასიკვდილოა“.

მე-18 საუკუნის დასაწყისში, თოვლის ზვავის მეტად საინტერესო განმარტება მოგვცა სულხან-საბა ორბელიანმა თავის ლექსიკონში: „თუცა თოვლის სიმრავლე მთამ ვერ იტვირთა და ახალი თოვლი ჩამო(ი)ზვლა, იგი არის შვავი; და თუ გაზაფხულ თოვლი შეეინული ჩამო(ი)ზვლა, მას უწოდებენ ზვავს“ [10]. განმარტებაში არა მხოლოდ ზვავის არსი, არამედ მისი გენეზისიცაა წარმოდგენილი – ერთმანეთისაგან განსხვავებულია ახალმოსული და ძველი თოვლის ზვავი.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოსახლეობას გააჩნია ზვავის შესატყვისი ტერმინები. მაგალითად, ალპების მობინადრენი, რომლებიც გერმანულ ენაზე საუბრობენ, ზვავს „ლაუ“, „ლან“, „ელაუნს“ უწოდებენ. ბულგარეთში ზვავს „პრესნი“ ან „სოსაი“ ჰქვია. რუსულ ენაზე „лавина“, რაც ძელგერმანული ენის lavine-ის გავლენაა.

საქართველოს კუთხეებში თოვლის ზვავს სხვადასხვა სახელით მოიხსენებენ. მაგალითად, აჭარაში ახალმოსული თოვლის ზვავს „ცანცარს“ უწოდებენ, სვანეთში ძველი თოვლის ზვავს – „მელგიმ ქაძ“ (მიწის ზვავი), ხოლო ახალმოსული თოვლის ზვავს – „ბიქვიშ ქაძ“ (ქარის ზვავი) [2]. მთის მოსახლეობის მწარე გამოცდილებამ განაპირობა ის, რომ განსაკუთრებით საშიში ზვავების ჩამოსვლის ადგილებს, საკუთარი სახელიც კი აქვთ. მაგ. მდ. ტეხურის აუზში – „ზვავისღელე“, „ნაზვავი“ – მდ. აჭარისწყლის აუზში, „მანჩხავ“ – მდ. ენგურის აუზში, „აჩიშხო“ – მდ. არაგვის აუზში. „ბოდო“, „პისლაია“, „პულაგინი“, „მაიორშა“, „პერსიცკაია“, „პაზაჩი“ და სხვა – საქართველოს სამხედრო გზაზე ჩამოსული ზვავების დასახელებად. „იფნიანხევის“ ზვავი არის ხევსუ-

რეთში, დიდი და პატარა „სასადილოს“ ზვავები რაჭაში (უწერა) და სხვა.

საქართველოს სამხედრო გზაზე, როგორც უკვე აღნიშნეთ, ზვავებს საკუთარი სახელები გააჩნიათ. მაგალითად, სახელი „მაიორშა“ დაკავშირებულია მაიორის ცოლთან, რომელიც ამ გზაზე, ზვავის შედეგად, თავის ეკიპაჟთან ერთად დაიღუპა. სანკტ-პეტერბურგის დელეგაცია, ალექსანდრე გრიბოედოვის სპარსეთში დაღუპვის შესახებ შეტყობინებით მოდიოდა თბილისში, ზვავის ქვეშ მოყვა და ამ ადგილს „პერსიცკაია“ უწოდეს.

სხვადასხვა ქვეყანაში, ესა თუ ის დასახელება მიუთითებს რაიონის ან ადგილის ზვავსაში შროებაზე. მაგალითად, ალექსი გვხვდება ისეთი დასახელებები, როგორიცაა „ვალე ლავინუაზ“ (ზვავის ხეობა), „ლანერ-კოპფი“ (ზვავის თავი), „ლანის ტყე“ (ზვავის ტყე). კავკასიაში – „სახნაი კომ“ (ზვავის ხეობა), „ზეინგალან ხოხ“ (მთა, საიდანაც ყოველწლიურად ჩამოდის ზვავი).

თოვლის ზვავი ვერაგი ბუნებისაა, იგი ზოგჯერ 50-100 წელიწადში ერთხელ მეორდება, რამაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს ძალზე გამოცდილი დამპროექტებელი. ხშირ შემთხვევაში, ზვავსაში შენდება ძვირადდირებული საინჟინრო ნაგებობები, რომლებიც ზვავმა შესაძლებელია გაანადგუროს.

ზვავისგან გამოწვეული ზარალის შესახებ, მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ჯერ კიდევ, ჩვენს ერამდე 218 წელს, ზვავებით გამოწვეულ ტრაგედიას, როდესაც კართაგენელებმა გადაწყვიტეს ალპების დალაშქერა, აღწერს რომაელი ისტორიკოსი პოლიქეი: „ეს ლაშქრობა 33 დღეს გაგრძელდა. თავდაპირველად მეომართა რიცხვი 80 ათას ქვეითს, 12 ათას მხედარს და 37 სპილოს შეადგენდა. ჩრდილოეთ იტალიაში, მდინარე პოს ხეობაში, ზვავებისგან და ქარბუქის შედეგად, ხეობიდან გამოსვლის შემდეგ, კართაგენელთა რაოდენობა 20 ათასი ქვეითი, 6 ათასი მხედარი და 1 სპილო იყო“ [49].

ალპებში, ზვავებით გამოწვეული, არაერთი უბედური შემთხვევა არის ცნობილი. შუასაუკუნეების პერიოდის ლიტერატურაში აღწერილია ეპისკოპოს რუდოლფის მრევლის დაღუპვის ფაქტი, როდესაც ისინი 1129 წელს, აღდგომის დღესასწაულზე მიემგზავრებოდნენ რომში, დიდი სან-ბერნარის ულელტებილის გავლით. ცალკეული შემთხვევები, ალპებში ზვავის შედეგად დაღუპულ პირთა შესახებ, გვხვდება ვალტერ ფლაიგის წიგნში „ეურადღება, ზვავები“[55]. ზვავებთან ჰიდილი 1799 წლის ნოემბერში, რუსეთის არმიის ნაწილს, რომელსაც ა. სუვოროვი ხელმძღვანელობდა, ალპებში ულელტებილზე გადაადგილებისას მოუხდათ. ზვავების შედეგად, ბევრი მათგანი დაიღუპა.

მე-20 საუკუნეში, კიდევ ერთი კატასტროფა ალპებში, პირველი მსოფლიო ომის დროს, ავსტრია-იტალიის ფრონტზე მოხდა. ზვავების შედეგად რამდენიმე ათასი ჯარისკაცი დაიღუპა, გაცილებით მეტი, ვიდრე ბრძოლების დროს. ალპებში, სხვადასხვა წლებში ჩამოსული ზვავებიდან, გამოირჩევა 1916 წლის 16 დეკემბრის „შავი ხუთშაბათი“. ამ დღეს, 6 ათასზე მეტი ჯარისკაცი შეიწირა ზვავმა. 1916-17 წწ. ზვავების შედეგად, 10 ათას ადამიანზე მეტი დაიღუპა.

თოვლის ზვავების შესახებ მონაცემები ისლანდიაშიც მოიპოვება. 1118 წელს, ზვავებმა შეიწირა 5 ათასი ადამიანი, 1613 წლის 24 დეკემბერს – 50 ადამიანი, ხოლო 1800 წელს – 500 ადამიანი. დაინგრა 470 საცხოვრებელი სახლი, დაიღუპა 3500 სული საქონელი. ნორვეგიაში 1679 წელს, ზვავების დროს 500, 1755 წელს – 200, 1955-56 წწ. – 30 ადამიანი დაიღუპა.

ევროპაში ალპები ითვლება ზვავების ჩამოსვლის ერთ-ერთ გამორჩეულ აღგილად. 1970 წელს, საფრანგეთის ალპებში ზვავმა დაანგრია სასტუმრო „ვალ-დ’იზარი“. ზვავის შედეგად 200 ტურისტი დაიღუპა, ხოლო მეორე ზვავმა, სან-შერვეს ბავშვთა სანატორიუმი დაანგრია, რამაც 80 ბავშვი და სანატორიუმის მომსახურე პერსონალი იმსხვერპლა. 2015 წლის 15 სექტემბერს, საფრანგეთის ალპების პერვეს რაიონ-

ში, 4000 მ-ის სიმაღლიდან ჩამოწოლილმა ზვავმა 7 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო ერთი – დაშავდა.

ზვავსაში შროების უგულველყოფის მაგალითია, 2015 წლის 31 იანვარს, 7 ადამიანის დაღუპვა შვეიცარიის ალპებში. ამავე წლის 2 თებერვალს, ზვავმა კიდევ 10 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ორივე შემთხვევაში, გაფრთხილება ზვავმაში შრიების შესახებ, გათვალისწინებული არ იყო.

აშშ-ში ზვავებისაგან გამოწვეული კატასტროფები ეწ. „ოქროს ციუბ-ცხელების“ პერიოდს უკავშირდება. 1874 წელს ქალაქ ალტასთან, ზვავების შედეგად, 60 ადამიანი დაიღუპა. 1910 წლის მარტში, სტივენსის უდელტეხილის რაიონში ზვავების გამო ვაშინგტონის შტატში სამი მატარებლის ბლოკირება მოხდა. ზვავები იმ ფერდობზე ჩამოვიდნენ, სადაც ტყე ხანძრისგან იყო განადგურებული, ხოლო მანამდე ველინგტონის ნახევარკუნძულზე, ზვავები არ დაიკვირვებოდა. სტიქიამ სამგზავრო და საფოსტო მატარებელი ჯართად აჭცია, დაიღუპა ასამდე ადამიანი.

იმავე წელს, კანადაში ზვავებისგან 62 ადამიანი დაიღუპა, რომელიც ცდილობდნენ ტრანსკანადური რკინიგზის ხაზი გაეწინდათ თოვლის დიდი მასისგან.

აშშ და კანადის არაერთი დასახლებული პუნქტი, აღმოჩენილა ზვავების ტყვეობაში. მაგალითად, კოლორადოს შტატში ქალაქი ტგინ-ლეიკი, 1962 წლის 21 იანვარს, კოლუმბიაში – გრანდ-დიუკმანი 1965 წლის 18 თებერვალს და დასახლება ტერასი 1974 წლის 22 იანვარს.

აზის ქვეყნებში, ზვავებით გამოწვეული კატასტროფების ფიქსირება არ წარმოებს. თუმცა, არსებობს ცალკეული პუბლიკაციები, მაგალითად, თურქეთში, ირანში, ავღანეთში და ნეპალში ზვავების ჩამოსვლისა და ზარალის შესახებ. ევერესტზე ამსვლელი ალპინისტებიც, არაერთხელ გამსდარან ზვავების ჩამოსვლის მსხვერპლი მაგალითად, 2014 წლის 20 აპრილს, ევერესტის დალაშქვრისას, ზვავის შედეგად 16 ალპინისტი დაიღუპა. ზვავების გამომწვევი მიზეზი, შესაძლებელია, მიწისძვრაც იყოს. ამის ნათელი მაგალითია, 2015 წლის 26 აპრილს, ნეპალის მიწისძვრით გამოწვეული, ევერესტიდან

ჩამოწოლილი ზვავი, რომელმაც 65 ადამიანი იმსხვერპლა, ხოლო 60-მა ალპინისტმა დაზიანება მიიღო.

პიმალაიზე ზვავებზე დაკვირვება, ინდოეთის არმიის მიერ, პირველად 1960 წელს დაიწყო, ინდოეთ-ჩინეთის საზღვარზე საომარი მოქმედების გამო. 1969 წელს შეიქმნა სპეციალური რაზმი, რომელიც ზვავებზე სისტემატურ დაკვირვებას აწარმოებდა. 1973 წელს, ერთი ასეთი ჯგუფი მოხვდა ზვავის მოქმედების არეში 2 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 20 სერიოზულად დაშავდა.

პაკისტანში, პიმალაის მასივის ინდოეთის საზღვართან, ქაშ्मირის ოლქში, 2012 წლის 7 აპრილის მონაცემებით, ზვავის ქვეშ მოექცა სამხედრო ბანაკი 130 ჯარისკაცით. როგორც პრესიდან გახდა ცნობილი, 100-მდე ჯარისკაცი დაიღუპა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში, ნალჩიკის მაღალმთიანი ინსტიტუტის დირექტორს მ. ზალიხანოვს, ავღანეთში თოვლის ზვავების, სამხედრო მიზნით, ჩამოშვების გამო, მიენიჭა გმირის წოდება.

ავღანეთის ფანჯშირის პროვინციაში, 2015 წლის 27 ოქტომბერვალს, ზვავმა 187 ადამიანი იმსხვერპლა, ხოლო ნურისტანის პროვინციაში – ერთი ოჯახის 14 წევრი.

იაპონიაშიც გვხვდება ზვავებისაგან გამოწვეული კატასტროფები. 1938 წელს, საიადანში ზვავმა სახლის მეორე სართული დაანგრია, დაიღუპა 73 ადამიანი. იაპონიის, არცოუ მაღალმთიან ნაწილში, სხვა წლებშიც აღინიშნებოდა კატასტროფები.

უველა, ზემოთ აღწერილი შემთხვევისაგან, განსაკუთრებით, გამოირჩევა სამხრეთ ამერიკაში პერუს კატასტროფა. უასკარანის (ანდების) მთიდან მოწყდა 2-3 მილიონი მ³ ყინული და თოვლი,. აღნიშნულმა მასამ, 7 წუთში 16 კმ მანძილი გაირბინა და დაფარა სოფელი რანრაირკა, შედეგად, 4 ათასი ადამიანი დაიღუპა. 1970 წლის 31 მაისს, მიწისძვრის გამო, უასკარანიდან დაძრული ზვავი, ქვემოთ არსებულ მყინვარს დაეჯახა, მოწყვიტა ყინულის დიდი მასა და ქალაქ იუნგას

20 ათასი მცხოვრებისგან, მხოლოდ რამდენიმე ადამიანი გადაურჩა თოვლისა და ყინულის ტყვეობას.

კავკასიაში ზვავების შესახებ ინფორმაცია, ჯერ კიდევ 2000 წლის წინ, სტრაბონის „გეოგრაფიაში“ მოიპოვება. მდიდი ზელენჩუკის ხეობაში, არხიზის მიდამოებში, XIII საუკუნეში ალანების დიდი სოფელი გაანადგურა ზვავება. ასევე, რუსეთის არმიის დიდი ნაწილი განადგურდა 1817 წელს იალბუზის მიდამოებში.

ზვავები არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ კოლის ნახევარკუნძულზეც (ხიბინებში) აღინიშნებოდა. ლიტერატურიდან ცნობილია, რომ 1912 წელს, ადგილობრივ მოსახლეობას მტკრი დაესხა. მათ თავი მთის მწვერვალს შეაფარეს, სადაც უსაფრთხო ფერდობით ავიდნენ. მტკრი კი, ზვავსაშიში ფერდობიდან შეეცადა მწვერვალის დალაშქრას, რადგანაც ერთ-ერთმა ადგილობრივმა მოსახლემ, სწორედ, ამ ფერდობზე დაყრა სხვადასხვა ნარჩენი, რათა მათი იქ ყოფნის ილუზია შეექმნა. ასვლისას მტკრი ზვავის ქვეშ აღმოჩნდა, მოსახლეობა კი გადარჩა. ხიბინებში 1935 წელს, თოვისა და ქარბუქის შედეგად, ორი ზვავი ჩამოვიდა, რომლებმაც ერთდა ორსართულიანი სახლები დაანგრია, ლიანდაგიდან გადააგდო ორქლმავალი, ზვავის ქვეშ რამდენიმე ათეული ადამიანი დაიღუპა.

ტიან-შანსა და პამირზე თოვლის ზვავს „თეთრ ურჩეულს“ უწოდებენ. ზვავებმა კუნძულ სახალინზეც დაანგრია სანატორიუმი.

შვეიცარიაში, სადაც დასახლებული პუნქტები და სოფლები მაღალმთიან რაიონში მდებარეობს, ცნობები ზვავის ჩამოსვლის ადგილსა და შემთხვევებზე, თაობიდან თაობას გადაეცემა. ზვავი რეგულარული მოვლენა არ არის. ფლაიგს [55] აღწერილი აქვს მოვლენა, როდესაც დაწყებული 1689 წლიდან, ზვავი ერთსა და იმავე ადგილზე, მხოლოდ 250 წლის შემდეგ განმეორდა. ზოგჯერ, თუ ზვავის ჩამოსვლას და მის მიერ გამოწვეულ კატასტროფას, 5-10 წლის განმავლობაში ადგილი არა აქვს, მაშინ ამ ადგილს უსაფრთხოდ მიიჩნევენ. ეს მცდარი შესედულებაა, არავინ არის დაზღვეუ-

ლი, რომ ეს მოვლენა ისევ არ განმეორდება. მსგავსი შემთხვევები საქართველოში, არაერთხელ მომხდარა.

საქართველოს მთიანი რაიონის მოსახლეობა, უძველესი დროიდან იცნობდა თოვლის ზვავებს და მათ სიმუხტლეს. ისინი, შეძლებისდაგვარად, თავს არიდებდნენ ზვავების გავრცელების ზონაში ცხოვრებას და სამეურნეო საქმიანობას. ხალხს მრავალსაუკუნოვანმა გამოცდილებამ, საცხოვრებლად არაზავასაშიში ტერიტორიების შერჩევა ასწავლა. პირველი, შედარებით დეტალური ცნობები ზვავების შესახებ, XIX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს სამხედრო გზაზე რეგულარული მოძრაობის დაწყებასთან არის დაკავშირებული. ამ გზას უკავშირდება პირველი ზვავსაწინააღმდეგო ნაგებობების მშენებლობაც. ზვავების პირველი რუპა, სამხედრო გზის მშენებელმა პ. სტატკოვსკიმ შეადგინა. 1876-1910 წლებში აშენდა თოვლშემაკავებელი ტერასები, ზვავშემაკავებელი ქვის ყორეული, ზვავის მიმართულების შემცვლელი ქვამიწიანი დამბები, გალერეები და გვირაბები, რის გამოც, შეიძლება საქართველოს სამხედრო გზა, ზვავსაწინააღმდეგო ბრძოლის მუზეუმადაც მივიჩნიოთ.

1932 წლიდან, კავკასიაში ზვავების შესწავლა, ხელოვნური ნაგებობების ამიერკავკასიის ინსტიტუტში იწყება, რაც ტრანსკავკასიის რკინიგზის დაპროექტებისა და მშენებლობის საკითხთან იყო დაკავშირებული. ინსტიტუტის თანამშრომლების გ. საატჩიანის, ა.გოფის, გ.ოტენის, ნ.გინჩიძისა და კ.ზავრიევის ხელმძღვანელობით შექმნილი ხელსაწყოების დახმარებით, თოვლის ზვავების წარმოქმნის პირობებისა და დინამიკური თვისებების გამოვლენის მიზნით, მოხდა თოვლის საფარის ინსტრუმენტული შესწავლა.

1933-1937 წლებში, თოვლის ზვავებზე მოპოვებული მასალების გამოყენებით, ე.ნაფეტვარიძემ და კ.პაპინაშვილმა გამოვლინეს კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში, სხვადასხვა ატმოსფერული მასების შემოჭრის დროს, ზვავების ჩამოსვლის ხელშემწყობი ამინდის პირობები და დასახეს ზვავების პროგნოზირების ძირითადი გზები [50]. დ.დონდაძემ და ლ.პა-

პინაშვილმა შეიმუშავეს ზვავის დარტყმის ძალის გამოთვლის მეთოდი [42].

სამამულო ომის დროს, 1942-43 წწ. ზამთარში ფაშისტური გერმანიის არაერთი ჯარისკაცი, აღმოჩნდა კავკასიონის ქედის ფერდობებიდან ხელოვნურად გამოწვევებული ზვავის ტყვეობაში და მრავალი მათგანი დაიღუპა. აღპინისტებთან ერთად, ამ სამხედრო ოპერაციაში ზვავებზე ზემოქმედებას, ქართველი მეცნიერი გიორგი სულაქველიძე აწარმოებდა.

გ.სულაქველიძის შრომაში „თოვლის ზვავები კავკასიონზე“, დაზუსტებულია დამოკიდებულება თოვლის ფიზიკურ თვისებებს, ადგილის დახრილობის კუთხესა და თოვლის საფარის იმ სიმაღლეს შორის, რომლის დროსაც ხდება ზვავის ჩამოსვლა; შემუშავებულია ზვავის სიჩქარისა და დარტყმის ძალის განსაზღვრის მეთოდები; მოყვანილია, ზვავის წარმომქმნელი თოვლის თვისებებზე დამყარებული, ზვავების კლასიფიკაცია და დახასიათებულია თითოეული ჯგუფის თვისებურება; განხილულია ზვავის ჩამოსვლის დროს, პარონის ტალღის წარმოქმნის პირობები, ზვავების ჩამოსვლის სიხშირისა და ზვავებთან ბრძოლის საკითხები [9].

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ (1946 წლიდან), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები, პროფესორ ა.ბალაბუევის ხელმძღვანელობით, იწყებენ თოვლის საფარის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გამოვლენის გზით, ზვავების წარმოქმნის რეჟიმისა და გავრცელების თავისებურებათა შესწავლას [41].

გ.სულაქველიძემ, ფერდობებზე თოვლის საფარის მდგრადობის პირობების თავისებურებათა დაზუსტების საფუძველზე, მიიღო განტოლებები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია, სხვადასხვა დახრილობის მქონე ფერდობების ზვავსაშიშროების დადგენა. ამ განტოლებების გამოყენებით, ა.ბალაბუევმა და გ.სულაქველიძემ შეიმუშავეს, თოვლის ზვავების ჩამოსვლის დროის პროგნოზის გრაფიკული მეთოდი.

მე-20 საუკუნის 50-იან წლებში, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ზვავების წარმოქმნის რეჟიმისა და გავრცელების თავისებურებათა შესწავლაში, აქტიურად ერთვება 1953 წელს,

ამიერკავკასიის რეგიონალური სამეცნიერო-კვლევითი ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი (ამჟამად ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი), რომელიც ხდება ამიერკავკასიისა და დაღესტნის რესპუბლიკების ჰიდრომეტეოროლოგიურებში – მეთოდური ხელმძღვანელი თოვლის საფარის, ზვავებისა და მყინვარების შესწავლის საქმეში.

ინსტიტუტის თანამშრომლებმა ვ.ცომაიას ხელმძღვანელობით, მუშაობის დაწყებიდან ერთ წელიწადში, ჰიდრომეტეოროლოგის თანამშრომლებისათვის შეადგინეს, ზვავების ფიქსაცია-აღწერის კითხვარი და მოაწევს საკავშირო სემინარი გლაციოლოგიაში, ხოლო 1956 წელს ჩატარებულ მთაში თოვლის საფარის შესწავლისადმი მიძღვნილი საკავშირო თაობირი, სადაც გამოსულმა მომხსენებლებმა დაასაბუთეს ამიერკავკასიის რესპუბლიკების ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველოების სამუშაოებში, რომ აუცილებელია ზვავებზე დაკვირვება და მთაში მდებარე ყველა მეტეოროლოგიური სადგურის თანამშრომლების მიერ, სათანადო ანკეტების შევსება.

თოვლის ზვავების შესწავლის განვითარებას ხელი შეუწყო ვ.ცომაიას თანაავტორობით შედგენილმა და 1957წ. გამოქვეყნებულმა „მთებში თოვლსაზომი სამუშაოების სახელმძღვანელომ“, სადაც სპეციალური თავი, თოვლის ზვავებზე დაკვირვებისა და მიღებული მასალების დამუშავების საკითხებისადმია მიძღვნილი. სახელმძღვანელოში მოყვანილია, თოვლის მარშრუტული აგეგმვისა და ზვავსაშიში რაიონების გამოვლენისათვის ჩატარებული სამუშაოების დროს, მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების მეთოდები [57].

მთიან რეგიონებში, სამუშაოებო და სხვა დანიშნულების ობიექტების მშენებლობასთან ერთად, საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებისაგან, ზვავსაშინაღმდეგო დონისძიებების შემუშავების მოთხოვნა იზრდებოდა. შექმნილმა ვითარებამ ზვავსაშიშროების პერიოდულ (ექსპერიციური, მარშრუტული და სხვა) კვლევასთან ერთად, სტაციონალური და სისტემატური კვლევის ჩატარების აუცილებლობა განაპირობა. ამ პრობლემის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, საქართველოს სამსჯელო გზის საუდელტეხილო

მონაკვეთზე 1962 წ. გახსნილმა, ჯვრის უდელტეხილის თოვლა-საზღვე სადგურმა, სადაც ხდებოდა სტაციონალური დაკვირვება მეტეოროლოგიურ ელემენტებზე, თოვლის საფარისა და ზვავების მახასიათებლებზე. სადგურის თანამშრომლები აწარმოებდნენ თპერატიულ სამუშაოებსაც, კერძოდ, ზვავსაშიშროების პროგნოზით დაინტერესებულ ორგანიზაციებს ინფორმაციით უზრუნველყოფდნენ.

ქართველმა გლაციოლოგებმა, ვ.ცომაიამ და კ.აბდუშელიშვილმა, აქტიური მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის ზვავსაშიში რაიონების პირველი რუკის შედგენაში [56].

მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან, ინსტიტუტში ზვავების პელევამ, განსაკუთრებით, ფართო ხასიათი მიიღო, რაც განაპირობა, მთიანი რეგიონების ინტენსიურმა ათვისებამ. ახალი ობიექტების (ელექტროგადამცემი ხაზები, საავტომობილო გზები, სხვადასხვა დანიშნულების შენობები და სხვა) დაპროექტება და მშენებლობა იზრდებოდა, ეს კი მოითხოვდა ტერიტორიის ზვავსაშიშროების შესწავლას. გარდა ამისა, როგორც ეს 1971, 1976 და 1987 წლებში კატასტროფული ზვავების მასიურმა ჩამოსვლამ ცხადყო, ზვავსაშიშ ზონაშია ზოგიერთი ობიექტი და დასახლებული პუნქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა, როგორც არსებული, ისე დასაპროექტებელი ობიექტების ზვავსაშიშროების შესწავლა და მათი, ზვავებისაგან დაცვის ღონისძიებების შემუშავება.

ამიერკავკასიისა და დადესტნის ტერიტორიაზე, ჩატარდა მრავალი ექსპედიცია. დაგროვდა თოვლსაზღვე სადგურზე, თოვლის საფარის ფიზიკურ თვისებებსა და ზვავებზე სისტემატიური დაკვირვების მრავალწლიანი, უნიკალური მასალა. საგელე სამუშაოებისა და სტაციონალური დაკვირვების მასალების ანალიზისა და განზოგადოების საფუძველზე, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ზვავების შესწავლის საქმეში. შეიქმნა არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო სტატია.

ვ.ცომაიას სტატიებში, მყარი ნალექების დახასიათებისა და განაწილების, ახალმოსული თოვლის ზვავების ჩამოსვლის პროგნოზისა და უძრავ წინაღობაზე ზვავის დარტყმის

შემდეგ, თოვლის გამკვრივების მეთოდების შემუშავების, კავკასიონის მთიან რაიონებში ნამქერების შესწავლის, თოვლის ზვავების წარმოქმნის რეჟიმისა და გავრცელების პრობლემუბია განხილული [29,57,58].

კაბდუშელიშვილის, ლ.ქალდანისა და მ.სალუქვაძის ერთობლივ სტატიებში, მთლიანად კავკასიის, მისი ცალკეული მთიანი რეგიონების ზვავსაში შროების დახასიათება სიმაღლითი ზონების მიხედვით, ზვავების დიფერენციაციის თავისებურებები, ამიერკავკასიისა და დაღესტნის ზვავების კადასტრის შინაარსი, ზვავსაში ნაღმდევებო ბრძოლის ღონისძიებების კლასიფიკაცია, საქართველოს ტერიტორიაზე 1932, 1971, 1976, 1987 წლებში – კატასტროფული ზვავების წარმოქმნისა და გავრცელების თავისებურებებია მოყვანილი [31-35, 37].

კატასტროფული ზვავების მასიურმა ჩამოსვლამ, უდიდესი ზარალი მიაყენა ობიექტებსა და მოსახლეობას. სწორედ, კატასტროფული ზვავების ბუნებისა და გავრცელების ტერიტორიის დადგენას, მათი მასიური ჩამოსვლის პროგნოზირების მეთოდის შემუშავებასა და დაზუსტებას, აგრეთვე, პურორტ ბახმაროს ზვავსაში შროებას, საქართველოს ტერიტორიის დარაიონებას თოვლიანობის მიხედვით, ასევე, ზვავშემკრებების გავრცელების თავისებურებას მიეძღვნა ლ.ქალდანისა და მ.სალუქვაძის ერთობლივი სამეცნიერო შრომები [15-17,20-25].

ტერიტორიის ზვავაქტიურობა, ზვავშემკრებების გავრცელების სისშირე, ზვავების განმეორადობა, ზვავსაში პერიოდის ხანგრძლივობა, ზვავსაში შროების ხარისხის დადგენის მეთოდების შემუშავება, ზვავსაში შროების ჩამოთვლილი მახასიათებების დროსა და სივრცეში ცვლილების გამოვლენა და კარტირება, ზვავსაში დასახლებული პუნქტებისა და ობიექტების გამოვლენა, მოსახლეობისათვის საშიში ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლების, აგრეთვე, ზვავსაში შროებაზე კლიმატის ცვლილების გავლენის დადგენა ასახულია ლ.ქალდანის და მ.სალუქვაძის შრომებში [1,11-14,46-48,52].

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში მომზადდა მთელი რიგი შრომები, რომელთა ძირითადი შედეგები სამეცნიერო სტატიების სახით გამოქვეყნდა. ზემო სვანეთში თოვლის საფარისა და ზვავების შესწავლას, თოვლის დახასიათებას ზვავების მასიური ჩამოსვლის დროს, კატასტროფული ზვავების გავრცელების თავისებურებებს მიეძღვნა მ.სალუქარის სტატიები [2-4,52]; ახალმოსული და სველი თოვლის ზვავების სტატისტიკური პროგნოზების მეთოდების შემუშავებას, პარამეტრული და არაპარამეტრული დისკრიმინანტული ანალიზის გამოყენებით ზვავების პროგნოზირებას – კ.აბდუშელიშვილის, ლ.ქალდანის, მ.სალუქარის, თ.სიმონიას, მ.კარგაშვარის, გ.ჯინჭურაძის შრომები [15,16,36,48]; თოვლის საფარის ფიზიკური თვისებების გამოვლენას – ლ.სესიაშვილის სტატია [53]; ზვავის კონცენტრაციის მოცულობისა და ზვავების მაქსიმალური გატყორცნის სიშორის დადგენას – ზ.ებრალიძის შრომა [60].

კ.აბდუშელიშვილის, ლ.ქალდანის და მ.სალუქარის ხელმძღვანელობითა და აქტიური მონაწილეობით მომზადდა და გამოქვეყნდა, ამიერკავკასიისა და დაღესტნის ზვავების კადასტრის სამი გამოცემა [32,34]. კადასტრში მოყვანილია, საცნობარო ხასიათის სისტემატიზებული მასალა, ამიერკავკასიისა და დაღესტნის ტერიტორიაზე ზვავების, გავრცელების რეჟიმზე. კადასტრი გათვალისწინებულია, მთიან რეგიონებში მომუშავე საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებისთვის.

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში გ.სვანიძის ხელმძღვანელობით, მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში ჩატარებულ, რიგ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში განხილულია, „ტრასექას“ სააგენტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებსა და მათ განშტოებებზე, სტიქიური გლაციოკიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შეფასებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის დონისძიებების შემუშავების პრობლემები [8].

ინსტიტუტის გლაციოლოგებმა, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ზვავებისადმი მიძღვნილ, ოთხივე საკავშირო თათბირის მუშაობაში. ამ თათბირზე ვ.ცომაიამ, კ.აბდუშელიშვილმა,

ლ.ქალდანმა, მ.სალუქვაძემ, ლ.სესიაშვილმა და მ.კარტაშოვამ თავიანთი მოხსენებები, თოვლის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დადგენის, სხვადასხვა გენეტიკური ტიპის ზვავების პროგნოზის მეთოდების შემუშავების, ზვავსაშიშროების კარტირების, კავკასიის საუღელტეხილო გზებზე თოვლ-საზვავე რეჟიმის გამოვლენისა და გზების, ამ საშიში მოვლენისაგან დაცვის საკითხებს მიუძღვნეს. მოხსენებების სრული შინაარსი გამოქვეყნდა, ამ თათბირებისადმი მიძღვნილ შრომებში.

გლაციოლოგების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ თბილისში 1988 წელს ჩატარდა მე-9 საერთაშორისო გლაციოლოგიური სიმპოზიუმი, რომლის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ინსტიტუტის თანამშრომლებმა. ვ.ცომაიას, გ.სვანიძის, კ.აბდუშელიშვილის, ლ.ქალდანის, ლ.პაპინაშვილის და მ.სალუქვაძის მიერ, სიმპოზიუმზე წარდგენილ მოხსენებებში განხილულია, 1987 წელს კატასტროფული ზვავების მასიური ჩამოსვლის გამომწვევი მიზეზები და შედეგები, აგრეთვე, ზვავსაშიშროების თავისებურება დასავლეთ ამიერკავკასიის სუბტროპიკულ ზონაში.

ინსტიტუტი, მთავრობის დავალებითა და მთელი რიგი საპროექტო, საამშენებლო და სამეურნეო ორგანიზაციების დაკვეთით, შესწავლილია მთიან რეგიონებში მდებარე დასახლებული პუნქტების, კურორტების, საბადოების, ელექტროგადამცემი ხაზების, სარკინიგზო და საავტომობილო გზების, ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის („ტრასეკა“) და სხვა ობიექტების ზვავსაშიშროება. სამუშაოებში მოყვანილია უნიკალური მასალა თოვლის ზვავებზე, მათი რეჟიმის, მორფომეტრიული და დინამიკური მაჩვენებლების, დაწვრილებითი აღწერითა და დახასიათებით. მიღებული შედეგები, ზვავსაშინააღმდეგო დონისძიებების რეკომენდაციებით, გადაეცა მთავრობასა და დამკვეთ ორგანიზაციებს (ვ.ცომაია, კ.აბდუშელიშვილი, ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე).

ინსტიტუტის თანამშრომლების, ზემოთ აღნიშნული კვლევის შედეგების გათვალისწინებით შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე, ზვავსაშიში დასახლებული პუნქტებიდან, გამოიყვანეს ათასობით მცხოვრები, აგრეთვე, საქარ-

თველოსა და სოხუმის სამხედრო გზების, ცხინვალი-როკის გვირაბის, ბზიფი-ავადხარას, ჯვარი-მეგრიის და სხვა საავტომობილო მაგისტრალებზე და დასახლებულ პუნქტებში (ჩუქული, ღურგა და სხვა) აშენდა ზვაგსაწინააღმდეგო საინჟინრო ნაგებობები – გალერეები, ესტაკადები, ხიდები, გვირაბები, ზვაგის მიმართულების შემცვლელი და გამაჩერებელი დამბეჭდები და სხვა; სოფლების მიმდებარე ტერიტორიაზე გაშენდა ნარგავები, აირძალა ტყის გაჩეხვა.

ქართული კარტოგრაფიული და გლოციოლოგიური სკოლების აღიარებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემულ, მსოფლიო თოვლ-უნიულოვანი რესურსების ატლასისთვის, ზვაგსაშიშროების რუკების შედგენა კავკასიის მთელი ტერიტორიისათვის, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებს დაევალათ. ეს მაშინ, როცა ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე მდებარე, გეოფიზიკის მაღალმთიან ინსტიტუტსა და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის თოვლ-საზვავე ლაბორატორიაში, ზვაგების რამდენიმე ათეული, ცნობილი მკვლევარი მუშაობდა. კაბდუშელიშვილს და ლქალდანს, მათ მიერ მოპოვებულმა მრავალწლიანმა მასალებმა და ზვაგების შესწავლის გამოცდილებამ, საშუალება მისცა კავკასიის ტერიტორიისათვის ზვაგწარმომქნელი ფაქტორების, ზვაგების განმეორადობის, ზვაგების მოცულობისა და ზვაგაქტიურობის ხარისხის თავისებურება გამოვლინათ და შესაბამისი რუკები შეედგინათ [38]. ლქალდანისა და მ. სალუქვაძის მიერ შედგენილია ამიერკავკასიის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის ზვაგსაშიშროების რუკები [26,28, 61]. საქართველოს ეროვნულ ატლასში კი წარმოდგენილია, ლქალდანისა და მ.სალუქვაძის მიერ შედგენილი: „ზვაგსაშიშროების“, „ზვაგსაშიში რაიონების“, „თოვლის საფარის მინიმალური, საშუალო და მაქსიმალური სიმაღლის“, „ზვაგშემკრებების გავრცელების სიხშირის“, „ზვაგების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირის“, „ზვაგსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობის“ და „ზვაგაქტიურობის“ რუკები [27]. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მ.სალუქვაძის, ნ.კობახი-

մուս դա զ. Հյոնժարածիս մոյր, արայրու և ամյշենոյրու և բաթիս [3-6] դա մռնոցրագուստու [1,2,30] գամովկյայբնուա, սադաշ գանենոլուց լուա լալակյալու մտուանու րասոնքիս ზազաշամուշուածա դա նազավասանուածմուացու լունուսմոյեցիս գանեռուցույլուածիս զիյեծի.

լուաթյուրաթյուրուց Վյարուեցի 1846 վլուած մռապույլուց մասալուցիւան, օսյայ, մռացալուլուանու սազալու սամյշանուցիս հաթարյիս դրուս, աջալուուրուցու շեշյացեցիս գամոյուտեզու մուցելուց մռնացյամեցի դայրունուատ, տացած սայյելսէցուու մասալուս անալունու մշցուցած, մշուցուած ուշիցաս, րում նազավասամուշուածիս տացալսաթրուսու, սայյարուցուլու թյուրութրուա գամորիյյալուա. մուսու ուարուուս 56%-ի նազավասամուշու ույրուցուցիս դա մեռլու 44% արուս արանազավասամուշու (նախ.1.1. օբ. ճանարու).

սայյարուցուլու թյուրութրուուս 20%-ի նազավացի պուցելուլուրած համուուս, ճանարիյն 36%-ի յու, աջալու այցեւ սեռացույլու (ուշյուատու գանմյուրագուուս նազավացի) – յաթասթրուուցուլու նազավացիս համուեցաս, րումյալու 2-3 ան րամցունու առյուլու վլուս գանմացուուցիս համուուս դա սբուրյաց, յև նազավացի գամությացուան մռուլուունեցուուատ, դուու ճամանցրյացուլու ժալու, ճաճամուանտա միսեցյալուու.

աջմուսացլույտ սայյարուցուլու յաթասթրուուցուլու նազավացի գանեցուած թյուրութրուուս 28%-ի յու, սուսթյամաթյուրու – 18%-ի դա արանազավասամուշուա թյուրութրուուս 54%. ճաճացլույտ սայյարուցուլու յու, րոցու սուսթյամաթյուրու, օսյ յաթասթրուուցուլու նազավացիս գազրուցուցիս րասոնյեցի, մշցացյենս 22% դա 46%-ի մշցանամուսած. յև գանմեցացացի գանձուրուցուցիս, ույրուցուցիս ճաճերուունուատ դա շեշու աջմուսույրյալու նալույիս րասուուատ.

## თავი 2. თოვლის საშარი და საქართველოს

ტერიტორიის დარაიონება თოვლიანობის მიხედვით

ატმოსფერული ნალექი არის წყალი მოსული ღრუბლიდან, თხევად ან მყარ მდგომარეობაში, ან უშუალოდ პაერიდან დაღექილი, დედამიწის ზედაპირსა და საგნებზე. ატმოსფერული ნალექებიდან, თავისი რაოდენობითა და მნიშვნელობით, გამოიჩევა ღრუბლებიდან თხევადი და მყარი სასით მოსული ნალექები.

მოსული ატმოსფერული ნალექის რაოდენობის დადგენა, ხდება გარკვეულ ადგილას, დროის გარკვეულ მონაკვეთში მოსული წყლის ფენის სისქის გაზომვით მილიმეტრებში, მეტეოროლოგიურ სადგურებში არსებული სხვადასხვა სახის ნალექმზომებით.

თხევადი ნალექებიდან მთავარია წვიმა, მყარი ნალექებიდან – თოვლი. თოვლ-მყინვარული რესურსების ძირითად წყაროს, ძირითადად, მყარი ნალექი წარმოადგენს.

თოვლი არის, ღრუბლებიდან ყინულის კრისტალების სასით მოსული მყარი ატმოსფერული ნალექი, თოვლის მოსვლის პროცესს თოვა ეწოდება. თოვლი, ძირითადად, ფიფქის სახით მოდის. თოვლის ფიფქებს სხვადასხვა ფორმა აქვთ. თოვლის კრისტალების ფორმა და ზომები ტემპერატურაზეა დამოკიდებული. ყინვის დროს, ძირითადად, წვრილი კრისტალები და ფიფქები წარმოიქმნება, შედარებით მაღალ ტემპერატურაზე – მსხვილი, სქელი და სველი ფანტეკები. არსებობს მშრალი, ფაფუკი და სველი თოვლი. ერთმანეთისგან განსხვავდება ახალმოსული, გამკვრივებული და ძველი თოვლი. თოვლის სიმკვრივე იცვლება  $0,01$  გ/სმ-დან (ახალმოსული)  $70$  გ/სმ-დან (ძლიერ სველი და მერე გაყინული). დედამიწაზე ყოველწლიურად მოსული თოვლის  $16\%$  არ დნება და მყინვარების კვებას ხმარდება.

ფირნი არის თოვლის მყინვარის ყინულად გარდაქმნის სტადია. ფირნი მარცვლოვანი ყინულია. თოვლის ფირნად გარდაქმნას ფირნიზაცია ეწოდება. არსებობს ფირნიზაციის ორი გზა:

**ა) მშრალი მეტამორფული მინერალის გარდაქმნა** ფირნად, უარყოფითი ტემპერატურის დროს რეკრისტალიზაციის გზით. ფირნი წარმოიქმნება, თოვლის ხაზის ზემოთ ძეგებარე მთიან მხარეში და პოლარულ ქვეყნებში, ანუ იქ, სადაც თოვლის სახით მოსული ნალექი ზაფხულში ვერ ასწრებს გადნობას; ასეთი ფირნის სიმკვრივე 0,49-დან 0,80 გ/სმ-მდე იცვლება.

**ბ) სეელი მეტამორფული მინერალის გარდაქმნა** ფირნად ხდება, უშუალოდ თოვლის გადნობით და თოვლის ფენაში ხადნობი წყლის ხელახლა გაყინვით; ასეთი ფირნის სიმკვრივე არის 0,45-0,50 გ/სმ. თოვლის ფირნად გარდაქმნისათვის საჭირო დრო კლიმატზეა დამოკიდებული. პავპასიაში ეს ერთი წელია, ანტარქტიდაში კი 50-70 წელი.

ყინული წყლის მყარი ფაზაა. ფირნის გარდაქმნა ყინულად დამთავრებულად ითვლება, როცა ფირნში ფორები იკარგება, ხოლო დარჩენილი ფორები ჰაერის ბუშტებად გადაიცვება.

ყინულის წარმოქმნა ხდება მშრალი და ნოტიო მეტამორფული მინერალის სახით. მშრალი მეტამორფული მინერალის დროს, ფირნის შემჭიდროება ხდება ახალი დაგროვილი ფირნის ფენებით. ზემოდან დატვირთვა იზრდება და 0,83 გ/სმ სიმკვრივის დროს, ციფრი ფირნი გადადის ყინულში. ფირნის ნოტიო მეტამორფული მინერალის დროს (რეჟელაქციის), ფირნის დაჯდომას ან ხადნობი წყლებით ინფილტრაციას და გაყინვას აქვს ადგილი.

ბუნებრივი ყინულების ძირითადი სახეებია: მყინვარები, თოვლნარები, მინაყინები (ხმელეთის), აისბერგები (მცურავი) და მიწისქვეშა ყინულები; ხოლო სეზონური – თოვლი, ჭირხლი, თრთვილი, სეტყვა, ლიაჟინული (ატმოსფერული), თოვლის საფარი, მინაყინები (ხმელეთის), ზღვის ყინულები, ტბიური და მდინარული ყინულები (მიწისქვეშა).

ბუნებრივი ყინულების კლასიფიკაცია გენეზისის მიხედვით:

**1. კონჟელაციური ყინული**, რომელიც თხევადი ან თხევადნაწვეთი წყლის გაყინვით წარმოიქმნება. ასეთია სეტყვა, ყი-

ნულის წვიმა, ჭირხლი, ლიპყინული; მდინარის, ტბის და ზღვის ყინულები, მინაყინები.

**2. დანალექი ყინულები** – თოვლის საფარი ანუ ყინულისა და ჰაერის ნარევი.

**3. მეტამორფული ყინულები** მეტამორფიზმს შინაგანი და გარეგანი ფაქტორებით განიცდის.

ყინულის მეტამორფიზმის ძირითადი პირობა, შინაგანი ფაქტორებით გამოწვეული უარყოფითი ტემპერატურის დროს რეკრისტალიზაცია, ხოლო გარეგანი ფაქტორების გავლენით, ყინულის მეტამორფიზმის ძირითადი გზებია სითბური ან მექანიკური მოქმედება, წნევის ზრდა, – ყინულის მასის ხახუნით გამოყოფილი სითბოს გავლენით, მისი გადნობა და ხელახალი გაყინვა.

მყარი ატმოსფერული ნალექები წარმოადგენს თოვლ-მყინვარული რესურსების ძირითად წყაროს. მათი რაოდენობის დადგენა ხდება გარკვეულ ადგილას (ძირითადად, მეტეოროლოგიური სადგურის ტერიტორიაზე), დროის გარკვეულ მონაკვეთში (რამდენიმე საათში, დღე-დამეში, ერთი ოვაის დროს), ატმოსფეროდან მყარი სახით მოსული ნალექის გადნობით მიღებული, წყლის ფენის სისქის (სიმაღლის) გაზომვით მიღიმეტრებში. მათი შეჯამებით კი ხდება, მყარი ნალექების თვიური და წლიური რაოდენობის დადგენა.

საქართველოს ტერიტორიაზე მყარი ნალექების გაზომვა, რამდენიმე მეტეოროლოგიურ სადგურზე წარმოებდა და დაკვირვების პერიოდი დიდი ხანგრძლივობით არ გამოირჩევა. ცხადია, ამ სადგურების დაკვირვების მასალები, მყარი ნალექების დროსა და საქართველოს ტერიტორიაზე ცვლილების დასადგენად არასაკმარისია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მყარი ნალექების რაოდენობის დადგენა შესაძლებელია, მათი თავისებურებების განმსაზღვრელი ფაქტორების საშუალებით. კარგ შედეგს იძლევა, ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერულ ნალექებზე არსებული მონაცემების საშუალებით, მყარი ნალექების გამოთვლის ვ. ცომაიას მიერ შემუშავებული მეთოდი [58]. ფორმულების საშუალებით ხდება, წლის უკელა თვისთვის მყარი ნალექების წილის (პროცენ-

ტებში) გამოთვლა, ხოლო მათი გამრავლებით ატმოსფერული ნალექების ყოველთვიურ რაოდენობაზე, დგინდება მყარი ნალექების რაოდენობა თვეში, მათი ჯამი მოგვცემს მყარი ნალექების წლიურ რაოდენობას.

$$P = \begin{cases} \frac{100}{t_d - t} \\ \frac{t_d - t_T}{0}, \end{cases} \quad (2.1)$$

$$t_d = 8 + 0,2t_r \quad (2.2)$$

$$t_T = t_d - \frac{256,4}{32,4 - t_u}; \quad (2.3)$$

$$t_u = 1 - 0,25 \cdot (t_r); \quad (2.4)$$

სადაც,  $P$  არის მყარი ნალექების წლი (პროცენტებში), ატმოსფერული ნალექების წლიურ ან თვიურ რაოდენობაში;  $t_d$  – ჰაერის ტემპერატურა წვიმის დროს;  $t_r$  – ჰაერის ტემპერატურა თოვის დროს;  $t_u$  – ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა;  $t_r$  – საშუალო წლიური ტემპერატურა;  $t_m$  – წლის განმავლობაში, მაქსიმალური ტემპერატურის მქონე თვის საშუალო ტემპერატურა.

ამ მეთოდის უპირატესობა ის არის, რომ მყარი ნალექების რაოდენობის დასადგენად, მხოლოდ, ატმოსფერული ნალექების რაოდენობისა და ჰაერის ტემპერატურის მონაცემებია საჭირო. მყარი ნალექების რაოდენობის დადგენა შეიძლება, ყველა იმ მეტეოსადგურისთვის, სადაც გვაქვს მონაცემები ატმოსფერული ნალექების რაოდენობისა და ჰაერის ტემპერატურის შესახებ.

მყარ ნალექებზე უშუალო დაკვირვების მასალებისა და თეორიული მეთოდების გამოყენებით, ყველა მანამდე არსებული მეტეოსადგურისთვის, მრავალწლიანი პერიოდის თოთოვეული ზამთრისთვის, დადგენილია მყარი ნალექების თვიური და წლიური რაოდენობა. მყარი ნალექების რაოდენობის ცვალებადობის (რყევის) გამოსავლენად, მრავალწლიანი მო-

ნაცემების საშუალებით, განსაზღვრულია მათი ზღვრული – მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური მნიშვნელობები.

მყარი ნალექების წლიური რაოდენობა, შეიძლება დაგადგინოთ ლ. ქალდანისა და მ. სალუქგაძის განტოლებებითაც [19].

განსაკუთრებით უხვოვლიან რაიონში  
 $X=0,69H+8,$

უხვოვლიან რაიონში

$X=0,45H-0,6$ )

საშუალოთოვლიან რაიონში

$X=0,38H-0,7$ )

მცირეთოვლიან რაიონში

$X=0,21H-0,8$ )

სადაც,  $X$  არის მყარი ნალექების წლიური რაოდენობა მმ-ში, ხოლო  $H$  – ადგილის აბსოლუტური სიმაღლე მ-ში.

ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად იზრდება, როგორც მყარი ნალექების რაოდენობა, ისე მათი წილი, ატმოსფერული ნალექების წლიურ რაოდენობაში.

დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროსა და კოლხეთის დაბლობზე მოსული მყარი ნალექების რაოდენობა, ნალექების წლიური რაოდენობის 3-6% შეადგენს; ადგილის სიმაღლის მატებასთან ერთად, მათი წილი იზრდება და ზღვის დონიდან 800-1000 მ-ზე შეადგენს 18-23%, 1800-2000 მ-ზე – 38-43%, ხოლო 2800-3000 მ-ზე – 58-62%.

აღმოსავლეთ საქართველოში, ზღვის დონიდან 400-500 მ-ის სიმაღლეზე, მყარი სახით მოდის ნალექების წლიური რაოდენობის 3-5%, 800-1000 მ-ზე – 15-20%, 1800-2000 მ-ზე – 30-35% და 2800-3000 მ-ზე – 50-55%. აღმოსავლეთ საქართველოში მყარი ნალექები, განსაკუთრებით, მცირე რაოდენობით მოდის სამხრეთ საქართველოს მთიანეთის აღმოსავლეთ ნაწილსა და კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ ფერდობებზე; მათი წილი ყაზბეგში არის (1744 მ) 21%, ხოლო წალკაში (1457 მ) – 17%.

საქართველოს ტერიტორიაზე მოსული მყარი ნალექების, საშუალო მრავალწლიური რაოდენობა იცვლება 16-30 მმ-დან

(მასინჯაური, ბოლნისი) 680-877 მმ-მდე (ცისკარა, ბახმარო, ჯვრის უღელტეხილი). მყარი ნალექების მაქსიმალური რაოდენობა – 58-89 მმ-დან (თბილისი, ლაგოდეხი, ბოლნისი) 1396-1426 მმ-მდე (ჯვრის უღელტეხილი, ცისკარა), ხოლო, მინიმალური რაოდენობა – 2-4 მმ-დან (თბილისი, ბოლნისი) 424-616 მმ-მდე (ჯვრის უღელტეხილი, ცხრაწყარო, ცისკარა).

დიდია, მყარი ნალექების წლიური რაოდენობის ცვალებადობა (რყევა) დროშიც, განსაკუთრებით კი, უხვნალექიან და მაღალმოიან რეგიონებში; ასე მაგალითად, მისი წლიური რაოდენობა ცისკარაზე – 616 მმ-დან 1426 მმ-მდე (810 მმ); ლებარდეში – 355 მმ-დან 1173 მმ-მდე (818 მმ); ბახმაროში – 300 მმ-დან 1396 მმ-მდე (972 მმ). დაბალმოიან და მცირენალექიან რეგიონებში, მყარი ნალექების ცვალებადობა დროში, შედარებით ნაკლებია; ასე მაგალითად, მათი წლიური რაოდენობა ბორჯომში იცვლება 41 მმ-დან 146 მმ-მდე (სხვაობა 105 მმ), დმანისში – 36 მმ-დან 143 მმ-მდე (107 მმ), წალკაში – 61 მმ-დან 211 მმ-მდე (150 მმ), ამბროლაურში – 36 მმ-დან 285 მმ-მდე (249 მმ), ყაზბეგში – 84 მმ-დან 323 მმ-მდე (239 მმ), ნინოწმინდაში – 165 მმ-დან 453 მმ-მდე (288 მმ).

დიდია, ცალკეულ თვეებში მოსული მყარი ნალექების რაოდენობა, ასე მაგალითად, ხაიშში 1987 წლის იანვარში მოვიდა 295 მმ (საშუალო წლიური რაოდენობის 145%), ლებარდეში – 1987 წლის იანვარში 558 მმ (81%), ხულოში – 1989 წ. იანვარში 298 მმ (129%), წიფაში – 1950 წ. იანვარში 210 მმ (103%).

ნალექები ზღვის დონიდან 1600-1800 მ-ზე, ძირითადად, მხოლოდ მყარი სახით, მოდის ერთი თვის განმავლობაში (I), 1800-2000 მ-ზე – ორი (I-II), 2000-2200 მ-ზე – სამი (XII - II), 2200-2400 მ-ზე – ოთხი (XII-III), ხოლო 2400-2600 მ-ზე ხუთი თვის განმავლობაში (XI-III).

თოვლის საფარი არის, თოვის შედეგად დედამიწის ზედაპირზე წარმოქმნილი თოვლის ფენა. თოვლის საფარის სიმკვრივე, ძირითადად, იცვლება 0,10 – 0,50 გ/სმ-მდე. ახალმოსული თოვლის საფარის სიმკვრივე არ არის დიდი და დროთა განმავლობაში მატულობს; გაზაფხულზე, როცა თოვლში

ჩნდება წყალი, მისი სიმკვრივე აღწევს 0,50-0,55 გ/სმ; თოვლის სიმკვრივე იზომება გ/სმ-ში, კგ/მ-ში და ტ/მ-ში. თოვლის საფარის არეავლადობა (არეავლის უნარი) დიდია – ახალმოსულ თოვლში შეადგენს 80-90%, ხოლო ძველი, სველი თოვლის არეავლის უნარი არ აღემატება 30-40%. თოვლის საფარი ირეკლაგს, მოსული მზის რადიაციის თითქმის 0,9-ს, ამავე დროს, თოვლი შთანთქავს ინფრაწითელ რადიაციას და თავად ასხივებს, თითქმის ისე, როგორც აბსოლუტურად შავი სხეული, რის გამოც, ზამთარში პაერი თოვლის ზედაპირზე ციფია. თოვლის საფარს ახასიათებს შეჭიდულობა, ანუ კავშირი, როგორც თოვლის ნაწილაკებს შორის, ასევე, თოვლის საფარსა და ფერდობის ზედაპირს შორის, რაც ხელს უშლის მის გადაადგილებას. თოვლის საფარში წყლის მარაგი დამოკიდებულია, თოვლის საფარის სიმაღლეზე, სიმკვრივეზე და გამოითვლება ფორმულით:

### ფორმულა

სადაც,  $S$  არის წყლის მარაგი თოვლში მმ,  $h$  – თოვლის საფარის სიმაღლე სმ,  $d$  – თოვლის საფარის სიმკვრივე გ/სმ<sup>3</sup>.

განასხვავებენ, დროებით (არამდგრად) თოვლის საფარს, რომელიც დნება წარმოქმნიდან რამდენიმე საათის ან დღის განმავლობაში და მდგრად თოვლის საფარს, რომელიც დევს მთელი ზამთრის განმავლობაში. მდგრადი თოვლის საფარად ითვლება ისეთი საფარი, რომელიც ერთი თვე მაინც დევს და უთოვლო დღეთა რაოდენობა, ერთად ან ცალ-ცალკე, არ აღემატება სამ დღეს, ამასთანავე ზამთრის დასაწყისში, ერთ უთოვლო დღეს, უნდა უძღვოდეს თოვლის საფარიანი 5 დღე მაინც, ხოლო უთოვლო 2-3 დღეს – თოვლის საფარიანი, არანაკლებ, 10 დღე მაინც. თუ, ზამთრის დასასრულს 3 დღიან უთოვლო დროს, მოსდევს თოვლის საფარიანი პერიოდი, ითვლება, რომ თოვლის საფარი იყო უწყვეტი. თუ, ზამთრის განმავლობაში, არის თოვლის საფარიანი რამდენიმე პერიოდი, რომლებიც ერთმანეთისგან იყოფა, არა უმტკბელ 5 დღიანი უთოვლო დროით, მაშინ მდგრადი თოვლის

საფარიანი მთელი პერიოდი, პირველი დღიდან ზამთრის ბოლომდე, ითვლება თოვლის საფარიან ერთ პერიოდად.

თოვლის საფარის გაჩენის (წარმოქმნის) დღედ, ითვლება შემოღომის ის დღე, როცა ხილული მიდამოს ნახევარი დაიფარება თოვლით, ხოლო თოვლის საფარის გაქრობის დროდ ის დღე, როცა ხილული მიდამოს ნახევარზე, თოვლის საფარი უკვე გადნება.

თოვლის საფარიან დღეთა რაოდენობად ითვლება, ზამთრის განმავლობაში, ყველა თოვლის საფარიან დღეთა ჯამი. თოვლის საფარიან დღეთა რაოდენობა, კარგად ახასიათებს ამა თუ იმ რეგიონის თოვლიანობას საერთოდ და ის მჭიდრო კაგშირშია, ამ რეგიონის რელიეფთან, განსაკუთრებით კი, ადგილის აბსოლუტურ სიმაღლესთან. აღნიშნულის დადასტურებაა მოყვანილი მაგალითი (ცხრ.2.1).

ცხრილი 2.1. თოვლის საფარის წარმოქმნისა და გაქრობის, მდგრადი თოვლის საფარის წარმოქმნისა და გაქრობის დრო და თოვლიან დღეთა რაოდენობა

მეტეოსადგური	სიმაღლე, მ	თოვლიანი დღე თა რაოდენობაში	თოვლის საფარი		მდგრადი თოვლის საფარი	
			წარმოქმნის დღე	გაქრობის დღე	წარმოქმნის დღე	გაქრობის დღე
ქუთაისი	114	15	3.I	27.II		
ამბროლაური	544	53	11.XI	21.III		
ონი	788	71	26.XI	29.III	24.XII	2.III
შოვი	1505	139	1.XI	23.IV	4.XII	11.IY
მამისონის უდ.	2854	248	23.IX	18.VI	16.X	7.VI

ცხრილში მოყვანილია, მდ. რიონის აუზში თოვლიან დღეთა რაოდენობა, თოვლის საფარის წარმოქმნისა და გაქრობის თარიღები. ქუთაისისა და ამბროლაურის მეტეოსადგურების მონაცემებით, მდგრადი თოვლის საფარის წარმოქმნისა

და გაქრობის დრო, იმიტომ არ არის მოყვანილი, რომ ამ სადგურებში, მდგრადი თოვლის საფარიან დღეთა რაოდენობა, ზამთრების საერთო რაოდენობის 50%-ზე ნაკლებია.

მდ. რიონის აუზისათვის (ცხრ.2.1), თოვლიანობის ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მიხედვით ცვალებადობის ანალოგიური კანონზომიერება, საქართველოს მთელი ტერიტორიისათვის არის დამახასიათებელი.

თოვლის საფარის, ერთ-ერთი, ძირითადი მახასიათებელი სიმაღლეა. თოვლის საფარის სიმაღლეს ზომავენ, მეტეოროლოგიურ სადგურებში (მს) დამაგრებული ან მარშრუტული თოვლის აგეგმვის დროს, გადასატანი ლარტყების საშუალებით სმ-ში ან მ-ში. ერთი თოვლის დროს მოსული თოვლის სიმაღლე, თოვლისას მატულობს, ხოლო, მერჯ კი კლებულობს, დაჯდომის და თოვლის სიმკვრივის მატების გამო.

მარშრუტული თოვლის აგეგმვისას, საკვლევ ტერიტორიაზე, უნდა შეირჩეს რამდენიმე თოვლსაზომი პუნქტი, რომელთა შორის მანძილი 150 მ-ს არ უნდა აღემატებოდეს. მდინარის ხეობაში, თოვლსაზომი მოედანი განთავსებული უნდა იყოს, მდინარის ორივე მხარეს. თუ, ეს შეუძლებელია, მაშინ აგეგმვა მდინარის ორ დამახასიათებელ უბანში უნდა წარმოებდეს. თოვლსაზომი მოედნის ფართობი 100-500 მ -ზე ნაკლები არ უნდა იყოს, ხოლო დახრილობა არ უნდა აღემატებოდეს  $10^0$ -ს. სიმაღლითი სხვაობა პუნქტებს შორის, დასაშვებია 20 მეტრამდე. მოედნის შერჩევა არ შეიძლება, თხემთან ახლოს და წყალგამყოფზე. თოვლის საფარის სიმაღლე იზომება 20 წერტილში, რომელთა შორის დაშორება არ უნდა აღემატებოდეს 5 მეტრს. თუ მოედნის ფორმა, გასაზომი წერტილების ურთიერთ მართებულ წრფეზე განლაგების საშუალების არ იძლევა, მაშინ სხვა რომელიმე მარტივი, მაგალითად, სამკუთხედის ფორმა უნდა შევარჩიოთ.

საველე სამუშაოები გულისხმობს:

1. თოვლის საფარის ქვედა საზღვრის დადგენას;
2. თოვლის საფარისა და ზვავების მდგრმარეობის კიზუალურ შესწავლას;
3. ნალექების გაზომვას ნალექმზომით;

4. თოვლის საფარის სიმაღლისა და წელიანობის განსაზღვრას;
5. თოვლის საფარის სტრუქტურის აღწერას, მაგ. ა)\*\*\* – ახალმოსული მშრალი თოვლი, ბ) »» – ახალმოსული სველი თოვლი, გ)--- – გამკვრივებული მშრალი, დ)++ – გამკვრივებული სველი, ე)/// – ქარბუქის მიერ მოტანილი, ვ)\*\*\* – წვრილმარცვლოვანი, ზ) ΔΔ – მსხვილმარცვლოვანი, თ)~~~ – ყინულის ქერქი, ი) --- – ფენის საზღვარი;
6. დაკვირვება ამინდის მდგომარეობაზე.

თოვლსაზომის სიმაღლე – 60 სმ, განივი კვეთი – 50 სმ, თითო დანაყოფი – 5 გრ. გაზომვისას, თოვლსაზომის კბილანებიან ბოლოს, ჩავუშვებთ თოვლში ნიადაგამდე. დაგადგენთ სიმაღლეს. აქანდაზით, ფრთხილად ამოვიდებთ და გავიგებთ წონას. სინჯის წონა შეაღგენს, დანაყოფის რიცხვის ნამრავლს ხუთზე. რადგან, განივიკვეთი არის 50 სმ, ამიტომ მოცულობა ტოლი იქნება 50-ისა და თოვლის სიმაღლის ნამრავლისა.

თოვლის საფარის სიმაღლეზე, დიდ გავლენას ახდენს ქარი, ძლიერი ქარის ან ქარბუქის დროს ხდება თოვლის გადატანა და ნამქერის წარმოქმნა. ქარბუქი და ნამქერი, განსაკუთრებით, მთიანი რეგიონებისათვის არის დამახასიათებელი; ამ დროს, საქართველოში დანამდებილი ახალმოსული თოვლი, ქარმა შეიძლება მთლიანად გადაიტანოს მოპირდაპირე ფერდობზე და კარნიზები წარმოქმნას; ნამქერის სიმაღლე რამდენიმე მეტრს აღწევს, ხოლო კარნიზის – რამდენიმე ათეულ მეტრს. მსგავსი შემთხვევა, არაერთხელ, დაფიქსირებულა საქართველოს სამხედრო გზაზე, მამისონის უდელტეხილის ტერიტორიაზე და სხვა მთიან რეგიონებში.

თოვლის საფარის სიმაღლე, ზამთრის განმავლობაში იცვლება. თოვლის დროს, მისი სიმაღლე მატულობს, თოვლის შეწყვეტის შემდეგ, კლებულობს მომდევნო თოვამდე და ეს, რამდენჯერმე მეორდება გაზაფხულზე, თოვლის მთლიანად გადნობამდე. თოვლიანობის მიხედვით შესადარებლად იდებენ ზამთრის განმავლობაში, თოვლის საფარის მაქსიმალურ სიმაღლეს. თოვლის საფარის სიმაღლის მრავალწლიანი პერი-

ოდის განმავლობაში, ცვლილების ზღვრული და საშუალო მნიშვნელობების დასადგენად, იღებენ მრავალწლიანი პერიოდის, თითოეული ზამთრის თოვლის საფარის, მაქსიმალური სიმაღლის მაქსიმალურ, საშუალო და მინიმალურ მნიშვნელობებს და ეს მნიშვნელობები მიღებულია, თოვლის საფარის მაქსიმალურ, საშუალო და მინიმალურ სიმაღლეებად. მაგალითად, როცა აღნიშნავენ, რომ კურორტ შოვში თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე 365 სმ-ია, საშუალო – 112 სმ, ხოლო მინიმალური – 31 სმ, ეს ნიშნავს, რომ მეტეოსადგურების დაკვირვების მთელი პერიოდის განმავლობაში (1930-2005 წწ.), შოვში მოსული თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე იყო 365 სმ. მინიმალური, ანუ ის სიმაღლე, რომელზეც ნაკლები, ამ პერიოდის განმავლობაში, არცერთ ზამთარში არ მოსულა – 31 სმ, ხოლო ამ პერიოდის საშუალო – 112 სმ-ია.

დაბალმთიან რაიონებში, ზამთრის განმავლობაში თოვლი შეიძლება, საერთოდ არ მოვიდეს, ან თოვა, მხოლოდ რამდენიმე საათი ან დღე გაგრძელდეს: მაღალმთიან რაიონებში კი, ზამთრის განმავლობაში, თოვლი რამდენჯერმე შეიძლება მოვიდეს. თითოეული თოვის დროს, ხდება თოვლის სიმაღლის მატება და ამ მატებას ეწოდება, თოვლის სიმაღლის ნამატი ერთი თოვისას, რომელიც წარმოადგენს თოვის დაწყების წინ, თოვლის საფარის სიმაღლესა და თოვის დროს, თოვლის საფარის მაქსიმალურ სიმაღლეს შორის სხვაობას სმ-ში. დღე-დამის ნამატი კი არის, სხვაობა დღე-დამის და-საწყისში, თოვლის საფარის სიმაღლესა და ამ დღე-დამეში, თოვლის საფარის მაქსიმალურ სიმაღლეს შორის სმ-ში. D დრო, თოვის დაწყებიდან დამთავრებამდე, ანუ თოვის ხანგრძლივობა, შეიძლება იყოს რამდენიმე წუთი, საათი, დღე-დამე.

თოვლის მოსვლის ინტენსივობა, ანუ თოვლის საფარის სიმაღლის მატების ინტენსივობა არის, თოვლის სიმაღლის მატება დროის გარკვეულ მონაკვეთში (მირითადად ერთ საათში).

საშუალოთოველიან ზამთარში, დედამიწის მთელ ხმელეთზე, მხოლოდ, 40% იყარება თოვლით, საქართველოში კი, ასეთ ზამთარში, მთელ ტერიტორიაზე მოდის თოვლი. თოვლის საშუალო სიმაღლე საქართველოს ტერიტორიაზე, იცვლება 5-10 სმ-დან (500 მ-ზე დაბლა მდებარე, საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი), 250-350 სმ-მდე (დასავლეთ საქართველოს საშუალო და მაღალმთიანი ზონები).

თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აღემატება 30-35 სმ-ს, ხოლო, დასავლეთ საქართველოს უხვოვლიან რაიონებში აღწევს 500-615 სმ-ს. მაგალითად, ცისკარაზე (ზღვის დონიდან 1210 მ) თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე იყო 615 სმ, კურორტ ბახმაროში (1920 მ) – 580 სმ, მამისონის უდელტებილზე (2854 მ) – 535 სმ, ლახამულაში (1200 მ) – 516 სმ. (ცხრ.2.2).

ცხრილი 2.2. თოვლის საფარის სიმაღლე საქართველოს ტერიტორიაზე

მაქსიმალური სიმაღლე მ	მაქსიმალური ფართიდან გადასაზღვრა %	საშუალი სიმაღლე მ	მაქსიმალური ფართიდან გადასაზღვრა %	მინიმალური სიმაღლე მ	მინიმალური ფართიდან გადასაზღვრა %
<100	28	<50	43	<30	67
101-200	31	51-100	27	31-60	13
201-300	17	101-150	12	61-90	10
301-400	12	151-200	0	>90	10
>400	12	>200	9		

მცირეთოველიან ზამთარში თოვლი არ მოდის (თოვლის საფარის მინიმალური სიმაღლე ნულის ტოლია), დასავლეთ საქართველოში 250-300 მ-ზე დაბლა მდებარე ტერიტორიაზე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში, 600-700 მ-ზე დაბლა მდებარე ტერიტორიაზე. გამონაკლისს წარმოადგენს, სამ-

ხრეთ საქართველოს გულკანური მთიანეთი, სადაც თოვლი არ მოდის 1250-1450 მ-ზე დაბლა მდებარე ტერიტორიაზე.

ცალკეულ რაიონებში, არცერთ ზამთარში მოსული თოვლის სიმაღლე, არ არის 100 სმ-ზე ნაკლები. ასე, მაგალითად, თოვლის საფარის მინიმალური სიმაღლე ჯვრის გადასასვლელზე (2395 მ) იყო 138 სმ, ბახმაროში (1920 მ) – 115 სმ, მამისონის გადასასვლელზე (2854 მ) – 110 სმ, ლებარდეში (1610 მ) – 107 სმ.

ჩვენს მიერ, შედგენილია თოვლის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური სიმაღლის რუკები. (ნახ. 2.1, 2.2, 2.3. იხ. დანართი).

მაქსიმალურთოვლიან ზამთარში, საქართველოს ტერიტორიის მთლიანი ფართობის 12%-ზე, თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე აღემატება 400 სმ-ს (ცხრ.2.2, ნახ.2.1).

ამ რაიონს, განსაკუთრებით, დიდი ტერიტორია უკავია მდ. ბზიფის, კოდორის, ენგურისა და აჭარისწყლის აუზებში; კერძოდ, მნიშვნელოვანი ტერიტორია – მდ. რიონისა და სუფსის აუზებში, ხოლო მცირე ტერიტორია – მდინარეების ლიახვის, ქსნისა და არაგვის აუზებში. დასავლეთ საქართველოში, ძირითადად, მოიცავს საშუალომთიან და მაღალმთიან ზონაში მდებარე ტერიტორიას, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – მხოლოდ, მაღალმთიან ზონაში მდებარე ტერიტორიას [19].

კავკასიონის მთავარი ქედის, დასავლეთი და ცენტრალური ნაწილის და მისი სამხრეთი განშტოებების – მესხეთის, შავშეთისა და არსიანის ქედების, საშუალომთიან ზონაში მდებარე ფერდობების, აგრეთვე, კავკასიონის მთავარი ქედის საშუალომთიან ზონაში მდებარე ფერდობების, უმეტესი ნაწილი უკავია რაიონებს, სადაც თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე 300-400 სმ-ია (საქართველოს მთლიანი ფართობის 12%) და 200-300 სმ (17%). განსაკუთრებით, დიდი ტერიტორია (31%) უკავია რაიონს, სადაც თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე 100-200 სმ-ია. აღმოსავლეთ საქართველოს, დაბალმთიან ზონაში მდებარე ტერიტორიაზე, მთლიანად და საშუალომთიან ზონაში მდებარე ტერიტორიის

მნიშვნელოვან ნაწილზე, თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე ნაკლებია 100 სმ-ზე (28%).

საქართველოს ტერიტორიის 43% უჭირავს რაიონს, სადაც თოვლის საფარის საშუალო სიმაღლე ნაკლებია 50 სმ-ზე ცხრ.2.2, (ნახ.2.2. იხ. დანართი).

აღნიშნულ რაიონს უკავია ზღვის დონიდან 200 მ-ზე დაბლა მდებარე ტერიტორია; კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილში – დაბალმთიანი ზონა, ხოლო სამხრეთ ნაწილში – საშუალომთიანი ზონის მნიშვნელოვანი ნაწილი.

აღმოსავლეთ საქართველოს, ჩრდილოეთი ნაწილის საშუალომთიანი ზონა და სამხრეთი ნაწილის, საშუალომთიანი ზონის ნაწილი და მაღალმთიანი ზონა უკავია რაიონებს, სადაც თოვლის საფარის საშუალო სიმაღლე, შეადგენს 50-100 და 100-150 სმ-ს. რაიონები, შესაბამისად, მოიცავენ საქართველოს მთლიანი ფართობის 27% და 12%-ს.

კავკასიონის დასავლეთი ნაწილისა და მისი განშტოებების მთიანი ფერდობები, უკავია რაიონებს, სადაც თოვლის საფარის სიმაღლე შეადგენს 150-200 სმ-ს (9%) ან აღემატება 200 სმ-ს (9%). ხოლო, 200 სმ-ზე მეტი თოვლის საფარის საშუალო სიმაღლის მქონე რაიონის ცალკეულ რეგიონებში (ბახმარო, ცისკარა), თოვლის საფარის საშუალო მრავალწლიური სიმაღლე 300-400 სმ-ს აღწევს.

საქართველოს ტერიტორიის, მთლიანი ფართობის 10%-ზე თოვლის საფარის სიმაღლე, ყოველწლიურად აღემატება 90 სმ-ს, ანუ აქ, თოვლის მინიმალური სიმაღლე შეტია 90 სმ-ზე ცხრ.2.2, (ნახ.2.3. იხ. დანართი).

ამ რაიონის, ცალკეულ რეგიონებში (ლებარდე, გუდაური, ბახმარო, ჯვრის უღელტეხილი, ცისკარა), თოვლის საფარის მინიმალური სიმაღლე აღწევს 100-145 სმ-ს. რაიონი, დასავლეთ საქართველოში მოიცავს, ძირითადად, საშუალომთიან და მაღალმთიან ზონებს, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში – მაღალმთიან ზონებს.

დასავლეთ საქართველოს საშუალომთიანი, აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთი ნაწილის საშუალო, მაღალმთია-

ნი და სამხრეთი ნაწილის, მაღალმთიანი ზონების უმეტესი ნაწილი, უკავია რაიონებს, სადაც თოვლის საფარის მინიმალური სიმაღლე არის 30-60 და 60-90 სმ. რაიონები მოიცავს, საქართველოს მთლიანი ფართობის 13 და 10%-ს, ხოლო უმეტესი ნაწილი (67%) უჭირავს რაიონს, სადაც თოვლის საფარის მინიმალური სიმაღლე ნაკლებია 30 სმ-ზე.

საქართველოს ტერიტორიაზე, თოვლის საფარი ხასიათდება არათანაბარი განაწილებით, რაც განპირობებულია კლიმატის ზვავწარმომქმნელი ფაქტორების ხასიათით და როგორი რელიეფით. ამასთანავე, კარგად დაიკვირვება, თოვლის საფარის მახასიათებლების ჭიდრო კაგშირი, ადგილის აბსოლუტურ სიმაღლესთან.

თოვლის საფარის მახასიათებლების დროსა და სიგრცეში დასადგენად, გამოვიყენეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მდგბარე, ყველა მეტეოროლოგიური სადგურისა და მეტეოსაგუშაგოს მონაცემები და თოვლის საფარის მარშრუტული აგეგმვის მასალები. სამწუხაროა, რომ XXI საუკუნეში, მანამდე არსებული 429 მეტეოროდგურისა, თუ მეტეოროსაგუშაგოს ნაცვლად, მხოლოდ 17 მეტეოროდგური ფუნქციონირებს და ამასთან, ზოგიერთი მათგანი, სრულად ვერ ასახავს იმ, რეალურ მეტეოროლოგიურ მოვლენას, რომელიც ამა თუ იმ რაიონს ახასიათებს. ამის ნათელი მაგალითია, მესტიის მეტეოროლოგიური სადგური, რომლის მონაცემების საფუძველზე, ზემო სვანეთში, თოვლის საფარისა და ნალექების დახასიათება სრულყოფილი ვერ იქნება. მანამდე არსებული 8 მეტეოროდგურისა და საგუშაგოს (ხაიში, ლახამი, ლახამულა, ბეჭო, ნაკი, დიზი, მესტია, მურყმელი) მონაცემებით როგორც ნალექების, ისე თოვლის საფარის განაწილებაზე, გაცილებით მეტი ინფორმაცია გვქონდა, რაც აუცილებელია, სწორი და დროული ზგავსაშიშროების პროგნოზირებისთვის და მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

მყარი ნალექების რაოდენობისა და თოვლის საფარის სიმაღლის, დროში ცვალებადობის გამოსავლენად, მრავალწლიური მონაცემების საფუძველზე დადგინდა, მათი მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური მნიშვნელობები.

ჩატარებული სამუშაოს ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე თოვლიანობის მიხედვით, გამოყოფილი რაიონები: განსაკუთრებით უხვთოველიანი, უხვთოველიანი, საშუალოთოველიანი და მცირეთოველიანი. გამოყოფილი რაიონებისათვის, ადგილი აქვს მყარი ნალექებისა და თოვლის საფარის მახასიათებლების, ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მიხედვით ცვლილების, თითქმის ერთნაირ კანონზომიერებას [19].

ამ ოთხ რაიონში, მყარი ნალექებისა და თოვლის საფარის ძირითადი მახასიათებლების ცვლილების გამოსავლენად, შევადგინეთ ადგილის აბსოლუტური სიმაღლესთან, მყარი ნალექების რაოდენობის, თოვლის საფარის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური სიმაღლების დამოკიდებულების განცხოლებები (2.5-2.8), ხოლო, თოვლის საფარის საშუალო სიმაღლის დამოკიდებულება გამოისახება შემდეგი განტოლებებით:

განსაკუთრებით უხვთოველიან რაიონში:

$$h_{\text{საჟ}} = 2,359H - 0,005H^2 - 0,092 \quad (2.10)$$

უხვთოველიან რაიონში:

$$h_{\text{საჟ}} = 0,143H + 0,576H^2 + 0,448 \quad (2.11)$$

საშუალოთოველიან რაიონში:

$$h_{\text{საჟ}} = -0,108H + 0,426H^2 + 0,165 \quad (2.12)$$

მცირეთოველიან რაიონში:

$$h_{\text{საჟ}} = -0,462H + 0,316H^2 + 0,308 \quad (2.13)$$

სადაც,  $h$  არის თოვლის სიმაღლე მ-ში, ხოლო  $H$  – ადგილის აბსოლუტური სიმაღლე კმ-ში.

მიღებული განცხოლებების გამოყენებით, ჩატარებული გამოთვლებისა და მეტეორსადგურებში, სისტემატური მრავალწლიური დაკვირვების მასალების გამოყენების საფუძველზე, დადგენილია მყარი ნალექებისა და თოვლის საფარის მახასიათებლების თავისებურება თითოეულ რაიონში.

განსაკუთრებით, უხვთოველიან რაიონს უკავია შავი ზღვის მიმდებარე, ჩრდილო-დასავლეთი, დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორია, სადაც ზღვის ნოტიო ჰაერის მასში, შედარებით დაუბრკოლებლად აღწევს. აქ, მყარი

ნალექების მაქსიმალური წლიური რაოდენობა იზრდება 350-400 მმ-დან (ზღვის დონიდან 5-50 მ) 1900-2000 მმ-მდე, საშუალო რაოდენობა – 0-10 მმ-დან 600-650 მმ-მდე, ხოლო თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე იცვლება, 100-120 სმ-დან – 700-750 სმ-მდე, საშუალო სიმაღლე – 30-36 სმ-დან 450-500 სმ-მდე, მინიმალური სიმაღლე 0-5 სმ-დან 200-250 სმ-მდე, თოვლის საფარის სიმაღლის ნამატი, ერთი თოვისას აღწევს 250-300 სმ-ს, დღე-დამური ნამატი – 150-170 სმ-ს.

უხვოვლიან რაიონს უკავია, განსაკუთრებით უხვოვლიანი რაიონის აღმოსავლეთით მდებარე, დასავლეთ საქართველოს ტერიტორია მთლიანად. აქ, მყარი ნალექების მაქსიმალური წლიური რაოდენობა იცვლება 250 მმ-დან (ქუთაისი, 114 მ) 1200 მმ-მდე (ბახმარო, 1920 მ), საშუალო რაოდენობა – 9 მმ-დან 725 მმ-მდე, მინიმალური რაოდენობა – 1 მმ-დან 300 მმ-მდე. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე იზრდება 110 სმ-დან 580 სმ-მდე, საშუალო სიმაღლე – 30 სმ-დან 300 სმ-მდე, მინიმალური სიმაღლე – 0-დან 115 სმ-მდე. თოვლის საფარის მაქსიმალური ნამატი, ერთი თოვისას შეადგენს 200-330 სმ-ს, დღე-დამური – 140-165 სმ-ს.

საშუალო თოვლიანი რაიონი მოიცავს, აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ ნაწილს, სადაც ჯერ კიდევ იგრძნობა ზღვის ნოტიო პაერის მასების გავლენა. აქ, მყარი ნალექების მაქსიმალური წლიური რაოდენობა იცვლება 125 მმ-დან (გორი, 588 მ) 1395 მმ-მდე (ჯვრის უღელტეხილი, 2395 მ), თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე – 75 სმ-დან 455 სმ-მდე, მათი საშუალო მნიშვნელობები, შესაბამისად, – 55-680 მმ 55 მმ-დან 680 მმ-მდე და 25 სმ-დან 232 სმ-მდე, ხოლო მინიმალური მნიშვნელობა – 25 მმ-დან 425 მმ-მდე და 0-დან 138 სმ-მდე, ერთი თოვისას თოვლის ნამატი აღწევს 150-205 სმ-ს, დღე-დამური ნამატი კი – 100-120 სმ-ს.

მცირეოვლიან რაიონს, საშუალოთოვლიანი რაიონის აღმოსავლეთით მდებარე, აღმოსავლეთ საქართველო მთლიანად უკავია კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიის ჩათვლით. აქ ნოტიო პაერის მასების შემოღწევა შენელებულია, ეს კი განაპირობებს, მცირე მყარი

ნალექებისა და თოვლის მცირე რაოდენობას. მყარი ნალექების მაქსიმალური წლიური რაოდენობა იცვლება 90 მმ-დან - 455 მმ-დან, თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე - 40 სმ-დან 150 სმ-დან, მათი საშუალო მნიშვნელობები, შესაბამისად - 30 სმ-დან 265 მმ-დან და 15 სმ-დან - 40 სმ-დან, ხოლო მინიმალური მნიშვნელობები - 5 სმ-დან 165 მმ-დან და 0-დან 10 სმ-დან. ერთი თოვის დროს, თოვლის სიმაღლის მაქსიმალური ნამატი აღწევს 80-100 სმ-ს, ხოლო დღე-დამური ნამატი - 55-65 სმ-ს.

თოვლის საფარი, გარკვეულ გავლენას ახდენს კლიმატზე, რელიეფზე, ჰიდროლოგიურ და ნიადაგწარმოქმნის პროცესებზე, მცენარეულ საფარზე და ცხოველთა სამყაროზე, სხვადასხვა დარგებზე. თოვლი, განსაკუთრებით, ისეთ ზომიერ სარტყელში მდებარე მთიან ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მდინარეების კვების ერთ-ერთი წყაროა. მყინვარების კვებაც და მატებაც, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, მოსული თოვლის რაოდენობაზე; ცნობილია, რომ ზამთარში მოსული თოვლის 17% მყინვარების კვებაზე იხარჯება. მცირე სითბოგამტარიანობის გამო, თოვლის საფარი იცავს ნიადაგს ძლიერი გადაცივებისგან, შემოდგომის ნაოესებს - გაყინვისგან. თოვლის საფარი წარმოადგენს, ზამთრის ტურიზმისა და სპორტული სახეობების განვითარების აუცილებელ პირობას. თოვლის საფარი, ამავე დროს, ხელს უშლის ტრანსპორტის ნორმალურ მოძრაობას. თოვლის ზვავები, მნიშვნელოვან ზარალს აყენებს მთიანი ქვეყნების ეკონომიკას, საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს, აძნელებს მთის მოსახლეობის ისედაც რთულ ყოფას.

**თავი 3. ზეპირობობრივი უძრავობი;**  
**ზეპირობრივი მოწოდების მოწოდების გლასიფიკაცია,**  
**მოწოდების მახასიათმგლები და მათი დაზღვნის**  
**მეთოდები**

ზვავსაშიშროება დამოკიდებულია გეოგრაფიულ პირობებზე, ძირითადად, რელიეფზე (ოროგრაფია, პიფსომეტრია, ზედაპირის დახრილობა), კლიმატზე (ჰაერის ტემპერატურა, ატმოსფერული ნალექები, თოვლის საფარი) და მცენარეული საფარის სახეობებზე.

რელიეფის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც განაპირობებს ზვავების ჩამოსვლის შესაძლებლობას, არის ფერდობების დახრილობა, რომელზეც დამოკიდებულია ზვავსაშიშროების მახასიათებელები. დადგენილია, რომ ზვავი შეიძლება წარმოიქმნას ისეთ ფერდობზე, რომლის ზედაპირის დახრილობა მეტია  $15^{\circ}$ -ზე. ოროგრაფია განსაზღვრავს, მთის ფერდობების ორიენტაციას და ექსპოზიციას, ნოტიო ჰაერის მასების მიმართ, რითაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, თოვლის საფარისა და შესაბამისად, ზვავების გავრცელების თავისებურებაზე. ადგილის აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერთად, იზრდება ზვავსაშიშროებაც, რაც განპირობებულია რელიეფის დანაწევრებით, თოვლიანობის ზრდით და ტყით დაფარული ფერდობების შემცირებით.

ზვავების წარმოქმნასა და ზვავსაშიშროების ხარისხზე, გარდა რელიეფისა, დიდ გავლენას ახდენს კლიმატური პირობებიც. ზვავწარმომქმნელ, ძირითად კლიმატურ ელემენტებად გვევლინება მყარი ატმოსფერული ნალექი, თოვლის საფარი და წლის ცივი ჰერიოდის ჰაერის ტემპერატურა.

ზვავების ტერიტორიალურ განაწილებასა და ასევე, წარმოქმნაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მცენარეული საფარი. ხშირი ტყე, ფერდობზე თოვლის დაცურების ხელშემლელ, საიმედო ფაქტორად გვევლინება. უნდა აღინიშნოს, რომ ახალმოსული მშრალი თოვლის ზვავების წარმოქმნა, ზოგჯერ, მეჩხერი ფოთლოვანი ტყით დაფარულ ფერდობებზეც ხდება. მცენარეული საფარი ხელს უწყობს ზვავების წარმოქმნასაც; მარადმწვანე ქვეტებ, სუბალპური და ალპური

ბალახოვანი საფარი, ფერდობებზე თოვლის მოცურებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

მნიშვნელოვანია, ტერმინ – ზვავშემკრების განმარტება, რადგან ხშირად, მის ნაცვლად, ზვავს ხმარობენ, ან პირიქით, ზვავს უწოდებენ ზვავშემკრებს. ზვავშემკრები არის მთიანი რელიეფის ნაწილი, სადაც წარმოიქმნება, მოძრაობს და ჩერდება ზვავი. მთიანი რელიეფის ნაწილში იგულისხმება ისეთი ელემენტები, როგორიცაა: ფერდობი, დარტაფი, ხევი, ხეობა ან მათი მონაკვეთი, აგრეთვე, ფერდობი და ხეობის ძირი ან მათი მონაკვეთი. ზვავშემკრები შედგება სამი ნაწილისგან: ზვავის კერის, ზვავის კალაპოტის (ზვავსადენს) და ზვავის გამოზიდვის კონუსისგან.

ზვავის კერა არის ზვავშემკრების ზედა ნაწილი, სადაც ხდება ზვავის წარმოქმნა ან, სადაც იწყება თოვლის მოძრაობა და ზვავის ფორმირება. კალაპოტი არის ზვავშემკრების შუა ნაწილი (ტერიტორია ზვავის კერასა და ზვავის გამოზიდვის კონუსს შორის), სადაც ხდება ზვავის თოვლის მოძრაობა, ანუ ზვავის კერაში დაგროვილი თოვლის მასის გადაადგილება (ტრანზიტი). ზვავის გამოზიდვის კონუსი არის ზვავშემკრების ქვედა ნაწილი, სადაც ხდება ზვავის სახით, მოძრაობაში მოსული თოვლის გაჩერება და დაგროვება. ზვავის კერა არის დაგროვილი თოვლის განტვირთვის ზონა, კალაპოტი – ზვავის თოვლის ტრანზიტის (გადაადგილების) ზონა, ხოლო გამოზიდვის კონუსი – ზვავის თოვლის დაგროვების ზონა.

ზვავშემკრები, თავისი მორფოლოგიური ფორმის მიხედვით, შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფში გაერთიანებულია, ისეთი ზვავშემკრებები, რომლებიც მდებარეობენ სწორ, დაუნაწევრებელ, არაეროზირებულ ფერდობებზე. ასეთ ზვავშემკრებებს არ გააჩნიათ მკვეთრად გამოყოფილი სამი ზონა: ზვავის კერა, კალაპოტი და გამოზიდვის კონუსი. აქ, ზვავები წარმოიქმნება და მოძრაობს სწორ ფერდობზე, ხოლო ჩერდება ფერდობის ძირში – დამრეც ზედაპირზე. პირველის საპირისპიროა, მეორე ჯგუფის ზვავშემკრებები,

რომელთაც გააჩნია მკვეთრად გამოკვეთილი, ერთმანეთის-გან გამოყოფილი ზვავის კერა, კალაპოტი და გამოზიდვის კონუსი; ზვავის კერა, ამ შემთხვევაში, წარმოადგენს ძაბრისებრ გაფართოებას, რომელიც კალაპოტან მიახლოებისას ვიწროვდება. კალაპოტი რელიეფის უარყოფითი ფორმაა და, ძირითადად, წარმოადგენს ხეობის, ხევის ან ლარტაფის ძირს; გამოზიდვის კონუსი, ჩვეულებრივ, რაც უფრო შორდება კალაპოტს, მით უფრო ფართოვდება. მისი ფორმა დამოკიდებულია, ძირითადად, რელიეფის თავისებურებაზე. ზვავშემკრების მესამე ჯგუფს გააჩნია, პირველი და მეორე ჯგუფის თვისებები. მესამე ჯგუფის ზვავშემკრებები, რელიეფში შეიძლება კარგად იყოს გამოკვეთილი, მაგრამ არ გააჩნდეს, ერთმანეთისგან კარგად გამოყოფილი ზვავის კერა, კალაპოტი, გამოზიდვის კონუსი. ზოგადად, პირველი ჯგუფის ზვავშემკრებს ეწოდება ფერდობის, მეორეს – ხევის, ხოლო მესამეს – ფერდობ-ხევის ზვავშემკრები.

მორფომეტრიული მახასიათებლების დადგენის ერთ-ერთი, ძირითადი, მეთოდი ექსპედიციების დროს მოპოვებული მასალების დამუშავება-ანალიზია. მათი მახასიათებლების დადგენაში დიდი როლი, გეომორფოლოგიურ და გეობოტანიკურ ნიშნებს ენიჭება. უტყეო ტერიტორიაზე, განსაკუთრებით, მნიშვნელოვანი გეომორფოლოგიური ნიშნებია – ზვავშემკრებების რელიეფის უარყოფითი ფორმები (ცირკები, ტროგები, დენუდაციური ძაბრები, ხეობები, ხევები, დარტაფები და სხვ.). ტყის გავრცელების ბუნებრივ საზღვრებში, უტყეო ციცაბო ფერდობების უმტერესი ნაწილი ზვავის კერა; წიწვოვან და შერეულ ტყებში, მხოლოდ, ფოთლოვანი ან უფრო ახალგაზრდა ტყის არსებობაც, ამ ადგილის ზვავსაში შროებაზე მეტყველებს; უფრო მაღლა მდებარე ზონისთვის დამახასიათებელი, ვეგეტაციის მოკლე პერიოდის მქონე მცენარეების გავრცელებაც, ტერიტორიის ზვავსაში შროებაზე მიუთითებს.

ზვავშემკრებების ცალკეული მორფომეტრიული მახასიათებლების განსაზღვრის ან დაზუსტების დროს, საველე მასალებთან ერთად, თეორიული მეთოდებიც გამოიყენება.

**თავი 4. ზეაპები, მათი კლასიფიკაცია წარმოქმნის  
მიხედვით; ზეაპების დინამიკური მახასიათებლები და  
მათი დაღგენის მთიოდები; პატასტროზული თოვლის  
ზეაპები.**

ზვავი არის, ფერდობზე სიმძიმის ძალის გავლენით მოწყვეტილი, გარკვეული სიჩქარისა და მოცულობის მქონე, თოვლის მასა. ერთ ზვაგშემკრებში წარმოქმნილი მრავალი ზვავიდან, ერთნაირი გავრცელების საზღვრები და დინამიკური მახასიათებლები, ორ ზვავსაც არ გააჩნია. ზვაგშემკრების საზღვარი არის, მასში წარმოქმნილი მრავალი ზვავიდან, ყველაზე ფართო გავრცელების მქონე ზვავის საზღვარი, რომელსაც ვერ გასცდება, მასში წარმოქმნილი ვერცერთი ზვავი.

თავდაპირველად, ერთმანეთისგან განასხვავებდნენ ახალმოსული თოვლის და ძველი თოვლი ზვავს; თოვლის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლისას დადგინდა, რომ ძველი თოვლის ზვაგში გაჩნდა, კიდევ რამდენიმე სახის ზვავი. ზვავის წარმოქმნის შესახებ, კარგ წარმოდგენას იძლევა მისი გენეზისი. საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსული ზვავების უმეტესი ნაწილი (80%), ახალმოსული თოვლისგან წარმოიქმნება. გაზაფხულზე, თოვლის დნობის დროს ჩამოსულ ზვავებზე მოდის – 8%, ათბობის დროს ჩამოსულ ზვავებზე – 6%, თოვლის საფარის სუბლიმაციური გადაკრისტალების შედეგად ჩამოსულ ზვავებზე – 4% და ქარბუქით გამოწვეულ ზვავებზე – 2%. ჩამოსვლის ხასიათის მიხედვით არსებობს, სისტემატური და სპორადული ზვავები. სისტემატური ისეთი ზვავია, რომელიც ყოველწლიურად ჩამოდის და მათი ჩამოსვლის ადგილი, კარგად არის ცნობილი ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ასეთი ზვავები მოიცავს, საქართველოს ტერიტორიის 20%-ს. სპორადული ზვავი შესაძლებელია, რამდენიმე წელიწადში, ათეულ წელიწადში ან საუკუნის განმავლობაში, ერთხელ ჩამოვიდეს, მაგრამ მისი დამანგრეველი ძალა, მნიშვნელოვნად აღემატება სისტემატური ზვავისას და ხშირად კატასტროფას იწვევს.

ზვავების რეჟიმის დასახასიათებლად, დიდი მნიშვნელობა აქვს დინამიკურ მაჩვენებლებს: მოძრაობის სიჩქარეს (v), უძრავ წინაღობაზე დარტყმის ძალას (p), ზვავის მოცულობას (w) და სხვა.

ზემოთ დასახელებული, ზვავის მაჩვენებლების განსაზღვრისათვის, გამოყენება ფორმულები, რომლებიც პრაქტიკაში კარგ შედეგს იძლევა [42,54].

ზვავის მოძრაობის სიჩქარის განსაზღვრა ხდება შემდეგი ფორმულებით:

$$v = \sqrt{\frac{as}{2}}, \quad a = 9,8(\sin \alpha - f \cos \alpha), \quad (4.1)$$

$$v = \sqrt{\frac{a(s_0 + s)}{2} + \left( \frac{s_0}{s_0 + s} \right)^3 \left( v_0^2 \cos^2 \Delta\alpha - \frac{as_0}{2} \right)}, \quad (4.2)$$

$$v = \sqrt{2gz}, \quad z = h - \frac{H-l}{L}, \quad (4.3)$$

სადაც,  $v$  – ზვავის სიჩქარეა, გზის მოცემულ წერტილში,  $m/\sqrt{m}$ ;  $\alpha$  – ფერდობის დახრის კუთხეა, გრადუსი;  $s$  – ფერდობის სიგრძე, მ-ში;  $s_0$  – ზვავის გზის წინა მონაკვეთების სიგრძეთა ჯამი;  $v_0$  – ზვავის სიჩქარეა, განვლილი გზის მონაკვეთის ბოლოს;  $\Delta\alpha$  – წინა და მოცემული გზის მონაკვეთების, დახრის კუთხეებს შორის სხვაობა, გრად;  $g$  – სიმძიმის ძალის აჩქარება,  $m/\sqrt{m}$ ;  $H$  – ზვავის მოწყვეტისა და განვერების ადგილებს შორის სიმაღლითი სხვაობა, მ-ში;  $h$  – იგივე, ზვავის მოძრაობის გრძივი პროფილის იმ წერტილზე, სადაც განისაზღვრება  $v_0$ ;  $L$  – ზვავის მოძრაობის გზის, პორიზონტალური პროექციის სიგრძე მოწყვეტის ადგილიდან, ზვავის გამოტანის წინა ნაპირამდე, მ;  $l$  – იგივე იმ წერტილამდე, სადაც განისაზღვრება  $v_0$ .

ზვავის დარტყმის ძალა უძრავ წინააღმდეგობაზე განისაზღვრება ფორმულით:

$$p = \frac{\gamma_{\gamma_0} \sin^2 \beta}{q}, \quad (4.4)$$

აქ,  $p$  – ზვავის ზემოქმედებაა წინააღმდეგობაზე,  $N/m^2$ ; ხოლო,  $\gamma_{\gamma_0} = 0,45$   $N/m^2$ ;  $\beta$  – კუთხე, ზვავის მოძრაობის მიმართულებასა და ნაგებობის ზედაპირს შორის, გრად.

ზვავის მოცულობა განისაზღვრება ფორმულით:

$$W=0,4F \cdot h, \quad (4.5)$$

სადაც,  $W$  – ზვავის მოცულობაა,  $\text{მ}^3$ ;  $F$  – ზვავშემკრების ფართობი,  $\text{მ}^2$ ;  $h$  – ზვავშემკრებში თოვლის საფარის სიმაღლე, მ.

დინამიკური მახასიათებლების დასადგენად, საქმარისია, მათი ჩამოსვლის შემდეგ, ჩატარებული სავალი კვლევის მასალების ანალიზი და მათი შეჯერება თეორიულ გამოთვლებთან.

განსაბუთოებით, უხვოვლიან ზამთრებში, როცა თოვლის საფარის სიმაღლე, ერთი თოვისას აღემატება 130-150 სმ-ს, დღე-დამეში 40-50 სმ-ს, ხოლო საათში 2 სმ-ს, მაშინ ადგილი აქვს, ზვავების მასიურ ჩამოსვლას, რომელიც ზოგჯერ, კატასტროფულ ხასიათს ატარებს.

დასახლებულ პუნქტში, ზვავის ჩამოსვლა არასასიამოვნო ფაქტია; მიგაჩნია, რომ ზვავმა თუ დამხმარე ნაგებობები დაანგრია, დააზიანა და შეაფერხა ან შეწყვიტა მიმოსვლა – ეს ნორმალური საქმიანობისთვის ხელის შეშლაა; ზვავის მიერ, საცხოვრებელი სახლების დანგრევა, უკვე სტიქიური მოვლენაა. თუ ზვავის ჩამოსვლამ, ზემოთ ჩამოთვლილ ზიანთან ერთად მსხვერპლიც გამოიწვია – ეს კატასტროფაა და თუ, ეს კატასტროფა რამდენიმე, ერთმანეთისგან დაშორებულ, დასახლებულ პუნქტში მოხდა – ეს უკვე, კატასტროფული ზვავების მასიური ჩამოსვლაა [4,15,16].

კატასტროფულია ზვავი, როგორც სპორადული, ისე სისტემატური, როდესაც ეს უკანასკნელი სცილდება, თავის ჩემულ საზღვრებს. მისთვის დამახასიათებელია, მოულოდნელობა (ეს სპორადულ ზვავებს ეხებათ) და იშვიათი, დამანგრეველი ძალა. ზვავები დიდ ზიანს აყენებენ მოსახლეობას, იწვევენ ნგრევას, ადამიანთა მსხვერპლს და დიდ ტერიტორიაზე ანადგურებენ ტყის მასივებს. ასეთი ზვავების ჩამოსვლის მაგალითები, მოვანილია პირველ თავში, სადაც, ასევე რუკის სახით, (ნახ. 11. იხ. დანართი) წარმოდგენილია სისტემატური და სპორადული ზვავების გავრცელების რაიონები საქართველოში.

## თავი 5. ზგავსაშიში დასახლებული პუნქტები და ობიექტები საძარღველოში

ზვავსაშიში დასახლებული პუნქტებისა და ობიექტების გამოვლენას, საფუძვლად დაედო მრავალწლიანი საველე კვლევის ( $>40$  წელი) მასალები, პიდრომეტრებისა და არტერიული წლების საგაზირო პუნქტები, ლიტერატურულ წყაროებში გამოქვეყნებული ინფორმაცია. ლიტერატურულ წყაროებიდან, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, კავკასიის კალენდრებში [45] წარმოდგენილი ცნობები, ზვავების ჩამოსვლის და მათ მიერ მიყენებული ზიანის შესახებ, მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისში.

განსაკუთრებულად, მნიშვნელოვანი იყო 1971 წ. თებერვლის თვეში და 1976, 1987 წლის იანვრის თვის კატასტროფული ზვავების მასიური ჩამოსვლის შემდეგ, ექსპედიციების დროს მოპოვებული მასალა. ამ წლებში, თითქმის, ყველა ზვავშემკრებიდან ჩამოვიდა ზვავი, მიაღწია რა, თავიანთი გავრცელების მაქსიმალურ საზღვრებს, გამოიწვია ასამდე ადამიანის დაღუპვა და უდიდესი მატერიალური ზარალი.

საველე მასალის სრულყოფა, შესაძლებელი გახდა თოვლის კადასტრზე [32,34] მუშაობის დროს ჩატარებული კვლევებით, არა მარტო საქართველოს ყველა რაიონში, არამედ, ამიერკავკასიის ქვეყნები და დაღესტნის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ყველა, ზემოთ ჩამოთვლილი წყაროს, თუ მასალის, ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ ზვავსაშიშია – აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ საქართველოსთან, ბარის მთასთან, მთაში მდებარე რაიონების, დასახლებული პუნქტების ერთმანეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო მაგისტრალები, მთიან რაიონებში განლაგებული ელექტროგადამცემი ხაზები, რეკრეაციული და სხვა დანიშნულების ობიექტები.

გასული საუკუნის, კატასტროფული ზვავების მასიური ჩამოსვლის შემდეგ, ინსტიტუტის თოვლის ზვავების ლაბორა-

ტორიის მეცნიერების მიერ (პ. აბდუშელიშვილი, ლ. ქალდანი, მ. სალუქვაძე), ჩატარებული კვლევის შედეგად, შედგენილი იყო „ზვავსაშიში დასახლებული პუნქტებისა და სახალხო-სამეურნეო ობიექტების“ ჩამონათვალი, სადაც 185 ზვავსაშიში დასახლებული პუნქტი და სხვადასხვა ობიექტია; მათგან, 60 დასახლებულ პუნქტში, ზვავების ჩამოსვლამ შენობანაგებობის ნგრევა გამოიწვია, 40-ში – დაზიანება, ხოლო 85 პუნქტი – პოტენციურად ზვავსაშიში იყო. ეს პუნქტები, ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით, ასე იყო განაწილებული (ცხრ.5.1):

ყველაზე მეტი, ზვავსაშიში დასახლებული პუნქტი, მესტიის (საერთო რაოდენობის 16%), ხულოს (15%) და დუშეთის (11%) რაიონში მდგრადი და. მდინარეთა აუზების მიხედვით, ყველაზე მეტი დასახლებული პუნქტი, მდ. აჭარისწყლის – 54 (საერთო რაოდენობის 29%), მდ. ენგურის – 30 (16%) და არაგვის – 21 (11%) აუზებში მდგრადი და. დასავლეთ საქართველოში, მათი რაოდენობა 69%-ს (127), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 31%-ს (58) შეადგენდა.

### ცხრილი 5.1. ზვავსაშიში დასახლებული პუნქტების რაოდენობა 1980 წლის მონაცემებით

№	პუნქტი	რ-ბა	№	პუნქტი	რ-ბა
1	გუდაუთა	1	10	ცხინვალი	6
2	გულრიფში	1	11	ახალგორი	11
3	მესტია	30	12	დუშეთი	21
4	მარტვილი	1	13	ყაზბეგი	6
5	ლენტები	15	14	ჩოხატაური	8
6	ცაგერი	2	15	ქობულეთი	2
7	ამბროლაური	2	16	ქედა	11
8	ონი	2	17	შუახევი	16
9	ჯავა	16	18	ხულო	27

1980 წელს, ჩამონათვალში 85 პუნქტი მივიჩნიეთ პოტენციურად ზვავსაშიშად, რადგან საველე მასალების ანალიზით და თეორიული გამოთვლებით დადგინდა, რომ არსებული ზვავშემკრებებიდან ჩამოსულმა ზვავმა, ამ პუნქტებში, შესაძ

ლებელია გამოიწვიოს მატერიალური ზარალი. სწორედ, შემდგომ პერიოდში ჩატარებულმა კვლევებმა, განსაკუთრებით კი, უხვოვლიანდა 1987 წლის იანვარმა, განამტკიცა ჩვენი მიღებით და ზვაგსაშიში პუნქტების რაოდენობამ 153 ერთეულით მოიმატა და 343 გახდა (ცხრ.5.2). ეს მატება, ძირითადად, ტყის არასწორი ექსპლოატაციით იქმ გამოწვეული, გარდა ამისა, ამ პროცესს სპორადული, ანუ იშვიათი განმეორადობის ზვაგებმაც შეუწყო ხელი.

წლების განმავლობაში, (1846 წლიდან) ზვაგების ჩამოსვლის შედეგად საქართველოში, იმ მასალის მიხედვით, რომელიც ჩვენს მიერ იქნა მოძიებული, დაიღუპა 660 ადამიანი, დაინგრა 2700 და დაზიანდა 3560 საცხოვრებელი სახლი. აღსადგენი გახდა 650 სკოლა, საბავშვო ბაღი, საკურორტო ნაგებობა, საავადმყოფო, კლუბი, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი და სხვა, შესაკეთებელი გახდა 1000 კმ-ზე მეტი გზატავილი. კავშირგაბმულობის, ელექტროგადამცემი ხაზების აღდგენა ასეულ კილომეტრზე მოხდა.

ცხრილი 5.2. 1980 და 2014 წლების მონაცემთა შედარება

ზვაგსაშიში პუნქტი, ზარალი	წელი	
	1980	2014
ზვაგსაშიში დასახლებული პუნქტი	185	343
ნგრევა, მსხვერპლი	60	160
დაზიანება	40	63
პოტენციურად ზვაგსაშიში	85	120

343 დასახლებული პუნქტიდან, 78-ში ზვაგების ჩამოსვლამ ნგრევასთან ერთად, ადამიანთა მსხვერპლი გამოიწვია, 82-ში ნგრევა, 63-ში დაზიანება, ხოლო 120 დასახლებული პუნქტი პოტენციურად ზვაგსაშიშია. ზვაგსაშიში დასახლებული პუნქტების რაოდენობით, განსაკუთრებით, გამოირჩევა მესტიის (61), დუშეთის (49), ხულოს (45), ლენქების (34), ჯავის (25), შუახევის (21) რაიონები. დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, ზვაგსაშიში პუნ-

ქტების და ზვავშემკრებების მეტი რაოდენობა, ძირითადად, განპირობებულია ზვავწარმომქმნელი ფაქტორებით, კერძოდ, რელიეფის დახრილობით და უხვი ნალექებით. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბუნებრივი ტყე დიდ ტერიტორიაზე, დასავლეთ საქართველოში მდ. ენგურის და მდ. აჭარის-წყლის აუზებშია გაჩეხილი [5-7, 20-25].

საქართველოს ტერიტორიაზე, ათი ათასამდე ზვავშემკრებია, მათგან მოსახლეობისა და ქვეყნის ეკონომიკისათვის საშიშია 2550 ზვავშემკრები, აქედან 603 – დასახლებულ პუნქტს ემუქრება, ხოლო 1947 – სხვადასხვა ობიექტს.

ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის ხაზების დაცვა შედარებით ადვილია, რადგან ანძებისა და ბოძებისთვის, არაზვავსაშიში ადგილას შერჩევა და მათი გადატანა უხაფრთხო ადგილზე, დიდ დანახარჯს არ მოითხოვს. ასევე, ზვავსაშიშ მაგისტრალზე უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა, ზვავსაშიშროების დროული პროგნოზით და ზვავსაშიში პერიოდის განმავლობაში, მოძრაობის შეზღუდვით არის შესაძლებელი.

დასახლებული პუნქტების დაცვა შედარებით რთულია, რადგან დროულად გაცემული პროგნოზით და მოსახლეობის ევაკუაციით, შესაძლებელია მსხვერპლის თავიდან აცილება, მაგრამ ზვავსაშიშ ზონაში მდებარე ნაგებობის ნგრევის აღნათობა დიდია. სწორი და ეფექტური ღონისძიებების გასატარებლად, აუცილებელია, ზვავის დასაწყისისა და დასახრულის აბსოლუტური სიმაღლის, სიგრძის, კერის ფართობის, ზედაპირის დახრილობის, მაქსიმალური სიჩქარისა და დარტყმის ძალის, კონუსის მოცულობისა და მოძრავი ზვავის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრა.

დაბალმთიან ზონაში იწყება, დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავშემკრებების, საერთო რაოდენობის 10% (603-დან 59) და სხვადასხვა ობიექტისთვის საშიში ზვავშემკრებების, საერთო რაოდენობის 15% (1947-დან 238); საშუალომთიან ზონაში 59% და 37% (357 - 603-დან და 734–1947-დან), ხოლო მაღალმთიან ზონაში = 31 და 48% (ცხრ. 5.3).

**ცხრილი 5.3. ზვავშემკრებების განაწილება დასაწყისის  
აბსოლუტური სიმაღლის მიხედვით**

№	სიმაღ- ლე	დასახლებული პუნქტების- თვის საშიში		სხვადასხვა ობიექტის- თვის საშიში		ჯამი	
		რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%
1	<1000	59	10	283	15	342	11
2	1001-1500	157	26	315	16	472	19
3	1501-2000	200	33	419	21	619	24
4	2001-2500	138	23	489	25	627	25
5	2501-3000	35	6	276	14	311	12
6	>3000	14	2	165	9	179	7
ჯამი		603	100	1947	100	2550	100

ყველაზე დიდ სიმაღლეზე (2300-2500 მ), საქართველოს სამხედრო გზის, ჯვრის უღელტეხილზე მდებარე ზვავშემკრებები მთავრდება. ყველაზე დაბალ სიმაღლეზე (50-100 მ), მდ. ბზიფისა და აჭარისწყლის ხეობაში მდებარე ზვავშემკრებებია, რომლებიც საავტომობილო გზების, დაბალმთიან ზონაში მდებარე მონაკვეთს ემუქრება (ცხრ.5.4).

**ცხრილი 5.4. ზვავშემკრებების განაწილება დასასრულის  
აბსოლუტური სიმაღლის მიხედვით**

№	სიმაღ- ლე	დასახლებული პუნქტების- თვის საშიში		სხვადასხვა ობიექტის- თვის საშიში		ჯამი	
		რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%
1	<500	49	8	82	4	131	5
2	501-1000	174	29	582	30	756	30
3	1001-1500	229	38	432	22	661	26
4	1501-2000	130	22	613	32	743	29
5	>2000	21	3	235	12	259	10

დასავლეთ საქართველოში, დასახლებული პუნქტებისთვის საშიში ზვავშემკრებების, უმეტესი ნაწილი (99%) მდებარეობს.

საქართველოს ტერიტორიისთვის, შევადგინეთ ზვავსაშიში და პოტენციურად ზვავსაშიში რაიონების რუკა (ნახ.5.1. იხ. დანართი).

1000 მეტრამდე სიგრძით ხასიათდება, დასახლებული პუნქტებისთვის და სხვადასხვა ობიექტისთვის საშიში ზვავშემკრებების 43% (ცხრ. 5.5).

#### ცხრილი 5.5. ზვავშემკრებების განაწილება სიგრძის მიხედვით

№	სიგრძე	დასახლებული პუნქტებისთვის საშიში		სხვადასხვა ობიექტისთვის საშიში		ჯამი	
		რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%
1	<500	33	6	220	11	253	10
2	501-1000	225	37	631	32	856	34
3	1001-1500	144	24	452	23	596	23
4	1501-2000	74	12	280	14	354	14
5	2001-2500	49	8	167	9	216	9
6	2501-3000	36	6	72	4	108	4
7	3001-4000	28	5	74	4	102	4
8	>4000	14	2	51	3	65	2

0,3 პერსონალი ზვავის კერის ფართით, ხასიათდება დასახლებული პუნქტებისა და სხვადასხვა ობიექტისათვის საშიში ზვავშემკრებების 23 და 32%, 10-დან 100 პა-მდე, შესაბამისად, 9 და 10%, ხოლო 100 პა-ზე მეტი ფართობით, 2 და 3% (ცხრ.5.6).

ზოგიერთი მდინარის აუზში მდებარე, ზვავის კერის ფართობი 320-350 პერსონალი (მდ. ცხენისწყალი), 240-320 პა (მდ. მულხურა, ენგურის აუზი). დიდ ზვავშემკრებში წარმოქმნილი ზვავი, მესტიის რაიონის სოფლებს – ლაპირს, სვიფს და

ლენტების რაონის სოფლებს – ლეუშერს და ოქალს ემ-უქრება.

### ცხრილი 5.6. ზვავის კერძის განაწილება ფართობის მიხედვით

№	ზვავის კერძის ფართობი, ჰა	დასახლებული პუნქტებისთვის საშიში		სხვადასხვა ობიექტისთვის საშიში		ჯამი	
		რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%
1	<0,3	140	23	623	32	763	30
2	0,31-0,5	175	29	366	19	541	21
3	0,51-1,0	104	17	263	14	367	14
4	1,1-5,0	63	11	237	12	300	12
5	5,1-10,0	54	9	203	10	250	10
6	10,1-100	53	9	197	10	250	10
7	>100	14	2	58	3	72	3

ზვავის კერის ზედაპირის დახრილობა, იცვლება  $17-18^0$ -დან (მდ. ენგურისა და რიონის აუზები)  $53^0$ -მდე (მდ. შავი არაგვის აუზი).

$20^0$ -მდე ზედაპირის დახრილობით, დასახლებული პუნქტებისათვის და სხვადასხვა ობიექტისათვის საშიში ზვავშემკრებების 3 და 1% ხასიათდება,  $20$ -დან  $30^0$  დახრილობით – 36 და 23%,  $30$ -დან  $40^0$ -მდე დახრილობით – 54 და 50%, ხოლო  $40^0$ -ზე მეტი დახრილობით – 8 და 26% შესაბამისად (ცხრ.5.7).

ზვავის მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე 2550 ზვავშემკრებებისათვის, 6 მ/წმ-დან (მდ. თეთრი არაგვისა და მდ. ქვაბლიანის აუზები) 67 მ/წმ-მდე (მდ. ცხენისწყლის აუზი) იცვლება. შედარებით დაბალი სიჩქარეებით ( $<30$  მ/წმ) ხასიათდება, დასახლებული პუნქტებისთვის და სხვადასხვა ობიექტისთვის საშიში ზვავშემკრებების 50 და 40%, ხოლო, დიდი მაქსიმალური სიჩქარით ( $>50$  მ/წმ) – 7%. (ცხრ.5.8) [5,6].

**ცხრილი 5.7. ზვავის კერძების განაწილება ზედაპირის  
დახრილობის მიხედვით**

№	ზვავის პერის ფართო- ბი, ჰა	დასახლებული პუნქტების- თვის საშიში		სხვადასხვა ობი- ექტისთვის საში- ში		ჯამი	
		რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%
1	<20	16	3	18	1	34	1
2	21-25	58	9	140	7	198	8
3	26-30	158	26	308	16	466	18
4	31-35	198	33	479	25	677	27
5	36-40	125	21	498	25	623	24
6	41-45	41	7	311	16	352	14
7	>45	7	1	193	10	200	8

**ცხრილი 5.8. ზვავების განაწილება სიჩქარეების მი-  
ხედით**

№	სიჩქარე მ/წმ	დასახლებუ- ლი პუნქტე- ბისთვის საშიში		სხვადასხვა ობიექტისთვის საშიში		ჯამი	
		რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%
1	<20	65	11	255	13	320	12
2	21-30	235	39	522	27	757	30
3	31-40	194	32	644	33	838	33
4	41-50	79	13	392	20	471	19
5	>50	30	5	134	7	164	6

ზვავის წინაღობაზე დარტყმის ძალის სიდიდე, დამოკიდე-  
ბულია ზვავის გადაადგილების სიჩქარეზე. მცირე დარტყმის  
მაქსიმალური ძალა, მცირე სიჩქარით მოძრავ ზვავებს ახასი-  
ათებთ, ხოლო დიდი სიჩქარით მოძრავი ზვავები, დიდი დარ-  
ტყმის ძალით გამოირჩევიან.

ზვავის მაქსიმალური დარტყმის ძალა (ცხრ. 5.9) იცვლება  
2 ტ/მ-დან (მდ. ოერგის აუზი) 206 ტ/მ-მდე (მდ. ცხენისწყლის  
აუზი). მცირე (<50 ტ/მ) მაქსიმალური დარტყმის ძალით ხასი-  
ათდება, დასახლებული პუნქტებისა და სხვადასხვა

ობიექტისთვის საშიში ზვავების 60 და 51%, ხოლო დიდი ( $>100$  ტ/მ) დარტყმის ძალით 8 და 14%.

### ცხრილი 5.9. ზვავების განაწილება მაქსიმალური დარტყმის ძალის მიხედვით

№	დარტყმის მის ძალა, ტ/მ	დასახლებული პუნქტების-თვის საშიში		სხვადასხვა ობიექტების-თვის საშიში		ჯამი	
		რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%
1	<25	120	20	380	20	500	20
2	26-50	245	41	623	32	868	34
3	51-75	128	21	422	22	550	21
4	76-100	60	10	238	12	298	12
5	101-125	27	4	202	10	229	9
6	>125	23	4	82	4	105	4

დიდი მაქსიმალური სიჩქარე და დარტყმის ძალა იმ ზვავებს გააჩნიათ, რომლებიც კავების მთავარი ქედისა და მისი განშტოებების, ასევე სვანეთის, ბზიფის, კოდორის ქედის ფერდობებზე წარმოიქმნებიან. ხოლო, სამხრეთ საქართველოს მთიანეთში ზვავშემკრებები, დიდი შეფარდებითი სიმაღლით არ გამოირჩევა და დასაწყისის სიმაღლეც შედარებით დაბალია.

ზვავის კონუსის მოცულობა 0,6 ათასი მ-დან (მდ. თეთრი არაგვის აუზი) 9800 ათას მ³-დე (მდ. ცხენისწყლის აუზი) იცვლება. 10 ათასი მ³-ზე ნაკლები კონუსის მოცულობით, დასახლებული პუნქტებისა და სხვადასხვა ობიექტისთვის საშიში ზვავების 55 და 40% ხასიათდება, ხოლო მილიონ მ³-ზე მეტი კონუსის მოცულობით, 4 და 6% შესაბამისად (ცხრ. 5.10).

ზვავის კონუსის დიდი მოცულობა (მილიონ მ³-ზე მეტი), მხოლოდ კავების მთავარი ქედისა და მისი განშტოებების ფერდობებზე მდებარე ზვავებისთვისაა დამახასიათებელი.

დასავლეთ საქართველოში მდებარეობს იმ ზვავის კერების საერთო რაოდენობის 90%-ზე მეტი, რომელთა მოცულობა აღემატება მილიონ მ³-ს; ამის მიზეზი დასავლეთ საქარ-

თვეელოს უხვთოვლიან და განსაკუთრებით უხვთოვლიან რაიონებში მოსული თოვლის სიმაღლეა. კონუსის მოცულობას კი, სწორედ თოვლის რაოდენობა განაპირობებს.

**ცხრილი 5.10. ზვავების განაწილება კონუსის მაქსიმალური მოცულობის მიხედვით**

№	დარტყ-მის ძალა, ტ/ტ	დასახლებული პუნქტების სივრცის საშიში		სხვადასხვაობიექტის საშიში		ჯამი	
		რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%
1	<5	199	33	683	35	882	35
2	5,1-10	135	22	261	13	396	15
3	10,1-25	114	19	311	16	425	17
4	25,1-100	66	11	296	15	362	14
5	100,1-500	43	7	214	11	257	10
6	500,1-1000	21	4	70	4	91	4
7	100,1-3000	15	2	64	3	79	3
8	>3000	10	2	48	6	58	2

ზვავის მაქსიმალური სიმაღლე, ანუ ზვავის სახით მოძრაობაში მყოფი თოვლის მაქსიმალური სიმაღლე 5-დან 38 მ-დე იცვლება (ცხრ.5.11). აღმოსავლეთ საქართველოში ზვავის მაქსიმალური სიმაღლე არ აღემატება 23 მ-ს.

დასავლეთ საქართველოში დასახლებული პუნქტების სივრციშ 404 ზვავშემკრებში წარმოქმნილი ზვავის მაქსიმალური სიმაღლე მეტია 15 მ-ზე. განსხვავება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, ზვავის მაქსიმალურ სიმაღლეებს შორის, განპირობებულია მოსული თოვლის რაოდენობით.

ცხრილიდან (ცხრ. 5.3-5.11) ცხადია, რომ 2550 ზვავშემკრებში წარმოქმნილი ზვავი, დასახლებულ პუნქტებს და სხვადასხვა სახის ობიექტს ემუქრება.

მაგალითისთვის მოვიყვანო, რამდენიმე მთიან რაიონს: ჯვარი – მესტიის ტრასის ჯვარი-ხაიშის 44 კმ-ის სიგრძის მონაკვეთს, 141 ზვავშემკრები გადაკვეთს; ჩოხატაური-ბახმაროს საავტომობილო გზას – 67 ზვავშემკრები, თავად კუ-

რორტ ბახმაროში 32 ზვაგშემკრებია; საქართველოს სამხედრო გზის უინგალი-მლეთას მონაკვეთზე 52 ზვავი ჩამოდის, ალმასიანი-დარიალის მონაკვეთზე – 27, ხოლო გუდაური-კობის მონაკვეთზე – 59 ზვავია, აქედან 41 ზვავი გზაზე გამოდის, ხოლო არსებული ზვავდამცავი გვირაბები და გალერეა გზას სრულად ან ნაწილობრივ იცავს მხოლოდ 17 ზვავისაგან. აჭარის ტერიტორიაზე (ხულო, ქვედა, შუახევი, ქობულეთი, ხელვაჩაური) – 161 ზვავის კერაა; დუშეთის რაიონს 49 ზვავი ემუქრება, მათ შორის დაბა ფასანაურს – 14. შიდა ქართლში 34 ზვაგშემკრებიდან, ძირითადად, სპორადული ზვავები ჩამოდის.

#### ცხრილი 5.11. ზვავების განაწილება მაქსიმალური სიმაღლის მიხედვით

№	დარტყმის ძალა, ტ/მ	დასახლებული პუნქტებისთვის საშიში		სხვადასხვა ობიექტის- თვის საშიში		ჯამი	
		რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%
1	<10	50	8	364	19	414	16
2	11-15	63	10	590	30	653	26
3	16-20	136	22	278	14	414	16
4	21-25	138	23	202	10	340	13
5	26-30	89	15	178	9	267	11
6	31-35	94	16	170	9	264	10
7	>35	33	6	165	9	198	8

ზვაგსაშიში პუნქტების დიდი რაოდენობით გამოირჩევა მდინარეების აჭარისწყლის – 80, ენგურის – 61, რიონის – 45 და ლიახვის – 36 აუზები. დასავლეთ საქართველოში ზვაგსაშიში დასახლებული პუნქტების საერთო რაოდენობის 63%, ხოლო აღმოსავლეთში – 37% მდებარეობს. დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთთან შედარებით, მეტია ზვაგშემკრებების რაოდენობა, რაც, ძირითადად, ზვაგწარმომქმნელი ფაქტორებით, კერძოდ რელიეფის დახრილობით და უხვი ნალექებით არის განპირობებული.

## თავი 6. ტყის საზარის როლი თოვლის ზგავების ფორმირებაში

ზვავების ტერიტორიალურ განაწილებაზე, სხვა ფაქტორებთან ერთად, მცენარეული საფარიც ახდენს გავლენას. ფერდობებზე ტყის არსებობა ხელს უძლის თოვლის დაცურებას, ტყის ჯიშებსაც არსებითი როლი ენიჭება. ფოთლოვანი ტყით დაფარული ფერდობები, წიწვოვან ტყებთან შედარებით, ორჯერ უფრო ზვავსაშიშია. რიგ შემთხვევაში, მცენარეული საფარი ხელს უწყობს ზვავების წარმოქმნას, მაგალითად, მარადმწვანე ქვეტყე, სუბალპური და ალპური ბალახოვანი საფარი, ხელსაყრელ პირობას ქმნის თოვლის მოცურებისთვის.

მცენარეული საფარი შეიძლება გაიყოს სამ ჯგუფად – ზვავწარმომქმნელი, ნეიტრალური და ხელშემწყობი.

საქართველოს ტერიტორია, ტყის ფორმაციების მრავალფეროვნებით – ტიპოლოგიური შემადგენლობის სიმდიდრით გამოირჩევა. საშუალომთიან ზონაში ტყებს, განსაკუთრებით, დიდი ფართობი უკავია. დაბალმთიან ზონაში ტყე, ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად, სახეშეცვლილია და მხოლოდ, ციცაბო ფერდობებზეა შენარჩუნებული.

საქართველოს ტერიტორიაზე, უმეტესად, წიფლის, ნაძვის, ფიჭვის და სოჭის ტყეებია გავრცელებული. ფოთლოვანი, შერეული და წიწვოვანი ტყეები, საქართველოს ტერიტორიის 16, 15 და 7% მოიცავს. ტყე არათანაბრადაა გავრცელებული კავკასიონის მთავარი ქედის, დასავლეთი ნაწილის სამხრეთ ფერდობებზე და ტერიტორიის 40-45%, ხოლო, იმავე ქედის აღმოსავლეთი ნაწილის სამხრეთ ფერდობებზე – 30-40% უკავია. სამხრეთ საქართველოს მთიანეთის დასავლეთ ნაწილში, ტყიანი ტერიტორია 60%-ია. ტყე შედარებით მცირე ფართობით (20%), სამხრეთ საქართველოს მთიანეთის აღმოსავლეთ ნაწილში, შიდა ქართლის ვაკეზე, ივრის ზეგანსა და ალაზნის ველზე გვხვდება.

უტყეო ტერიტორიაზე ზვავშემკრებების გავრცელების საზღვრების დადგენა, შესაძლებელია გეომორფოლოგიური ნიშნებით. მაღალმთიან ზონაში ზვავშემკრებებად, მყინვარუ-

ლი და ნივალურ-ეროზიული, საშუალომთიან ზონაში – ნივალურ-ეროზიული და ეროზიული, ხოლო დაბალმთიან ზონაში – ეროზიული გენეზისის რელიეფის უარყოფითი ფორმები გვხვდება. ზვავის კერებს ცირკები, კარები, დენუდაციური ძაბრები, ეროზიული ჭრილები და რელიეფის სხვა, უარყოფითი ფორმები წარმოადგენს. დარტაფის, ხევის და რელიეფის სხვა უარყოფითი ფორმების მოსახვევების მიდამოებში, მცენერეული საფარისაგან გაშიშვლებული მონაკვეთების არსებობა, ზვავსაშიშროების ნიშანია; ზემოთ ჩამოთვლილი რელიეფის უარყოფითი ფორმები ზვავსადენს (ზვავის კალაპოტებს) წარმოადგენს და მათ მოსახვევებში უტყეო მონაკვეთები, ძირითადად, ზვავის მოქმედების შედეგად არის წარმოქმნილი. ფერდობის ძირიდან შედარებით მოშორებულ ტერიტორიაზე, იქ სადაც, ფერდობიდან ჩამოცვენილი ნაშალი მასალის გადაადგილება არ ხდება, დაუხსარისხებელი და დაუმუშავებელი ნაშალი მასალის, მცირე სიმაღლის პარალელური სერებისა და ცალკეული ბორცვების არსებობა, მიუთითებს ამ ტერიტორიის ზვავსაშიშროებაზე. აღნიშნული ნაშალი მასალა, სერები და ბორცვები, ზვავის მიერ არის წარმოქმნილი და ეს ტერიტორია ზვავის გამოზიდვის კონუსს წარმოადგენს.

ტყის გავრცელების ბუნებრივ საზღვრებში, ზვავსაშიში ტერიტორიის დასაღვენად, მნიშვნელოვანია გეობორინიკური ნიშნები. ციცაბო ( $15^{\circ}$ -ზე მეტი დახსრილობის მქონე) ფერდობებზე მდგბარე, უტყეო ტერიტორიების უმეტესი ნაწილი, ზვავის კერას წარმოადგენს; დარტაფების, ხევების გასწვრივ უტყეო ან ბუჩქით დაფარული ტერიტორიების არსებობა მიუთითებს, რომ რელიეფის ამ უარყოფითი ფორმების უმრავლესობა ზვავსადენს წარმოადგენს, ანუ აქ და მიმდებარე ტერიტორიაზე, ტყის საფარის განადგურება ზვავის მოქმედების შედეგია, ხოლო განადგურებული ტყის მიდამოები, ზვავის გამოზიდვის კონუსს წარმოადგენს.

ზვავი არამარტო ტყის საფარს ანადგურებს, არამედ ცვლის მის შემადგენლობასაც. ზვავები, პირველ რიგში, წიწვოვან ჯიშებს ანადგურებს, რადგან ფოთლოვანი ტყე უფრო

გამძლეა. წიწვოვანი და შერეული ტყის არსებობა, ტერიტორიის ზვავსაშიშროების უტყუარი ნიშანია, თუმცა ასეთ შერეულ ტყეში, ფოთლოვანი ჯიშებისაგან შემდგარი ან უფრო ახალგაზრდა ტყის არსებობა, ამ ადგილების ზვავსაშიშროებაზე მიუთითებს.

ზვავების მიერ განადგურებული ტყე, არა მხოლოდ ტერიტორიის ზვავსაშიშროებაზე, არამედ ზვავების განმეორადობაზეც მიუთითებს, რადგან წაქცეული ხეების (განსაკუთრებით, წიწვოვანი ჯიშების) ხნოვანების განსაზღვრით, ზვავის ჩამოსვლის დროის დადგენაც არის შესაძლებელი [7].

მთიან რაიონებში მშენებლობისთვის ადგილის შერჩევის დროს, განსაკუთრებული უურადღება უნდა დაეთმოს ტყის ჯიშებს, ხნოვანებას, ფერდობზე ტყის ზოლის სიგანეს. ტყებუნებრივი ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიების საშუალებას მაშინ წარმოადგენს, როცა ის ვრცელდება ფერდობის თხემამდე. იმ შემთხვევაში, თუ ტყის ზედა საზღვრის ზემოთ, ფართო უტყეო ციცაბო ტერიტორია მდებარეობს, მაშინ ტყემ ზვავის დამანგრეველი ძალა, შეიძლება უფრო გააძლიეროს. ტყის ზედა საზღვრის ზემოთ მდებარე, უტყეო ფერდობებზე წარმოქმნილი მდლავრი ზვავები, დიდი სიჩქარით შეიჭრება ტყის მასივში, ანადგურებს ხეებს, რითაც ზვავის დამანგრეველ ძალას უფრო აძლიერებს.

ტყის საფარი დიდ გავლენას ახდენს, თოვლის დაგროვების თავისებურება და ზვავების წარმოქმნაზე. თოვლისას ფოლვანი ტყის ტოტებზე საშუალოდ, თოვლის რაოდენობის 10% რჩება, ხოლო წიწვოვანი ტყის ტოტებზე დარჩენილი – 20-40%-ს შეადგენს. ტყეში თოვლის საფარის სიმაღლე, უტყეო ტერიტორიაზე მოსული თოვლის სიმაღლეზე ნაკლებია. წიწვოვანი ჯიშის ხეების ტოტები, ზამთარში წიწვებს არ ყრის და ტოტებზე თოვლი დიდი რაოდენობით გროვდება. წიწვოვანი ხის ტოტები თოვისას, მათზე დაგროვილი თოვლის რაოდენობის პროპორციულად, დაბლა ეშვება. გარდვეულ მომენტში, როცა ტოტზე თოვლის საფარის სიმძიმის ძალა, შეჭიდულობის ძალას გადააჭარბებს და კრიტიკული მომენტი დადგება, თოვლი ძირს ჩამოცვივა. ტოტებიდან ჩამოც-

ვენილი თოვლის დაცემის ადგილზე, ირდვევა თოვლის ბუნებრივი სიმკვრივე და ირგვლივ მდებარე თოვლის საფარის სიმკვრივეზე მეტი ხდება. მიწის ზედაპირზე მდებარე თოვლის საფარის სიმკვრივე, ჩამოცვენილი თოვლის რაოდენობასა და ტოტების სიმაღლეზეა დამოკიდებული. ჩამოცვენილი თოვლის რაოდენობა და მიწის ზედაპირიდან ტოტების სიმაღლე ერთმანეთისგან განსხვავდება, ამიტომ თოვლის დაცემის ადგილზე, ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ჭრილში, თოვლის საფარის სიმკვრივე სხვადასხვაა. სწორედ, ეს არის ზვავების წარმოქმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემშლელი ფაქტორი. ზვავების წარმოქმნისთვის, აუცილებელია ფერდობის გარკვეულ ფართობზე, თოვლს ერთხაირი სიმკვრივე პქონდეს, რადგან სხვადასხვა სიმკვრივის თოვლს შეჭიდულობის სხვადასხვა ძალა და აქედან გამომდინარე, განსხვავებული კრიტიკული სიმაღლე აქვს.

წიწვოვანი ჯიშის ხეების ძირში, როგორც წესი, თოვლი არ დევს მაშინაც კი, როცა ხეების ირგვლივ თოვლის საფარის სიმაღლე რამდენიმე ათეულ სმ-ზე მეტია, ეს კი იწვევს თოვლის ერთიანი ფენის დანაწევრებას, რაც ზვავების წარმოქმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემშლელი ფაქტორია. ტყის საფარი ხელს უშლის ქარის გავრცელებას და მოსული თოვლის გადანაწილებას, რაც გამორიცხავს ტყის საფარიანი ფერდობების ცალკეულ უბნებზე, თოვლის დაგროვებასა და კარნიზების წარმოქმნას. ასეთი პირობების ერთობლიობა შერეული და წიწვოვანი ტყით დაფარულ ფერდობებზე, ზვავის წარმოქმნას გამორიცხავს.

განსაკუთრებით, უხევთოვლიან ზამთრებში, ზვავების მასიური ჩამოსვლისას, განსაკუთრებით ძლიერი ზვავსაშიშროების რაიონებშიც კი, მოზრდილი, ხშირი წიწვოვანი და შერეული ტყით დაფარულ ციცაბო ფერდობებზე, არც ერთი ზვავი არ წარმოქმნილა. ამიტომ, აუცილებელია ფერდობების გატყიანება, ზვავის კერაში  $15^{\circ}$ -ზე მეტი დახრილობის მქონე ფერდობებზე ტყის საფარის შენარჩუნება, ტყის საფარის ზედა საზღვრის მაქსიმალურ აწევა.

ზვავების ფორმირება დამოკიდებულია ტყის (ხეების) სიხშირეზე, წიწვოვანი ტყით დაფარულ ფერდობებზე ზვავი წარმოიქმნება მაშინ, როცა ხეების სიხშირე ნაკლებია 0,1-0,3-ზე, ხოლო ფოთლოვანი ტყით დაფარულ ფერდობებზე – ხეების უფრო მეტი სიხშირის 0,3-0,5 დროსაც.

საქართველოს ტერიტორიაზე, არ არსებობს ტყით დაფარული 1 კმ<sup>2</sup> ფართობის მქონე ფერდობიც კი, რომელზეც არ მდებარეობს უტყეო ან მეჩხერტყეიანი მცირე ფართობის მქონე, ერთი ან ორი ადგილი. ეს გამოწვეულია, ზოგჯერ, ბუნებრივი ფაქტორებით (მწირი ან კლდიანი ფერდობი, მეწყერი და სხვა), ხშირად კი ადამიანის სამეურნეო საქმიანობით.

მრავალწლიანი სავალე მასალების ანალიზმა გვიჩვნა, რომ ზვავაქტიურია უტყეო ფერდობების 80%, წიწვოვანი ტყით დაფარული ფერდობების მთლიანი ფართობის 4%, ფოთლოვანი ტყით დაფარული ფერდობების 8% და შერეული ტყით დაფარული ფერდობების 6%.

საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლინდა ზვავსაშიში და პოტენციურად ზვავსაშიში 343 დასახლებული პუნქტი, რომელთაც 603 ზვავი ემუქრება. (ცხრ.6.1).

ცხრილი 6.1. ზვავსაშიში დასახლებული პუნქტების და საშიში ზვავშემკრებების განაწილება მდინარეთა აუზის მიხედვით

№	მდინარე	ზვავსაშიში დასახლებული პუნქტები	დასახლებული პუნქტების საშიში ზვავშემკრებები			
			რ-ბა	ფართობი, ჰა	ტყის ზედა საზღვრის ქვემოთ	რ-ბა
1	ენგური	61	120	1403	86	110
2	რიონი	45	81	1772	65	157
3	ჭოროხი	83	14	134	143	122
4	ლიახვი	29	39	133	33	41
5	არაგვი	45	92	523	81	99
6	სხვა მდ.	80	127	1067	100	193
<b>ჯ ა მ ი</b>		<b>343</b>	<b>603</b>	<b>5032</b>	<b>508</b>	<b>722</b>

ტყის ბუნებრივი საზღვრის ქვემოთ მდ. ენგურის აუზში მდებარეობს ზვავშემკრებების 72%, მდ. რიონის აუზში – 80%, მდ. ჭოროხის აუზში – 99%, მდ. ლიახვის აუზში – 85%, ხოლო მდ. არაგვის აუზში – 88%.

ხშირი წიწვოვანი და შერეული ტყის აღდგენა, იმ 722 ჰაზე, რომელიც ტყის ბუნებრივი ზედა საზღვრის ქვემოთ მდებარეობს, 84%-ით შეამცირებს საშიში ზვავშემკრებების ორდენობას. გასათვალისწინებელია, რომ ცხრილში (ცხრ. 6.1) მოყვანილ მდინარეთა აუზებისთვის, ტყის საფარის განაშენიანებისთვის ხელსაყრელი პირობებია.

საქართველოს ტერიტორიის ფართობის 55%, ხასიათდება 15<sup>0</sup>-ზე მეტი დახრილობის ფერდობებით. უხვოვლიან ზამთრებში 15-35<sup>0</sup> დახრილობის ფერდობებზე, თითქმის მთელ ტერიტორიაზე, თოვლის საფარის სიმაღლე კრიტიკულ მნიშვნელობაზე მეტია, რაც ხელსაყრელ პირობას ქმნის ზვავების წარმოქმნისთვის, ხოლო – მცენარეული საფარი ხელსუმლის ზვავების ჩამოსვლას.

ტერიტორიის 56% ზვავსაშიში ფერდობებითაა დაფარული, ამასთან 20%-ზე ზვავების ჩამოსვლა, ყოველწლიურად ხდება. ტყის არსებული საფარის განადგურების შემთხვევაში, ზვავების გავრცელება ტერიტორიის 30%-ზე მოხდება, ხოლო უხვოვლიან ზამთარში – 44%-ზე.

ზვავსაშიშოებით გამორჩეული ზემო სვანეთის (მდ. ენგურის აუზი) მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, აქ ტერიტორიის 95%-ის ზედაპირის დახრილობა აღემატება 15<sup>0</sup>-ს, ხოლო თოვლის სიმაღლე საშუალოთოვგლიან ზამთარშიც კი აღემატება კრიტიკულ მნიშვნელობას, ანუ ზვავსაშიშ ზონაში მდებარეობს ზემო სვანეთის მთლიანი ფართობის 95%, ხოლო 41% – მთლიანად ზვავსაშიში (ცხრ.6.2) [2,3].

არსებული ტყის საფარის განადგურების შემთხვევაში, ზვავების გავრცელების ტერიტორია 33%-ით მოიმატებს და არა მხოლოდ უხვოვლიან, არამედ საშუალოთოვგლიან ზამთარშიც კი, ზემო სვანეთის მთლიანი ფართობის 74% მთლიანად ზვავსაშიში გახდება, ანუ მოექცევა ზვავების მოქმედების არეში. (ცხრ. 6.3).

ცხრილი 6.2. ზემო სვანეთის ზვავსაშიში და არაზვავსაშიში ტერიტორიები

№	ტერიტორიის ზვავაქტიურობა	ფართობი, %	ზვავსაშიში, %	არაზვავსაშიში, %
1	0	2	0	4
2	< 20	25	23	21
3	21 - 40	20	6	14
4	41 - 60	21	10	10
5	>60	32	2	10
ჯ ა მ ი			41	59

რელიეფის ხასიათი (ფერდობების დახრილობა), თოვლის სიმაღლე და ტყის საფარი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ზვავების ფორმირებაში.

ცხრილი 6.3. ზემო სვანეთის ზვავსაშიში და არაზვავსაშიში ტერიტორიები (ტყის გაჩეხვის შემთხვევაში)

№	ტერიტორიის ზვავაქტიურობა	ფართობი, %	ზვავსაშიში, %	არაზვავსაშიში %
1	0	2	0	4
2	< 20	25	18	4
3	21 - 40	20	17	4
4	41 - 60	21	17	4
5	>60	32	22	10
ჯ ა მ ი			74	26

ტყის დაცვა მნიშვნელოვან ზვავსაშინააღმდეგო ღონისძიებას წარმოადგენს. ტყის ჭრა ისე უნდა ხდებოდეს, რომ ხელს უწყობდეს ტყის ბუნებრივ განახლებას, რაც ხელოვნური დარგვითაც არის შესაძლებელი. ტყის არასწორი ექსპლუატაცია, ხშირად, ახალი ზვავის კერების გაჩენას იწვევს. ამ კერებში წარმოქმნილი ზვავების ჩამოსვლა, ზვავებისგან მიყენებულ ზარალს გაზრდის. ამ აზრის გასამყარებლად მოვიყვანთ, რამდენიმე მაგალითს. ჯერ კიდევ, რომის იმპერი-

ის დროს, დაიწყო ალპებისა და მიმდებარე ტერიტორიების ათვისება. კოლონიზაციის დროს, ახლანდელი შვეიცარიის ტერიტორიის, დაახლოებით 50%-ზე გაიჩეხა ტყე. ხუტეე საწვავ მასალად, სახლებისა და გემების მშენებლობისთვის, ხოლო უტყეო მონაკვეთები სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის გამოიყენებოდა. თანდათანობით, შეიცვალა ეკოლოგიური სურათი, თავი იჩინა ეროზიულმა პროცესებმა, გაიზარდა მეწყერსაში და ზვაგსაში ტერიტორია. ცხადი გახდა, რომ ტყის შემდგომი ათვისება გაზრდიდა, ამ პროცესებით გამოწყეულ საფრთხეს. პირველად, 1304 წელს შვეიცარიის ქალაქ ბერნის კანტონში, მიიღეს ტყის დაცვის წესები. დროთა განმავლობაში მიხვდნენ, რომ ტყის დაცვასთან ერთად, აუცილებელი იყო აღდგენაც. 1600 წელს მთის ტყეების აღდგენის საკანონმდებლო აქტი მიიღეს, ხოლო XYIII საუკუნეში, ბაზელში შემუშავდა მითითება ტყეების შენახვისა და განახლებისთვის, ხოლო 1876 წელს ტყეების დაცვის შესახებ კანონი, გარდა შვეიცარიისა, ავსტრიაშიც მოქმედებდა. ამ კანონით კატეგორიულად იკრძალებოდა ტყის გაზეხვა, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, გაჩეხილი ტყის სანაცვლოდ, აუცილებლი იყო იგივე ფართობის ტყის, მომიჯნავე ტერიტორიაზე გაშენება.

ტყის ზედა საზღვრის მიმდებარე ტერიტორიის გატყიანება, ადგილობრივ ბუნებრივ პირობებს შეგუებული სეების შერჩევით უნდა მოხდეს, ხოლო დარგული ნერგები მცოცავი თოვლისა და ზვავებისგან უნდა იყოს დაცული.

საქართველოში ტყის ზედა ბუნებრივი საზღვრის ზემოთ დასახლებული პუნქტებისათვის, საშიში ზვავშემკრებების საერთო რაოდენობის 16% იწყება. ზვავის კერების გატყიანებით, საშიში ზვავშემკრებების 84% არაზვავსაშიში გახდება. დასახლებული პუნქტებისთვის საშიში ზვავის კერისთვის დიდი ფართობი არ არის დამახასიათებელი, მათი საერთო რაოდენობის 70% 1 ჰა-ს არ აღემატება. მოსახლეობისთვის საშიში ზვავის კერების 71%-ის ზედაპირის დახრილობა, არ აღემატება 35%-ს. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთიან

ნაწილში ტყის გაშენებისთვის (განსაკუთრებით, წიწვოვანი ჯიშები) ბუნებრივი პირობები ხელსაყრელია.

მოსახლეობისთვის საშიში ზვავშემკრებების 70%-თვის, გატყიანებისთვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები არსებობს და მათი გატყიანებით, შესაძლებელია ზვავსაშიში და-სახლებული პუნქტების 70%-ზე მეტი არაზვავსაშიში გახდეს.

საქართველოს მთიან რაიონებში არსებობდა ე.წ. „ხატის ტყები“, რომელთა უმეტესობა დასახლებული პუნქტების მიმდებარე ციცაბო ფერდობებს მოიცავდა. აქ ტყის ჭრა აკრ-მალული იყო. ცალკეული დასახლებული პუნქტების (მესტიის რაიონის სოფ. ლარილარი, ხულოს რაიონის სოფ. ღურ-ტი) მოსახლეობამ გადაწყვიტა მიმდებარე ფერდობებზე ტყის ჭრის აკრძალვა და სატუთარი ძალებით სცადა საშიში ზვა-ვის კერების გატყიანება.

დასახლებული პუნქტებისთვის საშიში ზვავის კერების გატყიანება სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ უნდა იქცეს, რაშიც აქტიური მონაწილეობა მეტყველებმა, გლაციოლოგებმა და ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა უნდა მიიღონ.

## თავი 7. ზგანსაშიშროების რაოდენობრივი მახსინათებლები და მისი გამოთვლის მეთოდები

გეოგრაფიული პირობები განსაზღვრავს მთიანი რეგიონების ზვანსაშიშროებას, რომელიც თავისთავად დამოკიდებულია ზვანსაშიშროების რაოდენობრივ მახსინათებლებზე. მთიანი რეგიონების შეფასება ზვანსაშიშროების ხარისხის მიხედვით, მოითხოვს ზვანსაშიშროების რაოდენობრივი მახსინათებლების თავისებურებათა გამოვლენასა და მათი დროსა და სივრცეში ცვლილების კანონზომიერებათა შესწავლას.

ტერიტორიის ზვანაქტიურობა, ზვანშემკრებების გავრცელების სიხშირე (ზვანშემკრებების რაოდენობა ფართობის ერთეულზე), ზვანების ჩამოსვლის სიხშირე (ზვანშემკრებებისან ზვანების ჩამოსვლის რაოდენობა ერთ ზამთარში), ზვანსაშიში ჰერიონის ხანგრძლივობა (ზვანსაშიშ დღეთა რაოდენობა ერთ ზამთარში), წარმოადგენს ზვანსაშიშროების რაოდენობრივ მახსინათებლებს [11-13, 18,46].

### 7.1. ტერიტორიის ზვანაქტიურობა

ზვანსაშიში რეგიონების საზღვრებისა და ზვანსაშიშროების ხარისხის დადგენა, ამ რეგიონების ტერიტორიის ზვანაქტიურობის თავისებურებათა გამოვლენის აუცილებლობას განაპირობებს. ამავე დროს, ზვანსაშიში რეგიონების საზღვრების გამოვლენასთან ერთად, ზვანსაშიშროების ხარისხის დადგენა, გლაციოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

ტერიტორიის ზვანაქტიურობის გამოვლენის მეთოდების განხილვამდე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტერმინ „ტერიტორიის ზვანაქტიურობის“ განმარტება, რადგანაც მას, ხშირად, ტერმინ „ტერიტორიის ზვანსაშიშროებასთან“ აიგივებენ. ტერიტორიის ზვანსაშიშროება გვიჩვენებს, ტერიტორიის რა ნაწილია ზვანსაშიში, ანუ ტერიტორიის რა ნაწილზე შეიძლება გავრცელდეს ზვანის მოქმედება. ტერიტორიის ზვანაქტიურობა კი გვიჩვენებს, ტერიტორიის რა ნაწილზე შეიძლება წარმოიქმნას ზვანი, ანუ ტერიტორიის რა ნაწილია აქტიური ზვანის წარმოქმნის თვალსაზრისით. ზვანსაშიშმა ტერიტო-

რიამ შეიძლება მოიცვას, როგორც ზვავაქტიური, ისე არაზვავაქტიური ტერიტორიაც, რადგან ზვავაქტიურ ტერიტორიაზე წარმოქმნილი ზვავი შეიძლება არაზვავაქტიურ ტერიტორიაზეც გავრცელდეს (მცირე დახრილობის, სწორ და ზოგჯერ უარყოფითი დახრილობის მქონე ტერიტორიაზეც კი). საერთოდ, ზვავშემკრები მთლიანად ზვავსაშიშია, მაგრამ ამავე დროს, ზვავის კერა ყოველთვის არის ზვავაქტიური, ზვავსადენი (ზვავის კალაპოტი) – ძირითადად, ზვავაქტიური, ხოლო ზვავის გამოზიდვის კონუსის ზედაპირი კი – არაზვავაქტიური (მისი ზედაპირის დახრილობა, ხშირად, ნაკლებია 15%-ზე და ამრიგად, მასზე არ შეიძლება ზვავი წარმოქმნას). ამასთანავე, ზვავაქტიური ტერიტორია შეიძლება არაზვავსაშიშიც კი იყოს. ეს, იმ შემთხვევაში ხდება, როცა არსებობს დიდი დახრილობის მქონე უტყეო ფერდობები (ზვავაქტიურობის უტყუარი პირობა), მაგრამ მათზე ზვავი არ წარმოქმნება იმის გამო, რომ მთიანი რეგიონის ამ ნაწილში, არ მოდის ზვავის წარმოქმნისთვის საკმარისი რაოდენობის ორველი.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება დაგასკვნათ, რომ ტერიტორიის ზვავსაშიშროება გვიჩვენებს, რა ნაწილზე შეიძლება გავრცელდეს ზვავი, ხოლო ტერიტორიის ზვავაქტიურობა – რა ნაწილზე შეიძლება წარმოქმნას ზვავი. ზემოთ მოყვანილი განმარტება აუცილებელია იმიტომ, რომ ხშირად, ეს ორი ტერმინი გაიგივებულია ან ერთმანეთშია არეული.

ტერიტორიის ზვავაქტიურობის გამოვლენა, საშუალებას იძლევა დადგინდეს მთიანი სისტემის, მდინარის აუზის ან ცალკეული ფერდობის, რა ნაწილზე შეიძლება წარმოქმნას ზვავი, ანუ ტერიტორიის რა ნაწილი დებულობს აქტიურ მონაწილეობას, ზვავების წარმოქმნასა და გავრცელებაში.

ზვავაქტიური ცალკეული ფერდობისა, თუ ზვავშემკრების საზღვრების დადგენისა და მათი, მსხვილმასშტაბიან რუკებსა და გეგმებზე გამოსახვის მრავალი მეთოდი არსებობს. დიდი ფართობის მქონე ტერიტორიის (მთიანი სისტემა, მდინარის აუზი და სხვა) ზვავსაშიშროების დადგენის დროს,

ზვავაქტიური ტერიტორიის ცალკე გამოყოფა და კარტოგრაფირება შეუძლებელია. აღნიშნული ვითარება იმითაა განპირობებული, რომ ცალკეულ ფერდობებზე და ცალკეული ზვავშემკრების ფარგლებშიც კი, ძალზე ხშირია, ზვავაქტიური და არაზვავაქტიური ადგილების მონაცელეობა. დიდ ფართობებზე ზვავსაშიშროების რუკების შედგენისას, მასშტაბი არ იძლევა ზვავაქტიური და არაზვავაქტიური ტერიტორიების, ხშირი მონაცელეობის გამოსახვის საშუალებას. გარდა ამისა, ზვავაქტიური ტერიტორიების გავრცელებასა და ფართობზე, ამჟამად არსებული ფაქტიური მოხაცემები, მთიანი რეგიონების ზვავსაშიშროების ხარისხის შესაფასებლად არასაკმარისია.

ტერიტორიის ზვავაქტიურობის დადგენა, ზვავწარმომქმნელი ფაქტორების საფუძველზე ხდება, ხოლო ზვავაქტიური ტერიტორიის არეალი, ანუ მისი ხვედრითი წილი რუკაზე – არა აბსოლუტურ, არამედ შეფარდებით სიდიდეებშია გამოსახული.

ტერიტორიის ზვავაქტიურობაზე, როგორც ზვავსაშიშროების ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელზე, ვ-ცომაიამ და კაბდუშელიშვილმა უკრადღება, ჯერ კიდევ, 1968 წელს გაამახვილეს და შეიმუშავეს ტერიტორიის ზვავაქტიურობის, ანუ როგორც, მათ უწოდეს, ზვავსაშიშროების კოეფიციენტის დადგენის მეთოდი.

1975 წელს მ. ზალიხანოვმა [44], დიდი კავკასიონის ტერიტორიაზე ზვავსაშიშროების, სხვადასხვა ხარისხის მქონე ექსხი კატეგორია გამოყო, გამოიყენა რა, შემდეგი ფორმულა

$$K = \frac{S_d}{S} \cdot 100\%, \quad (7.1.1)$$

სადაც, K – არის ზვავების მიერ ტერიტორიის „დაზიანების“ ხარისხი, S<sub>d</sub> – ზვავაქტიური ტერიტორიის ფართობი, S – საერთო ფართობი.

გლაციოლოგიური ლექსიკონის ავტორები, ტერიტორიის ზვავაქტიური ფერდობის ფართობის შეფარდებას საერთო ფართობთან, ზვავაქტიურობის კოეფიციენტს უწოდებენ [43].

მ. ზალიხანოვმა, გაანალიზა რა, ტერიტორიის ზვავაქტიურობის დადგენის მეთოდები, დასასკვნა, რომ „მხოლოდ K მასასიათებელს, რომელიც გამოსახავს ტერიტორიის ზვავაქტიური ფართობის შეფარდებას საერთო ფართობთან, შეუძლია მეტ-ნაკლებად ობიექტურად მოგვცეს, მოცემული ტერიტორიის ზვავსაში შროების რაოდენობრივი დასასიათება“. ამ დასასიათების გამოყენება შეიძლება შედარებითი და პრაქტიკული მიზნებისთვის. ასეთი დარაიონების მეთოდი ამიერკავკასიის ტერიტორიისთვის, ვ. ცომაიამ და კ. აბდუშელიშვილმა 1968 წელს შემოგთავაზეს. [56].

ვ. ცომაიას და კ. აბდუშელიშვილის ნაშრომში, ტერიტორიის ზვავაქტიურობა განისაზღვრება ფორმულით:

$$K = \frac{a(f_a - f_{\pi}) + bf_{\pi}}{F} \cdot 100\%, \quad (7.1.2)$$

სადაც, K არის ზვავსაში შროების კოეფიციენტი %-ში;  $f_a$  – 20-25%-ზე მეტი დახრილობის მქონე ზვავსაში ფერდობების ფართობი ( $\text{კმ}^2$ );  $f_{\pi}$  – ტყეების ფართობი ზვავსაში ფერდობების ფარგლებში ( $\text{კმ}^2$ ); F – იმ რაიონის ფართობი ( $\text{კმ}^2$ ), რომლისთვისაც განისაზღვრება კოეფიციენტი; a და b – პარამეტრები, რომლებიც მიუთითებენ რელიეფის მოცემული ტიპის მაქსიმალურ შესაძლებელ ზვავსაში შროებაზე. უტყეო ზვავსაში ფერდობებისთვის  $a=0.8$ , ხოლო ტყიანი ზვავსაში ფერდობებისთვის  $b=0.04$ . ტოლობაში (7.1.2) მრიცხველის პირველი ნაწილი  $(f_a - f_{\pi})$  გამოსახავს, უტყეო ზვავაქტიური ფერდობის ფართობს (ზვავსაში ფერდობის ფართობსა და მის ფარგლებში, ტყით დაფარული ფერდობის ფართობებს შორის სხვაობა). თუ უტყეო ზვავსაში ფერდობის ფართობს ავდნიშნავთ  $f_{\pi}$ -ით, მაშინ  $(f_a - f_{\pi})=af_{\pi}$ , თუ ცვლილებას შევიტანო ფორმულაში (7.1.2), მაშინ ის სახეს შეიცვლის, ხოლო შინაარსს კი არა.

ტერიტორიის ზვავაქტიურობის სიდიდის გამოთვლა, ძირითადად, ხდებოდა დიდი ფართობის მქონე ტერიტორიისთვის (ფართობის ერთეულია 100  $\text{კმ}^2$  ან მთელი აუზის ფართობიც კი). ასეთ ფერდობებზე შეიძლება აღმოჩნდეს,

როგორც არაზავაქტიური ( $15^{\circ}$ -ზე ნაკლები დახრილობის მქონე ან ხშირი წიწვოვანი ტყით დაფარული ფერდობები), ისე ზვავაქტიური (უტყეო და დიდი დახრილობის მქონე) ფერდობები. თუ ტერიტორიის ზვავაქტიურობას, განვსაზღვრავთ თითოეული კვადრატული კილომეტრისთვის, მაშინ აუზში ან ფართობის ყოველ 100 კმ<sup>2</sup>-ზე, იგი შეიძლება შეიცვალოს 0-დან 80%-მდე, ხოლო ფორმულით გამოვლისას, ვდებულობთ მხოლოდ გასაშუალებულ მნიშვნელობას. ამრიგად, ტერიტორიის ზვავაქტიურობის განსაზღვრის სიზუსტე, შესაბამისად გაიზრდება ტერიტორიის ფართობის შემცირებით. სხვადასხვა ფართობის მქონე მონაკვეთებისთვის, ზვავაქტიურობის გამოვლამ გვიჩვენა, რომ ტერიტორიის ზვავაქტიურობის რეალური სურათი მიიღება იმ შემთხვევაში, თუ ფართობის ერთეულად აღებული იქნება 1კმ<sup>2</sup>. ამავე დროს, ფართობის ერთეულის სიდიდის დადგენისას, მხედველობაში უნდა მივიღოთ, შესაძგენი რუკის მასშტაბი და საკლევი ტერიტორიის ფართობი.

კ. ცომაიას და კ. აბდუშელიშვილის მიერ შემუშავებული მეთოდის მიხედვით, ფერდობი ზვავსაშიშად ითვლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი დახრილობა აღემატება  $20-25^{\circ}$ -ს (ფორმულა 11.1.2). შემდგომმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ზვავები შეიძლება წარმოიშვან,  $20-25^{\circ}$ -ზე ნაკლები დახრილობის მქონე ფერდობებზეც:  $15^{\circ}$ -ზე მეტი დახრილობისა და 50-100 მ. სიმაღლის ფერდობები, შეიძლება ჩაითვალოს (რელიეფის პირობების თვალსაზრისით) ზვავსაშიშად – „ოვალის ზვავები გაგრცელებულია ყველა მთაში, სადაც კი მოდის თოვლი და არსებობენ  $15^{\circ}$ -ზე მეტი დახრილობის ფერდობები“.

ზემოთ დასახელებული, შენიშვნებისა და შესწორების შემდეგ, ტოლობა (7.1.2) მიიღებს ასეთ სახეს: [13]

$$K = \frac{af_{\delta} + bf_{\pi}}{F} \cdot 100\%, \quad (7.1.3)$$

სადაც  $K$  – არის ტერიტორიის ზვავაქტიურობა %-ში;  $f_{\delta}$  – უტყეო,  $15^{\circ}$ -ზე მეტი დახრილობის მქონე ფერდობის ფართო-

ბი  $\rho^2$ -ში;  $f_1$  – ტყიანი,  $15^\circ$ -ზე მეტი დახრილობის მქონე ფერდობის ფართობი კბ $^2$ -ში;  $F$  – იმ მონაკვეთის ფართობია, რომლისთვისაც განისაზღვრება ტერიტორიის ზვავაქტიურობა;  $a$  და  $b$  – პარამეტრები:  $15^\circ$ -ზე მეტი დახრილობის ფერდობისთვის  $a=0.8$ , წიწვოვანი ტყით დაფარული ფერდობისთვის  $b=0.04$ , შერეული ტყით დაფარული ფერდობისთვის  $b=0.06$ , ფოთლოვანი ტყით დაფარული ფერდობისთვის  $b=0.08$ .

კარტომეტრიული სამუშაოებით დავადგინეთ, როგორც მთლიანად საქართველოსთვის, ასევე ცალკეულ მდინარეთა აუზებისთვის, ტერიტორიის ნულოვანი და სხვადასხვა ზვავაქტიურობის მქონე რაიონების გავრცელების თავისებურება (პროცენტებში).

რაიონს, სადაც ტერიტორიის ზვავაქტიურობა ნულის ტოლია (სადაც, გამორიცხულია ზვავების წარმოქმნა), საქართველოს მთლიანი ფართობის 44% უკავია (დასავლეთ საქართველოში მთელი ფართობის – 32%, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – 52%). მოცემული რაიონის ზედა საზღვარი, განსაკუთრებით დაბალ აბსოლუტურ სიმაღლეზე (40-400 მ), დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გადის, რაც რელიფის თავისებურებითაა განცირობებული.

დასავლეთ საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთ და სამხრეთ რეგიონებში, შავშეთის, მესხეთის, გაგრისა და ბზიფის ქედების ფერდობებზე ზვავები, თითქმის, ყველგან შეიძლება წარმოიქმნას, რაღაც ფერდობების დახრილობა  $15^\circ$ -ს აღემატება. ამ რეგიონებში ტერიტორიის ზვავაქტიურობა, მხოლოდ შავი ზღვის მიმდებარე, ვიწრო ზოლშია ნულის ტოლი. დინარეების ჭოროხის, ქოეკვარას, ბზიფის, გუმისთის ხეობებში, ტერიტორიის ზვავაქტიურობა ნულის ტოლია ზღვის დონიდან 40-50 მ-მდე, ხოლო დასავლეთ საქართველოს შიდა რეგიონებში, ზღვის დონიდან 100-400 მ-მდე. აღმოსავლეთ საქართველოში, ტერიტორიის ზვავაქტიურობა ნულის ტოლია მდალაზნის მარცხენა შენაკადების აუზებში, ზღვის დონიდან 550-700 მ-მდე, ხოლო სხვა მდინარეების აუზებში, უფრო მაღალ ნიშნულებზე გადის და მდინარეების ქვაბლიანის, აბასთუმნის, დიდი ლიახვისა და იორის ხეობებში,

ტერიტორიის ზვავაქტიურობა ნულის ტოლია ზღვის დონიდან 1000-1200 მ-მდე.

დასავლეთ საქართველოში რაიონი, სადაც ტერიტორიის ზვავაქტიურობა ნულის ტოლია, მოიცავს, ძირითადად, კოლხეთის დაბლობს, მის გარშემო მდებარე დამრეც ( $15^{\circ}$ -ზე ნაკლები დახრილობის მქონე) ფერდობებს, ზღვისპირა ვიწრო ზოლებს აჭარასა და აფხაზეთის ტერიტორიაზე. დასავლეთ საქართველოს მთიან რეგიონებში, ამ რაიონს უკავია, მცირე ფართობის მქონე ცალკეული უბნები – დიდი მდინარეების ტერასები, მოსწორებული ზედაპირები და დიდი მყინვარების ცალკეული დამრეცი ადგილები.

რაიონს, სადაც ტერიტორიის ზვავაქტიურობა ნულის ტოლია, შედარებით მცირე ფართობი უჭირავს, დასავლეთ საქართველოს იმ მდინარეთა აუზებში, რომელთა უდიდესი ნაწილი საშუალომთიან და მაღალმთიან ზონებში მდებარეობს (მდ.პიფის აუზში უკავია მთელი ფართობის, მხოლოდ 3%, მდ.ჭოროხის და მდ.კოდორის აუზებში – 10-10%, ხოლო მდ. ენგურის აუზში – 20%). გამონაკლისს წარმოადგენს, მდ. რიონის აუზი (მთელი ფართობის 37%), რაც გამოწვეულია იმით, რომ ამ მდინარის აუზის მნიშვნელოვანი ნაწილი კოლხეთის დაბლობზე მდებარეობს.

აღმოსავლეთ საქართველოში რაიონს, სადაც ტერიტორიის ზვავაქტიურობა ნულის ტოლია, რეგიონის მთლიანი ფართობის 52% უკავია (საქართველოს მთლიანი ფართობის 28%) და მოიცავს შიდა ქართლის, ქვემო ქართლისა და ალაზნის ვაკეების, ივრის ზეგნისა და ცივ-გომბორის ქედის დასავლეთი ნაწილის ფერდობებს, ახალციხის ქვაბულს. ამ რაიონს, მნიშვნელოვანი ფართობი უკავია საშუალომთიან და მაღალმთიან ზონაშიც, ჯავახეთის პლატოსა და მდინარეების მაშავერას, ხრამისა და ალგეთის აუზებში. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ნულოვანი ზვავაქტიურობა, რელიეფის თავისებურებით არის განპირობებული. კერძოდ კი, აღმოსავლეთ საქართველოში დამრეც ( $15^{\circ}$ -ზე ნაკლები დახრილობის მქონე) ფერდობებს, გაცილებით მეტი ფართობი უჭირავს. რაიონს, სადაც ტერიტორიის ზვავაქ

ტიურობა 20%-ზე ნაკლებია, საქართველოს მთლიანი ფართობის 28% უკავია. ის განსაკუთრებით, ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში, სადაც რეგიონის ფართობის მესამედზე მეტს (მთლიანი ფართობის 35%) მოიცავს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში, რეგიონის მთლიანი ფართობის მხოლოდ 23% უჭირავს. დასავლეთ საქართველოში მოცემული რაიონის ასეთი ფართო გავრცელება, წიწვოვანი და შერეული ტყეების სიხშირით ფართო გავრცელებით არის განპირობებული (აჭარა-იმერეთის მთიანი სისტემის დასავლეთი ნაწილი, კავკასიონის მთავარი ქედისა და მისი სამხრეთი განმტობების დაბალმოთიანი და საშუალომოთიანი ზონები) (ცხრ.7.1.1).

#### ცხრილი 7.1.1. ტერიტორიის ზვავაქტიურობა

№	მდინარის აუზი, მხარე	თერიტორიის ზვავაქტიურობა, %				
		0	<20	20-40	40-60	>60
1	ბზიფი	3	44	21	17	15
2	კოდორი	10	39	17	15	19
3	ენგური	20	20	15	15	30
4	ხობი	70	17	7	4	2
5	ცხენისწყალი	16	27	22	21	14
6	რიონი (ცხენისწყლით)	37	35	13	9	6
7	ჭოროხი	10	47	34	5	4
8	შავი ზღვის შენაკადები	42	40	11	4	3
9	არაგვი	29	18	19	17	17
10	მტკვარი (არაგვით)	44	31	12	8	5
11	იორი	80	8	6	4	2
12	ალაზანი	64	20	8	3	5
13	კავკასიონის ჩრდილოეთი ფერდობების მდინარეები	-	-	12	22	66
14	ხრამი	65	25	5	3	2
15	დასავლეთ საქართველო	32	35	15	9	9
16	აღმოსავლეთ აქართველო	52	23	9	7	9
17	საქართველო	43	28	12	8	8

დასავლეთ საქართველოში რაიონს, სადაც ტერიტორიის ზვავაქტიურობა 20%-ზე ნაკლებია, განსაკუთრებით დიდი ფართობი უჭირავს მდგროვნის აუზში (აუზის მთლიანი ფართობის 47%), მდ. ბზიფის აუზში (44%), მდ. კოდორის აუზში (39%), მდ. რიონის აუზში (35%); შედარებით, მცირე ფართობი (მთლიანი ფართობის 20%) – მდ.ენგურის აუზში, რაც იმითაა გამოწვეული, რომ მდ.ენგურის აუზის დიდი ნაწილი, (მთლიანი ფართობის 45%), მაღალმთიან ზონაში მდებარეობს და აქ არსებული უტყეო, ციცაბო ფერდობებზე ტერიტორიის ზვავაქტიურობა 20%-ზე მეტია; რაიონს, განსაკუთრებით მცირე ტერიტორია (მთლიანი ფართობის 17%), მდ.ხობის აუზში უკავია. ეს ბუნებრივია, რადგან მდ. ხობის აუზში ზვავაქტიურ ტერიტორიაზე მთლიანი ფართობის, მხოლოდ 30% მოდის. აღმოსავლეთ საქართველოში ამ რაიონს, საშუალოდ, აუზების მთლიანი ფართობის 18-31% უკავია, მათ შორის მდ. მტკვრის აუზში – 31%, მდ. ხრამის აუზში – 25% და მდ. ალაზნის აუზში – 20%. განსაკუთრებით მცირე ფართობი (8%) მდ.იორის აუზში უჭირავს და ეს გასაგებია, რადგან მოცემული მდინარის აუზში, ზვავაქტიურია მთლიანი ფართობის მხოლოდ 20%.

საქართველოს მთლიანი ფართობის 12% უკავია რაიონს, სადაც ტერიტორიის ზვავაქტიურობა 20-40%-ია; ის, ძირითადად, მოიცავს ტყით დაფარულ საშუალომთიან ზონაში მდებარე ტერიტორიას და შედარებით, დიდი ფართობი იმ მდინარეთა აუზებში უკავია, რომელთა დიდი ნაწილი საშუალომთიან ზონაში მდებარეობს. რაიონს მდ. ჭოროხის აუზში უკავია მთლიანი ფართობის 34%, მდ. ცხენისწყლის აუზში – 22%, მდ. ბზიფის აუზში – 21%, მდ. არაგვის აუზში – 19%, მდ. კოდორის აუზში – 17%, მდ.ენგურის აუზში – 15%; განსაკუთრებით მცირე ტერიტორია, (ტერიტორიის ფართობის 5-8%) მდინარეების ალაზნის, ხრამის, იორისა და ხობის აუზებში უკავია.

რაიონს, სადაც ტერიტორიის ზვავაქტიურობა დიდია (40-60%), საქართველოს მთლიანი ფართობის მხოლოდ 8% უკავია. მას, შედარებით მნიშვნელოვანი ფართობი, იმ

მდინარეების აუზებში უჭირავს, რომლებიც სათავეს კავკასიონის მთავარი ქედის ფერდობებზე იღებენ. ის უტყეო ან მეჩხერტყიან ტერიტორიას მოიცავს და მისი, უდიდესი ნაწილი სუბალპურ ზონაში მდებარეობს. ამ რაიონს, დიდი ტერიტორია (აუზის მთლიანი ფართობის 15-20%) უჭირავს მდინარეების კოდორის, ენგურის, ბზიფის, არაგვის, ცხენის-წყლის, თერგის, ასას, არდუნის, პირიქითა ალაზნისა და თუშეთის ალაზნის აუზებში, ხოლო დანარჩენი მდინარეების (ხობი, რიონი, ჭოროხი, მტკვარი, იორი, ალაზანი, ხრამი) აუზებში, მთლიანი ფართობის შეოლოდ 3-9%-ს მოიცავს.

ტერიტორიის ზვავაქტიურობა, ანუ ზვავაქტიური ფერდობების წილი – 0-დან 80%-მდე იცვლება. თვით უტყეო, ციცაბო ფერდობების ზვავაქტიურობაც კი, არ აღემატება 80%-ს. ე.ი. ასეთი ფერდობების 20%, მაინც არაზვავაქტიურია.

უტყეო, ციცაბო ფერდობებზე ტერიტორიის ზვავაქტიურობა მაქსიმალურია და აღწევს 60-80%-ს. რაიონს საქართველოს მთლიანი ფართობის 8% უჭირავს და ძირითადად, მთიცავს კავკასიონის მთავარი ქედის, ჩრდილოეთ ფერდობებზე მდებარე მდინარეების თერგის, ასას, არდუნის, პირიქითა ალაზნისა და თუშეთის ალაზნის აუზებს, რაც იმითაა განპირობებული, რომ ამ მდინარეების სუბალპურ და ალპურ ზონებში მდებარე უტყეო, ციცაბო ფერდობებზე ტერიტორიის ზვავაქტიურობა, ძალიან დიდია.

კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე, ამ რაიონს განსაკუთრებით დიდი ფართობი (აუზის მთლიანი ფართობის 30%) მდენგურის აუზში უჭირავს, რაც ბუნებრივია, რადგან ამ აუზის 45% მაღალმთიან ზონაში მდებარეობს, ხოლო აუზის მთიანი (მდ. მაგანის ზემოთ მდებარე) ნაწილის 95%-ზე, ზედაპირის დახრილობა 15°-ს აღემატება. 60-80% ზვავაქტიურობის რაიონს შედარებით დიდი ტერიტორია (მთლიანი ფართობის 14-19%), იმ მდინარეთა (ბზიფი, კოდორი, ცხენისწყალი, არაგვი) აუზებში უკავია, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მაღალმთიან ზონაში მდებარეობს. მას შედარებით მცირე ტერიტორია (მთლიანი ფართობის 2-4%) უჭირავს, მდინარეების ხობის,

იორის, ხრამის, შავი ზღვის მცირე შენაკადებისა და ჭოროხის აუზებში.

ვ-ცომაიასა და კ-აბდუშელიშვილის მონაცემებით, არაზვაჭ-საშიშ ზონაში მდებარეობს საქართველოს მთლიანი ფართობის 30,8%, ხოლო, ჩვენი მონაცემებით ტერიტორიის ზვავაქ-ტიურობა ნულის ტოლია მთლიანი ფართობის 44%-ზე, ანუ მათი მონაცემების მიხედვით, ზვავსაშიშია საქართველოს მთლიანი ფართობის 69.2%, ხოლო, ჩვენი მონაცემების მიხედვით ზვავაქ-ტიურია – 56% (ცხრ.7.1.1); განსხვავება მნიშვნელოვანია, პირიქით კი უნდა ყოფილიყო, რადგან სესხებული ავტორები ზვავსაშიშად მიიჩნევენ ფერდობებს, რომელთა დახრილობა მეტია 20-25%-ზე, ხოლო ჩვენ, ზვავაქ-ტიურად მივიჩნევთ ფერდობებს, რომელთა დახრილობა აღემატება 15%-ს და ამრიგად, ჩვენი მეთოდის გამოყენებით მიღებული ზვავაქ-ტიური ტერიტორიის ფართობი, მეტი უნდა ყოფილიყო მათ მიერ მიღებულ ფართობზე. მიღებული შედეგები, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან სხვა მხრივაც - ვ-ცომაიასა და კ-აბდუშელიშვილის მიერ შედეგნილ რუკაზე, სამხრეთ საქართველოს მთიანეთი შედის იმ რაო-ონში, სადაც ზვავსაშიშროების კოეფიციენტი (ტერიტორიის ზვავაქ-ტიურობა) შეადგენს 0-25%-ს; ჩვენს მიერ მიღებულ რუკაზე (ნახ.7.1.1. იხ. დანართი) ნათლად ჩანს, რომ მესხეთის, შავშეთის, არსიანის, ნაწილობრივ, ორიალეთის საშუ-ალომთიანი და მაღალმთიანი ფერდობების მნიშვნელოვნან ნაწილზე, აგრეთვე, სამსარისა და ჯავახეთის ქედების მა-ლალმთიან ფერდობებზე, ტერიტორიის ზვავაქ-ტიურობა მნიშ-ვნელოვნად აღემატება 25%-ს, ხოლო ჩამოთვლილი ქედების ზოგიერთ უტყეო, ციცაბო ფერდობზე ტერიტორიის ზვავაქ-ტიურობა აღწევს 60-80%-ს. ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევის შედეგებს შორის, ასეთი განსხვავება, რასაკვირველია, უბრალო შეცდომის ბრალი არ უნდა იყოს. ჩვენს მიერ მიღებული შედეგების გულმოდგრინე ანალიზმა დაგვარწმუნა იმაში, რომ ასეთი დიდი განსხვავების მიზეზი, ზვავაქ-ტიურობის დადგენის მეთოდში დევს და განპირო-ბებულია, იმ ტერიტორიის ფართობის კარტირების დეტალი-

ზაციის დონით, რომლისთვისაც ხდება ტერიტორიის ზვაპ-აქტიურობის დადგენა.

ჩვენ, ტერიტორიის ზვავაქტიურობის დადგენისას, ფართობის ერთეულად მივიღეთ  $1 \text{ კმ}^2$ , ხოლო ვ-ცომაიამ და კ-აბ-დუშელიშვილმა –  $100 \text{ კმ}^2$ . როდესაც, ტერიტორიის ზვავაქტიურობის გამოთვლა ხდება, თითოეული  $100 \text{ კმ}^2$ -თვის, ცხადია, რომ თუ, ამ  $100 \text{ კმ}^2$ -ში ტერიტორიის უმცირეს ნაწილზეც კი ზვავაქტიურობა ნულის ტოლია, მაშინ მთლიანად  $100 \text{ კმ}^2$ -ზე ტერიტორიის ზვავაქტიურობა ნულზე მეტი იქნება და ამრიგად, ამ  $100 \text{ კმ}^2$ -დან  $99 \text{ კმ}^2$ -ც რომ არაზვავაქტიური იყოს, ის მაინც ზვავაქტიურში მოხვდება. სწორედ, არაზვავაქტიური და ზვავაქტიური ტერიტორიების მიჯნაზე, მნიშვნელოვანი ფართობის მქონე ( $\text{ზოგადად } 1\text{კმ}^2$ -დან  $99 \text{ კმ}^2$ -მდე) არაზვავაქტიური ტერიტიურის ზვავაქტიურში მოხვდრამ, განაპირობა ის ფაქტი, რომ ზემოთ აღნიშნული რუკის მიხედვით, საქართველოს მთლიანი ფართობის  $69.2\%$  ზვავსაშიშია, მაშინ როდესაც, ჩვენი რუკის მიხედვით, ზვავაქტიურია საქართველოს მთლიანი ფართობის მხოლოდ  $56\%$ . (ნახ.7.1.1).

როცა, ტერიტორიის ზვავაქტიურობის დადგენა ხდებოდა  $100 \text{ კმ}^2$  ფართობისთვის, ეს უტყეო ციცაბო ფერდობები, რომელთა სიგრძე თხემიდან ტყის ზედა საზღვრამდე, ძირითადად, არ აღემატება  $3-5 \text{ კმ}$ -ს, ხვდებოდნენ ტყით დაფარულ ფერდობებთან ერთად და, საერთო ჯამში, უტყეო ციცაბო ფერდობების ხვედრითი წილი  $100 \text{ კმ}^2$  ფართობზე, არ აღემატებოდა  $25\%-ს$ , რის გამოც, საერთო ტერიტორიის ზვავაქტიურობაც  $25\%-ზე$  ნაკლები გამოდის. როცა, ტერიტორიის ზვავაქტიურობის დადგენა ხდება  $1 \text{ კმ}^2$ -თვის, მაშინ ქედების თხემების მიმდებარე, უტყეო ციცაბო ფერდობების ფართობი, რომელთა სიგრძე  $3-5 \text{ კმ}$ -ია, თხემის, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს რამდენიმე, ზოგჯერ კი ათეულ  $\text{კმ}^2$ -ს აღწევს, მაშინ ამ ტერიტორიის ზვავაქტიურობა, რა თქმა უნდა,  $25\%-ზე$  მეტი იქნება, ზოგან  $60-80\%-ს$  მიაღწევს. ჩვენი აზრით, სწორედ, ზემოთ დასახელებულმა პირობებმა გამოიწვიეს, პლევის შედეგებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება.

## 7.2. ზვაგშემკრებების გავრცელების სიხშირე

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ტერმინ ზვაგშემკრების განმარტება, რადგან მის ნაცვლად, ხშირად ტერმინ ზვავს ხმარობენ, ან პირიქით, ზვავის მაგიერ – ზვაგშემკრებს. ამასთანავე, ტერმინ ზვაგშემკრების შინაარსი, სხვადასხვა მკვლევარს სხვადასხვანაირად ესმის. მის დამადასტურებელ მაგალითად, საკმარისია მოვიყვანოთ, ოუნდაც გლაციოლოგიური ლექსიკონი [43], რომლის 408-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ „თოვლის ზვავი ჩამოდის პერიოდულად, ერთი და იმავე გზით, სადაც გამოიყოფა ზვავის კვების ადგილი, ზვავის დარი, მისი კალაპოტი და ზვავის გამოზიდვის კონუსი“. 198-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ „ზვაგშემკრები არის, მთის ფერდობის ან ხეობის ძირის ნაწილი, რომელზეც წარმოიქმნება, მოძრაობს და ჩერდება ზვავი“. ამ განსაზღვრებებს თუ დავეყრდნობით, გამოდის, რომ ერთ შემთხვევაში, ზვაგშემკრები არის ზვავის კერის, ზვავის დარისა და ზვავის კონუსის ერთობლიობა, ხოლო, მეორე შემთხვევაში – ზვავის კერა. თუ კი, ერთ ნაშრომში (გლაციოლოგიური ლექსიკონი), რომელიც შედგენილია მსოფლიოში ცნობილი გლაციოლოგების მიერ, ტერმინ ზვაგშემკრების განმარტებაში არსებითი განსხვავებაა, არ არის გასაკვირი, რომ სხვადასხვა მკვლევარი ტერმინ ზვაგშემკრებს სხვადასხვანაირად განმარტავს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია, მოვიყვანოთ ტერმინ ზვაგშემკრების განმარტება და მოკლედახასიათება.

ზვაგშემკრები არის მთიანი რელიეფის ნაწილი, სადაც წარმოიქმნება, მოძრაობს და ჩერდება ზვავი. მთიანი რელიეფის ნაწილში იგულისხმება, ისეთი ელემენტები, როგორიცაა: ფერდობი, დარტაფი, ხევი, ხეობა ან მათი მონაკვეთი, აგრეთვე, ფერდობი და დარტაფი, ფერდობი და ხევი, ფერდობი და ხეობის ძირი ან მათი მონაკვეთი და ა.შ. ზვაგშემკრები შედგება სამი ნაწილისგან ან ზონისგან: ზვავის კერის, ზვავის კალაპოტისა (ზვავსადენი) და ზვავის გამოზიდვის კონუსისგან.

ზვავის კერა არის ზვავშემკრების ზედა ნაწილი ან ზონა, სადაც ხდება ზვავის წარმოქმნა ან, სადაც იწყება თოვლის მოძრაობა და ზვავის ფორმირება. კალაპოტი არის ზვავშემკრების შუა ნაწილი (ტერიტორია ზვავის კერასა და ზვავის გამოზიდვის კონუსს შორის), სადაც ხდება ზვავის თოვლის მოძრაობა, ანუ ზვავის კერაში დაგროვილი თოვლის გადაადგილება (ტრანზიტი). ზვავის გამოზიდვის კონუსი არის ზვავშემკრების ქვედა ნაწილი, სადაც ხდება ზვავის სახით, მოძრაობაში მოსული თოვლის გაჩერება და დაგროვება. ზვავის კერა არის დაგროვილი თოვლის განტვირთვის ზონა, კალაპოტი – ზვავის თოვლის ტრანზიტის (გადაადგილების) ზონა, ხოლო გამოზიდვის კონუსი – ზვავის თოვლის დაგროვების ზონა.

ზვავშემკრები შეიძლება იყოს, მარტივი ან რთული. ზვავშემკრები მარტივია იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს, მხოლოდ თითო ზვავის კერა, ზვავის კალაპოტი და ზვავის გამოზიდვის კონუსი, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ, სხვა ზვავშემკრების კერასთან, კალაპოტთან და გამოზიდვის კონუსთან. ზვავშემკრები რთულია იმ შემთხვევაში, როცა რამდენიმე ზვავის კერას აქვს, საერთო კალაპოტი ან მისი ნაწილი; ზვავშემკრები რთულია იმ შემთხვევაშიც, როცა რამდენიმე ზვავშემკრებს აქვს ზვავის კერა, სხვადასხვა კალაპოტი და გამოზიდვის კონუსი.

მორფომეტრიული მახასიათებლებიდან ძირითადია: შეფარდებითი სიმაღლე (ზვავშემკრების ზედა და ქვედა საზღვრების, აბსოლუტურ სიმაღლეებს შორის სხვაობა), ზვავშემკრების სიგრძე (ზვავშემკრების ზედა და ქვედა საზღვრებს შორის მანძილი), ზვავშემკრებისა და მისი ზონების ფართობები, საშუალო დახრილობა (დაქანება); ზვავშემკრების ზედა და ქვედა საზღვრების აბსოლუტური სიმაღლე, ზვავშემკრების ცალკეული მონაკვეთების სიგრძე, სიგანე, შეფარდებითი სიმაღლე, დახრილობა; აგრეთვე, გასწვრივი პროფილის ფორმა და სიგრძე.

ზვავშემკრები თავისი მორფოლოგიური ფორმის მიხედვით, შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფს

მიეკუთვნება, ისეთი ზვავშემკრები, რომელიც მდებარეობს სწორ დაუნაწევრებელ, არაეროზირებულ ფერდობებზე. ასეთ ზვავშემკრებს არ გააჩნია, მკვეთრად გამოყოფილი სამი ზონა: ზვავის კერა, კალაპოტი და გამოზიდვის კონუსი. აქ ზვავი წარმოიქმნება და მოძრაობს სწორ ფერდობზე, ხოლო ჩერდება ფერდობის ძირში – დამრეც ზედაპირზე. რელიეფის თავისებურებებზე დაკვირვებით, მათი გამოვლენა თითქმის შეუძლებელია. განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია ლანდშაფტის თავისებურება, კერძოდ, ნიადაგის ზედა ფენისა და მცენარეული საფარის თავისებურება. პირველის საპირისპიროა, მეორე ჯგუფის ზვავშემკრები, რომელსაც გააჩნია რელიეფში მკვეთრად გამოკვეთილი ზვავის კერა, კალაპოტი და გამოზიდვის კონუსი. მათი ზვავის კერა, ჩვეულებრივ, წარმოადგენს ძაბრისებრ გაფართოებას, რომელიც კალაპოტან მიახლოებისას ვიწროვდება. კალაპოტი რელიეფის უარყოფითი ფორმაა და ძირითადად, წარმოადგენს ხეობის, ხევის ან დარტაფის ძირს. გამოზიდვის კონუსი, ჩვეულებრივ, რაც უფრო შორდება კალაპოტს, მით უფრო ფართოვდება. მისი ფორმა დამოკიდებულია, ძირითადად, რელიეფის თავისებურებაზე. არის კიდევ, ზვავშემკრების მესამე ჯგუფი, რომელსაც გააჩნია პირველი და მეორე ჯგუფის თვისებები. მესამე ჯგუფის ზვავშემკრები რელიეფში, შეიძლება კარგად იყოს გამოკვეთილი, მაგრამ არ გააჩნია კარგად გამოყოფილი ზვავის კერა, კალაპოტი და გამოზიდვის კონუსი. საერთოდ კი, პირველი ჯგუფის ზვავშემკრებს ეწოდება ფერდობის, მეორეს – ხევის, ხოლო, მესამეს – ფერდობ-ხევის ზვავშემკრები.

ზვავსაშიშროების ერთ-ერთი, ძირითადი, რაოდენობრივი მახასიათებელია, ზვავშემკრების გაერცელების სიხშირე. ზვავშემკრების სიხშირეში იგულისხმება, მათი რაოდენობა ერთ გრძივ კილომეტრზე ან ფართობის ერთეულზე.

ზვავშემკრების რაოდენობა გრძივ კილომეტრზე, კარგად გამოხატავს ზვავშემკრებების გავრცელების თავისებურებას ხეობების, სარკინიგზო და საავტომობილო გზების, ელექტროგადამცემ და კავშირგაბმულობის ხაზების გასწვრივ,

მაგრამ ვერ იძლევა, ზვავშემკრებების ტერიტორიული გავრცელების რეალურ სურათს. ზვავშემკრებების რაოდენობის დადგენის დროს გრძივ კილომეტრზე, მხედველობაში მიიღება, მხოლოდ, ის ზვავშემკრებები, რომლებიც აღწევენ მდინარეთა ხეობის ძირამდე, გადაკვეთენ სარკინიგზო და საავტომობილო გზებს, ელექტროგადამცემ და კავშირგაბმულობის ხაზებს, ხოლო, იქვე ახლომდებარე ზვავშემკრებები, ყურადღების მიღმა რჩება. ამასთანავე, ერთსა და იმავე რაიონში, ზვავშემკრებების სიხშირე სხვადასხვა მიმართულებით, მნიშვნელოვნებად განსხვავდება ერთმანეთისგან. მთის მდინარეების ხეობებში (განსაკუთრებით იქ, სადაც ისინი ფართოა), ბევრი ზვავშემკრების გავრცელების საზღვრები ფერდობზე ან ტერასებზე მთავრდება ისე, რომ მდინარის კალაპოტს ვერ აღწევს. მდინარის გასწვრივ, ზვავშემკრებების სიხშირის დადგენის დროს, ისინი მხედველობაში არ მიიღება, ამის გამო, მიღებული სიდიდე შემცირებულია. სიმეტრიულ ხეობაში, ციცაბო ფერდობებზე მდებარე, თითქმის ყველა ზვავშემკრების საზღვარი აღწევს მდინარის კალაპოტს, ხოლო დამრეც და დანაწევრებულ, მოპირდაპირე ფერდობზე მდებარე ზვავშემკრებების გაერთიანება ერთ ზვავშემკრებად, ხშირად, კალაპოტამდე ხდება. ასე, მაგალითად, მდბზიფის ხეობაში, მდ. გეგის შესართავს ზემოთ, სამ კილომეტრიან მონაკვეთზე, ხეობის მარჯვენა ფერდობზე მდებარეობს, ოთხი მცირე ფართობის მქონე ზვავშემკრები, ხოლო მარცხენა ფერდობზე 16 ზვავშემკრები, რომლებიც გაერთიანების შემდეგ, წარმოქმნიან ოთხ რთულ ზვავშემკრებს. ამრიგად, მდინარის კალაპოტამდე, როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ფერდობიდან, ვრცელდება ოთხ-ოთხი ზვავშემკრები და ზვავშემკრებების სიხშირე, მდინარის კალაპოტის ორივე მხარეს თანაბარია. ეს ხდება მაშინ, როცა ხეობის მარჯვენა მხარეზე მდებარე ოთხი ზვავშემკრების ფართობი, მხოლოდ  $0.004 \text{ კმ}^2$ -ს შეადგენს, ხოლო მარცხენა ფერდობზე მდებარე, ოთხი რთული ზვავშემკრების ფართობი  $კი - 4.5 \text{ კმ}^2$ -ს. მოყვანილი მაგალითი ცხადყოფს, რომ ზვავშემკრებების რაოდენობის (სიხშირის) ერთ გრძივ კილომეტრიული გავრცელების რეალურ სურათს.

ტრზე დადგენა, არ იძლევა საშუალებას მივიღოთ ზვავშემკრებების გავრცელების რეალური სურათი. გარდა ამისა, ზვავსაშიშროების ხარისხის დადგენა, ზვავშემკრებების რაოდენობით ერთ გრძივ კილომეტრზე, ნაკლებად გამოიყენება პრაქტიკაში. ზვავშემკრებების ტერიტორიალური გავრცელების მახასიათებლად, შეიძლება გამოდგეს ზვავშემკრებების სიხშირის ფართობრივი მახასიათებლები, კერძოდ, ზვავშემკრებების რაოდენობა ფართობის ერთეულზე. მისი დადგენა საშუალებას იძლევა, შევადგინოთ ზვავშემკრებების გავრცელების რუკა.

საქართველოს ტერიტორიაზე ზვავშემკრებების სიხშირის თავისებურებების გამოსავლენად, ჩვენ გამოვიყენეთ, საველე კვლევის დროს მოპოვებული ცნობები, საარქივო და აეროფოტოგადადების მასალები და მსხვილმასშტაბიანი რუკები [18].

დაბალმოთიანი უტყვეო ან მხოლოდ, ფოთლოვანი ტყით დაფარული რეგიონებისთვის, ზვავშემკრებებისა და მათი გავრცელების საზღვრების დასადგენად, აუცილებელია საველე სამუშაოების ჩატარება, იმ ადგილებში, სადაც, ძირითადად, სპორადული ზვავებია. მათი გავრცელების საზღვრების დადგენა, იშვიათი განმეორადობის გამო, მხოლოდ მსხვილმასშტაბიანი რუკებისა და აეროფოტოგადადების მასალების დახმარებით, თითქმის შეუძლებელია.

საშუალომოთიანი რეგიონისთვის, რომელიც ძირითადად, ხშირი, წიწვოვანი ან შერეული ტყითაა დაფარული, ზვავშემკრებების სიხშირის განსაზღვრის დროს, გარდა, საველე სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალებისა, ფართოდ გამოვიყენეთ აეროფოტოგადადების მასალებიც. აქ, ძირითადად, სისტემატური ზვავებია გავრცელებული, მათი კვალი ადგილობრივ ლანდშაფტში კარგადაა შენარჩუნებული. აქ, გეობორგანიკური მახასიათებლები საშუალებას იძლევა, ზუსტად დადგინდეს ზვავშემკრებების გავრცელების საზღვრები და სიხშირე.

ტყის ზედა საზღვრის ზემოთ მდებარე ტერიტორია, ძლიერად დანაწევრებული და რელიეფის ეროზიული ფორმები

ფართოდაა გავრცელებული, რომლებიც თავად წარმოადგენს ზვავშემკრებს. რელიეფის არსებული ფორმები, ადვილად განისაზღვრება არა მხოლოდ აეროფოტოგადაღების მასალებით, არამედ მსხვილმასშტაბიანი რუკებითაც. ამიტომ, კარტოგრაფიული მასალების გამოყენება, გეომორფოლოგიური მახასიათებლების ანალიზი, საშუალებას იძლევა განისაზღვროს ზვავშემკრებების გავრცელების საზღვრები და სიხშირე.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად, დადგენილია ზვავშემკრებების სიხშირე ტერიტორიის მიხედვით (მათი რაოდენობა 1 კმ-ზე), რის საფუძველზეც შევადგინეთ ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირის რუკა (ნახ.7.2.1. იხ. დანართი). ყოველივე ამან, საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირის განაწილების, ძირითადი კანონზომიერებები საქართველოს ტერიტორიაზე. რუკაზე ცალკეა გამოყოფილი, როგორც ზვავშემკრებების გავრცელების ნულოვანი სიხშირის მქონე ტერიტორია, ასევე ზვავშემკრებების გავრცელების სხვადასხვა სიხშირის მქონე რაიონი. კარტომეტრიული სამუშაოების შედეგად, დადგენილია ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირის თავისებურება, როგორც საქართველოს მთლიანი ტერიტორიისთვის, ასევე ცალკეულ მდინარეთა აუზებისთვის (ცხრ.7.2.1).

ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე და ტერიტორიის ზვავაქტიურობა დამოკიდებულია, ძირითადად, ისეთ გეოგრაფიულ კომპონენტებზე, როგორიცაა რელიეფი (ძირითადად, ფერდობების დახრილობა) და მცენარეული საფარი (ტყიანობა). აღნიშნულიდან გამომდინარე, ზვავშემკრებების გავრცელების ნულოვანი სიხშირითა და ტერიტორიის ზვავაქტიურობის ნულოვანი მნიშვნელობით ხასიათდება, საქართველოს ტერიტორიის ერთი და იგივე ნაწილი. ზვავსაშიშ ტერიტორიაზე ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე დიდ ფართობზე იცვლება, რასაც ადასტურებს ცხრილში (ცხრ.7.2.1) მოყვანილი ძირითადი მდინარეების აუზებში, ზვავშემკრებების ნულოვანი და სხვადასხვა სიხშირის მქონე რაიონების გავრცელების თავისებურება (პროცენტებში).

**ცხრილი 7.2.1. ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე  
საქართველოს ტერიტორიაზე**

№	მდინარის აუზი, მხარე	ზვავშემკრებების რაობა 1 კმ ფართობზე				
		0	<5	5-10	10-15	>15
1	ბზიფი	3	17	53	20	7
2	კოდორი	10	27	29	24	10
3	ქარეთი	20	12	20	29	19
4	ხობი	70	17	7	4	2
5	ცხენისწყალი	16	27	19	23	14
6	რიონი (ცხენისწყლით)	38	36	10	11	5
7	ჭოროხი	10	41	40	6	3
8	შავი ზღვის შენაკადები	39	34	16	7	4
9	არაგვი	29	17	16	20	18
10	მტკვარი (არაგვით)	44	36	8	7	5
11	იორი	80	10	5	3	2
12	ალაზანი	64	15	10	8	3
13	კავკასიონის ჩრდილოეთი ფერდობების მდინარეები	-	20	16	37	27
14	ხრამი	69	25	4	2	-
15	დასავლეთ საქართველო	32	30	18	13	7
16	აღმოსავლეთ აქართველო	52	27	8	8	5
17	საქართველო	43	29	12	10	6

რაიონს, სადაც ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე 1 კმ<sup>2</sup>-ზე, ნაკლებია 5-ზე, საქართველოს მთლიანი ფართობის 29% უკავია (დასავლეთ საქართველოში, რეგიონის მთლიანი ფართობის 30%, აღმოსავლეთ საქართველოში – 27%). ამ რაიონს, განსაკუთრებით დიდი ფართობი (აუზის მთლიანი ფართობის 36-41%) უჭირავს, იმ მდინარეთა (ჭოროხი, რიონი, მტკვარი) აუზებში, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მდებარეობს დაბალმთიან ზონაში, ან დაფარულია ხშირი ტყის საფარით; შედარებით მცირე ტერიტორია (მთლიანი ფართობის 10-17%) უჭირავს, იმ მდინარეთა აუზებში, რომელთა უმეტესი ნაწილი მდებარეობს საშუალო და მაღალმთიან ზონა-

ში, ან რომელთა ტერიტორიის უმეტესი ნაწილი არარზვავსა-შიშია (ენგური, ბზიფი, იორი, ხობი, ალაზანი).

რაიონს, სადაც  $1 \text{ კმ}^2$  ფართობზე ზვავშემკრებების რაოდ-ენობა 5-10-ს შეადგენს, შედარებით დიდი ფართობი უჭირავს, იმ მდინარეთა აუზებში, რომელთა ტერიტორიის მნიშვნელო-ვანი ნაწილი, მდებარეობს საშუალომთიან ზონაში და დაფა-რულია ხშირი ტყის საფარი ასე, მაგალითად, მდ.ბზიფის აუზში ამ ტიპის რაიონს უკავია მთლიანი ფართობის 53%, მდ.ჭოროხის აუზში – 40%, მდ.კოდორის აუზში – 29%.

შედარებით მცირე ფართობი უჭირავს, იმ მდინარეთა აუზებში, რომელთა ტერიტორია არ გამოირჩევა დიდი ზვა-ვაქტიურობით. ასე, მაგალითად, მდ.ხრამის აუზში უჭირავს მთლიანი ფართობის 4%, მდ.იორის აუზში – 5%, მდ.ხობის აუზში – 7%, მდ.მტკვრის აუზში – 8% და მდ.ალაზნის აუზ-ში – 10%.

ზვავშემკრებების გავრცელების დიდი სიხშირით (10-15 ზვავშემკრები  $1 \text{ კმ}^2$ -ზე) ხასიათდება, საქართველოს მთლიანი ფართობის მხოლოდ 9% (დასავლეთ საქართველოში 13%, აღმოსავლეთ საქართველოში - 8%).

ზვავშემკრებების გავრცელების დიდი სიხშირე (10-15 ზვავშემკრები  $1 \text{ კმ}^2$ -ზე), ძირითადად, უტევო ან მეჩერტევიანი ციცაბო ფერდობებისთვის არის დამახასიათებელი. ასეთი ფერდობები, ძირითადად, მდებარეობს მაღალმთიან სუბალ-კურ და ალპურ ზონებში. ამ რაიონს, განსაკუთრებით დიდი ფართობი უჭირავს იმ აუზებში, რომელთა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, მდებარეობს მაღალმთიან ზონაში.

მაღალმთიან ზონაში, დიდი ფართობები უკავია იმ მდი-ნარეთა აუზებს, რომლებიც სათავეს იღებენ კავკასიონის მთავარი ქედის (განსაკუთრებით, მისი ცენტრალური ნაწი-ლის) მიმდებარე ფერდობებზე. რაიონს, სადაც ზვავშემკრებე-ბის რაოდენობა  $1 \text{ კმ}^2$ -ზე არის 10-15, საქართველოს იმ ნა-წილში, რომელიც მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით (თერგის, ასას, არღუნის, პირიქითა ალაზნისა და თუშეთის ალაზნის აუზებში), უჭირავს რეგიონის მთლია-ნი ფართობის 37%, მდ.ენგურის აუზში – 29%, მდ.კოდორის

აუზში – 24%, მდ.ცხენისწყლის აუზში – 23%, მდ.არაგვისა და მდ.ბზიფის აუზებში – 20-20%. დანარჩენ მდინარეთა აუზებში, მოცემული რაიონის ფართობი არ აღემატება, მათი მთლიანი ფართობის 2-11%-ს.

სუბალპური და ალპური ზონების მნიშვნელოვან ნაწილზე, ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე 1 კმ-ზე აღემატება 15-ს და ცალკეულ მაღალმთიან, უტევო, ძლიერ დანაწევრებულ ფერდობებზე აღწევს 18-20-ს. ამ რაიონს, მდინარეების თერგის, ასას, არღვის, პირიქითა და თუშეთის ალაზნის აუზებში უკავია, აუზების მთლიანი ფართობის 27%, მდ.ენგურის აუზში – 19%, მდ.არაგვის აუზში – 18%, მდ. ცხენისწყლის აუზში – 15% და მდ. კოდორის აუზში – 10%. სხვა მდინარეების აუზებში, რაიონის წილი ნაკლებია და არ აღემატება 2-7%-ს.

რაიონს, სადაც ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე 1 კმ<sup>2</sup>-ზე აღემატება 15-ს, განსაკუთრებით, დიდი ტერიტორია უჭირავს კავკასიონის მთავარი ქედისა და სვანეთის ქედის მიმდებარე მაღალმთიან ფერდობებზე, აგრეთვე, კოდორის, ლეჩეუმისა და მესენის ქედების ფერდობებზე.

### 7.3. ზვავების ჩამოსვლის სიხშირე

ზვავების ჩამოსვლის სიხშირის თავისებურებების შესწავლამდე, მიზანშეწონილი იქნება დავაღინოთ, თუ რას წარმოადგენს ზვავი და რა იგულისხმება, სახელდობრ, სახელწოდება „ზვავში“. ეს, იმით არის განპირობებული, რომ ზოგჯერ სპეციალისტებიც კი, ერთმანეთში ურევენ ზვავისა და ზვავშემკრების ცნებას.

ზვავი არის, ფერდობიდან სიმძიმის ძალის ზეგავლენით მოწყვეტილი, გარკვეული სიჩქარისა და მოცულობის მქონე ორგვლის მასა. ზვავშემკრები კი ფერდობის, ხევის ან ხეობის ნაწილია, რომელზეც წარმოიქმნება, მოძრაობს და ჩერდება ზვავი. ზვავშემკრები სივრცეა, გარკვეული ფართობის მქონე ტერიტორია, დროში შედარებით უცვლელი, ხოლო ზვავი დროში ცვალებადი მოვლენაა. ზვავშემკრებს აქვს „მუდმივი“ საზღვრები და მორფომეტრიული მახასიათებლები

(სიგრძე, სიგანე, ფართობი, ზედაპირის დახრილობა და სხვა). ერთ ზვაგშემკრებში წარმოქმნილი მრავალი ზვავიდან, ერთნაირი გავრცელების საზღვრებისა და დინამიკური მახასიათებლის მქონე, ორ ზვავსაც კი ვერ შეხვდებით. ყველა ზვავს აქვს, მხოლოდ, მისთვის დამახასიათებელი გავრცელების საზღვრები, სიჩქარე, დარტყმის ძალა, კონუსის სიგრძე, სიგანე, სიმაღლე და მოცულობა, მოძრავი თოვლის სიმაღლე და სხვა. ზვაგშემკრების საზღვრები კი არის, მასში წარმოქმნილი მრავალი ზვავიდან, ყველაზე ფართო გავრცელების (დიდი ფართობის) მქონე ზვავის საზღვრები. ზვაგშემკრების ფარგლებს ვერ გასცდება მასში წარმოქმნილი ვერც ერთი ზვავი.

ჩამოსული ზვავის საზღვრის დასადგენად, საქმარისია ჩამოსვლის შემდეგ, კვალის გაქრობამდე ადგილზე მისვლა და მსხვილმასშტაბიან გეგმაზე, ან რუკაზე მათი დატანა. ზვაგშემკრების საზღვრების დადგენა კი, როცელი და შრომატევადი სამუშაოა. ზვაგშემკრებების საზღვრების დასადგენად, საველე სამუშაოების გარდა, აუცილებელია თეორიული პლანი. მხოლოდ, თეორიული და პრაქტიკული პლანის შეჯერებით, შეიძლება დადგინდეს ზვაგშემკრებების რეალური საზღვრები.

მთიანი ტერიტორიების ზვავსაში შროების ხარისხის ერთ-ერთი, ძირითადი მახასიათებელია, ზვავების ჩამოსვლის სიხშირე. მიუხედავად ამისა, ზვავების ჩამოსვლის სიხშირის დადგენის, თეორიული მეთოდები არ არის შემუშავებული. ცალკეულ მთიან რეგიონებში, ზვავების ჩამოსვლის სიხშირის თავისებურებების გამოვლენა და დადგენა ხდება, არსებული ფაქტიური მასალების ანალიზის საფუძველზე.

ჩამოსვლის სიხშირის მიხედვით, ზვავები იყოფა სისტემატურ და სპორადულ ზვავებად (რეგულარულ და ეპიზოდურ ზვავებად). ფაქტიური მასალების ანალიზის საფუძველზე, ცალკეულ მთიან რეგიონებში გამოყოფა, სისტემატური და სპორადული ზვავების გავრცელების ზონები.

არსებული მასალების, თოვლის ხასიათისა და ფიტონიდიკაციური მეთოდების საფუძველზე, ზვავების ჩამოსვლის

სიხშირის უფრო დეტალური გრადაცია (წელიწადში მრავალჯერ, 10 ან 100 წელიწადში ერთხელ და ა.შ.) და ანალიზი მოცემულია რიგ ნაშრომებში. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქ.აკიფიევას და მ.ზალიხანოვის გამოკვლევები. ქ.აკიფიევამ აეროფოტოგადადების მასალების დეშიფრირების საფუძველზე შეადგინა, მდ.დიდი ზელენჩუკის ხეობაში ზვავების ჩამოსვლის პერიოდულობის რეკა [39], სადაც გამოყოფილია ზვავების ჩამოსვლის სხვადასხვა განმეორადობის რაიონები. მ.ზალიხანოვმა [44] ხუთი ათასი ჩამოსვლი ზვავის გამოკვლევის საფუძველზე დაადგინა, დიდი კავკასიონის სხვადასხვა რაიონებში, ზვავების ჩამოსვლის სიხშირის თავისებურება. ამ სიდიდეს ახასიათებენ, ზვავსაშიში თოვების (20 სმ-ზე მეტი თოვლის საფარის, სიმაღლის ნამატი დღე-დამეში) რაოდენობით. აქვე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ზვავსაშიში თოვის სიდიდის დადგენის დროს, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ფერდობების დახრილობა, რადგან სხვადასხვა დახრილობის მქონე ფერდობებისთვის, ზვავსაშიში თოვის სიდიდე (თოვლის საფარის სიმაღლის ნამატი დღე-დამეში) სხვადასხვა იქნება. მხოლოდ მ.ზალიხანოვს, ცალკე აქს გამოყოფილი „ზამთარში 4-5 ზვავისა და მეტის მომცემი ზვავების აპარატების“ გაგრცელების რაიონი, სხვა არცერთ ნაშრომში, არ არის მოყვანილი ერთი ზამთრის განმავლობაში, ზვავების ჩამოსვლის სიხშირის, სიგრცეში ცვალებადობის თავისებურების დადგენის მეოთხი. ჩვეულებრივ, მიუთითებენ, რომ ზვავები ჩამოდიან ყოველწლიურად, ან წელიწადში რამდენჯერმე.

ზვავების რეჟიმზე არსებული დაკვირვების მასალების განხოგადოების საფუძველზე მიღებულმა მახასიათებლებმა, შეიძლება მოგვცენ დიდი ფართობის მქონე მთიან რეგიონებში, ზვავების ჩამოსვლის სიხშირის თავისებურებების, მხოლოდ, მიახლოებითი სურათი, რადგანაც ზვავების ჩამოსვლის სიხშირეზე, მრავალწლიური სისტემატური დაკვირვება წარმოებს, მხოლოდ მცირე ფართობის მქონე, შეზღუდული რაოდენობის ტერიტორიაზე (თოვლ-საზვავე სადგურების მიმდებარე ტერიტორიაზე).

მთიან რეგიონებში, სადაც ზვავების რეჟიმზე არსებული დაკვირვების მასალები, მოიცავენ მცირე პერიოდებს, ან სისტემატური დაკვირვება, საერთოდ არ წარმოებს, ზვავების ჩამოსვლის სიხშირე დგინდება, მისი თავისებურებების განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზის შედეგად. ასეთი ფაქტორებია: ფერდობების დახრილობა, მყარი ნალექების რაოდენობა, თოვლის ინტენსივობა და განმეორადობა, თოვლის სიმკვრივე და სხვა. სწორედ, ჩამოთვლილი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე, შევიმუშავეთ ზვავების ჩამოსვლის სიხშირის განსაზღვრის მეთოდები და გამოვავლინეთ, მისი დროსა და სივრცეში ცვალებადობის თავისებურებანი.

საქართველოს ტერიტორია მიეკუთვნება სამხრეთი მთიანი სარტყლის რაიონს. ცნობილია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით, დიდი გავრცელებით ხასიათდება ახალმოსული თოვლის ზვავები, რომლებზეც მოდის ჩამოსული ზვავების საერთო რაოდენობის 80%. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ახალმოსული თოვლის ზვავების (ჩამოსვლის სიხშირე) თავისებურებების გამოვლენას, დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ზამთრის განმავლობაში ახალმოსული თოვლის ნამატის რაოდენობა უშუალოდ არ იზომება. პიღრომეტეოროლოგიური სადგურისა და საგუშაგოებისთვის, მრავალწლიანი პერიოდის თითოეულ ზამთარში ახალმოსული თოვლის, სიმაღლეთა ნამატის გამოვლა, ძალიან შრომატევადი სამუშაოა. ამიტომ, ზამთრის განმავლობაში ყოველი თოვის დროს მოსული, თოვლის საფარის სიმაღლეთა ნამატის ჯამის მიღება, მიზანშეწონილია, იმ მეტეოროლოგიური ელემენტების საშუალებით, რომელთა სიღიღე უშუალოდ იზომება. აღმოჩნდა, რომ ზამთრის განმავლობაში ახალმოსული თოვლის რაოდენობა, მჭიდრო კავშირშია თოვლის საფარის მაქსიმალურ სიმაღლესთან. ახალმოსული თოვლის ნამატის რაოდენობასა და ზამთარში თოვლის საფარის მაქსიმალურ სიმაღლეს შორის, დამოკიდებულების დადგენის მიზნით, გამოყენებულია საქართველოს სხვადასხვა, ფიზიკურ-გეოგრაფი-

ულ და კლიმატურ პირობებში მდებარე, ძირითადი სადგურების მრავალწლიური მონაცემები.

აღნიშნული პიდრომეტეოროლოგიური სადგურების, დაკვირვებათა მასალების საფუძველზე გამოთვლილია, როგორც ყველა ახალმოსული თოვლის სიმაღლეთა ნამატის ჯამი, ასევე 10 სმ-ზე, 20 სმ-ზე, 30 სმ-ზე და ა.შ. და მეტი ახალმოსული თოვლის სიმაღლეთა ნამატის ჯამები. აიგო აღნიშნულ ჯამებსა და ზამთარში თოვლის საფარის მაქსიმალურ სიმაღლეებს შორის, ურთიერთდამოკიდებულების გრაფიკები. ზემოთ აღნიშნული, დამოკიდებულება შეიძლება გამოისახოს ტოლობით:

$$\sum h_{sb} = k(h_a - \Delta h), \quad (7.3.1)$$

სადაც,  $\sum h_{sb}$  – ზამთრის განმავლობაში, ახალმოსული თოვლის სიმაღლეთა ნამატის ჯამია სმ-ში;  $h_a$  – ზამთარში თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე სმ-ში;  $\Delta h$  – ერთი თოვლისას მოსული თოვლის სიმაღლე სმ-ში, ანუ ახალმოსული თოვლის ის სიმაღლე, რომელზეც უფრო მეტი ნამატი გვჭირდება;  $k$  – კოეფიციენტი, რომლის ცვლილება დამოკიდებულია  $\Delta h$ -ის ცვლილებაზე და გამოისახება შემდეგნაირად:

$$k = 2,55 e^{-0,006\Delta h} \quad (7.3.2)$$

სადაც,  $e$  - ნატურალური ლოგარითმის ფუნქცია ( $e=2,72$ )

თუ  $k$ -ს მნიშვნელობას შევიტანო ტოლობაში, მივიღებთ, რომ

$$\sum h_{sb} = 2,55 e^{-0,006\Delta h} (h_a - \Delta h) \quad (7.3.3)$$

ზამთრის განმავლობაში, მოცემულ ფერდობსა და ზვავ-შემკრებში, იმდენჯერ წარმოიშვება ზვავი, რამდენჯერაც ზვავის წარმოქმნისთვის საჭირო სიმაღლის თოვლი მოვა, ანუ კრიტიკულ მნიშვნელობაზე მეტი სიმაღლის მქონე თოვლი. აღნიშნულიდან ცხადია, რომ ერთ ზამთარში, მოცემულ ფერდობსა და ზვავშემკრებში ზვავების ჩამოსვლის სიხშირე, შეიძლება დავადგინოთ ზვავის წარმოქმნისთვის

საჭირო, ახალმოსული თოვლის სიმაღლეთა ნამატის ჯამის შეფარდებით, თოვლის კრიტიკულ სიმაღლესთან. თუ, ერთი ზამთრის განმავლობაში, ზვავების ჩამოსვლის სიხშირეს აღვნიშნავთ  $r$ -ით, მაშინ

$$r = \frac{\sum h_{\text{sh}}}{h_{\text{sh}}}, \quad (7.3.4)$$

სადაც,  $h_{\text{sh}}$  – ფერდობზე თოვლის მდგრადობა, ანუ თოვლის კრიტიკული სიმაღლე სმ-ში.

თოვლის კრიტიკული სიმაღლის გამოთვლის, მრავალი მეთოდი და ფორმულა არსებობს. მათმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ჩვენი პირობებისთვის, განსაკუთრებული სიმარტივითა და სიზუსტით გამოირჩევა ვ.ცომაიას [58] ფორმულა:

$$h_{\text{sh}} = 17200\alpha^{-2} \left[ (0,9 + \rho)^6 + (0,99 + \rho^2)^6 \right], \quad (7.3.5)$$

სადაც,  $\alpha$  – ფერდობთა დახრილობა გრადუსებში;  $\rho$  – თოვლის სიმკვრივე გ/სმ<sup>3</sup>-ში;

თუ (7.3.4) ფორმულაში ჩავსვამთ (7.3.3) და (7.3.5) მნიშვნელობებს, მივიღებთ:

$$r = \frac{2,55 e^{0,006\Delta h} (h_{\text{sh}} - \Delta h)}{17200\alpha^{-2} \left[ (0,9 + \rho)^6 + (0,99 + \rho^2)^6 \right]} \quad (7.3.6)$$

ზვავების ჩამოსვლის სიხშირის ფორმულით გამოთვლის დროს,  $\Delta h$ -ის ადგილზე, უნდა ჩაისვას, წინასწარ გამოთვლილი  $h_{\text{sh}}$ -ის მნიშვნელობა.

ამრიგად, ერთ ზამთარში ზვავების ჩამოსვლის სიხშირის დადგენისთვის აუცილებელია, თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლის ( $h_{\text{sh}}$ ), ფერდობთა დახრილობისა ( $\alpha$ ) და თოვლის სიმკვრივის ( $\rho$ ) ცოდნა.

საქართველოში ზვავების ჩამოსვლის სიხშირეზე დეტალური დაკვირვება, მხოლოდ, ჯვრის გადასასვლელის თოვლასაზეა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე (საქართველოს სამხედრო გზის საუღელტეხილო მონაკვეთი) ხდებოდა.

სწორედ, ამ ტერიტორიის სხვადასხვა აბსოლუტურ სიმაღლეზე მდებარე ზედაპირის, სხვადასხვა დახრილობის

მქონე 15 ზვავშემკრებში (20 წლის მონაცემები), თითოეულ ზამთარში ზვავების ჩამოსვლის სიხშირე შევადარეთ, ჩვენი მეთოდით, იმავე ზვავშემკრებებისთვის გამოთვლილ ზვავების სიხშირეს. აღმოჩნდა, რომ ყველა გენეზისის ზვავების ჩამოსვლის, ფაქტიურ და გამოთვლილ სიხშირეებს შორის სხვაობა არ აღემატებოდა – 10%-ს. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ზვავის ჩამოსვლის სიხშირის დასადგენად, მიღებული მეთოდის გამოყენება კარგ შედეგს იძლევა.

ზვავების ჩამოსვლის სიხშირეზე, როგორც ეს ფორმულიდან ჩანს, დიდ გავლენას ახდენს თოვლის სიმკვრივე. საქართველოს ტერიტორიის დასავლეთი ნაწილისთვის დამახასიათებელია ნოტიო, რბილი კლიმატი, რის გამოც, აქ, ახალმოსული თოვლის სიმკვრივე გეტია, აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით. საველე კვლევისა და მეტეოროლოგიური სადგურების, დაკვირვების მასალების ანალიზმა გვიჩვნა, რომ დასავლეთ საქართველოში (განსაკუთრებით უხევთოვლიანი და უხევთოვლიანი რაიონები) ახალმოსული თოვლის სიმკვრივის საშუალო მნიშვნელობა შეადგენს 0,12 გრ/სმ-ს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში (საშუალოთვლიანი და მცირეთოვლიანი რაიონები) – 0,10 გრ/სმ-ს.

ფორმულაში შემავალი პარამეტრებიდან, ახალმოსული თოვლის სიმკვრივე ( $\rho$ ) და ფერდობების დახრილობა ( $\alpha$ ) უცვლელია დროში, ხოლო თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე ზამთარში ( $h_0$ ) ცვალებადია; მისი სიმაღლე, ცხადია, იცვლება წლებისა და ადგილის მიხედვით. აქედან გამომდინარე, ზვავების ჩამოსვლის სიხშირეც, იცვლება დროსა და სივრცეში. საქართველოს ტერიტორიაზე თოვლის საფარის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური სიმაღლის ცვლილების კანონზომიერებების გამოვლენაშ, საშუალება მოგვცა დაგვედგინა, ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური სიხშირე და ცვალებადობა საქართველოს ტერიტორიაზე. არსებობს, ზვავების ჩამოსვლის სიხშირის დადგენის მეორე ხერხიც. კერძოდ, 7.3.6 ფორმულის საშუალებით, ვადგენთ ზვავების ჩამოსვლის სიხშირეს, რაც საშუალებას იძლევა, დაკვირვების მთელი პერიოდის

განმავლობაში, განვსაზღვროთ ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური სიხშირე. ზვავების ჩამოსვლის სიხშირის თავისებურებებს საქართველოს ტერიტორიაზე, კარგად წარმოაჩენს ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირის რეკა, რომელზეც დიაგრამების საშუალებით (რეკის მარჯვენა, ზედა ნაწილი) წარმოდგენილია, ზვავების ჩამოსვლის სიხშირე საშუალოთოვლიან და მცირეთოვლიან ზამთრებშიც (ნახ.7.3.1 იხ. დანართი).

ერთი თოვის დროს, ერთი და იმავე ზვავის კერიდან, ზვავის რამდენჯერმე ჩამოსვლა საქართველოს მთებში, ხშირად დაიკვირვება. ასე მაგალითად, 1976 წლის 14 იანვარს დილიდან სადამომდე (10 საათის განმავლობაში), მესტიის რაიონის სოფ. ლარილარში (ჭუბერი) ერთი და იმავე ფერდობიდან, ზვავი სამჯერ ჩამოვიდა [2]. ცნობილია, რომ კოლორადოს შტატში (აშშ) ერთი და იმავე ზვავის კერიდან, ერთ ზამთარში 74 ზვავი ჩამოვიდა [51].

საქართველოს ტერიტორიაზე დიდ ფარგლებში იცვლება, როგორც ზვავების ჩამოსვლის სიხშირე, ისე სხვადასხვა სიხშირის მქონე რაიონის, გავრცელების საზღვრები და ფართობი.

ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირის დროს (მაქსიმალურთოვლიანი ზამთარი), ზვავების ჩამოსვლა დაიკვირვება (ზვავების ჩამოსვლის რაოდენობა, ერთ ზამთარში ერთი, ან მეტი) საქართველოს მთლიანი ფართობის 56 %-ზე, ზვავების ჩამოსვლის საშუალო სიხშირის დროს (საშუალოთოვლიანი ზამთარი) – 49 %-ზე, ხოლო ზვავების ჩამოსვლის მინიმალური სიხშირის დროს (მინიმალურთოვლიანი ზამთარი) – მხოლოდ, 20%-ზე.

ზვავების ჩამოსვლის მინიმალური სიხშირის დროს, საქართველოს ტერიტორიაზე ზვავების წარმოქმნა არ ხდება (ზვავების ჩამოსვლის სიხშირე ნულის ტოლია) მთლიანი ფართობის 44 %-ზე (ცხრ.3.1). ნულოვანი სიხშირის რაიონი დასავლეთ საქართველოში მოიცავს,  $15^{\circ}$ -ზე ნაკლები დახრილობის ტერიტორიას (კოლხეთის დაბლობი და მისი მიმდებარე მთისწინები, შავი ზღვის მიმდებარე ვიწრო ზოლი აფ-

საზეთსა და აჭარაში, ცალკეული მდინარეების ტერასები). ნულოვანი სიხშირის ტერიტორიას, აღმოსავლეთ საქართველოს საშუალოთოვლიან რაიონში უკავია 16-17<sup>0</sup>, ხოლო მცირეთოვლიან რაიონში 19-20<sup>0</sup>-ზე ნაკლები დახრილობის ტერიტორია და მოიცავს, ახალციხისა და წალკის ქვაბულების, შიდა ქართლის, ქვემო ქართლისა და ალაზნის ვაკეების, ივრისა და ჯავახეთის ზეგნების უმეტეს ნაწილს.

**ცხრილი 7.3.1 ზვავების ჩამოსვლის სიხშირე  
საქართველოს ტერიტორიაზე**

რ-ბა ერთ ზამთარში	მაქსიმალური (%საერთო რ-დან)	საშუალო (%) საერთო რ-დან)	მინიმალური (%საერთო რ-დან)
0	44	51	80
<5	15	20	14
5-10	11	15	6
10-15	12	14	
>15	17	—	—

რაიონს, სადაც ზვავების ჩამოსვლის სიხშირე ერთ ზამთარში 5-ზე ნაკლებია, უკავია საქართველოს მთლიანი ფართობის 15%. რაიონს შედარებით მცირე ტერიტორია უჭირავს დასავლეთ საქართველოში, სადაც ის ვიწრო ზოლის სახით ესაზღვრება, ნულოვანი სიხშირის რაიონს. აღმოსავლეთ საქართველოში მნიშვნელოვან ტერიტორიას მოიცავს, აღმოსავლეთ კავკასიონის სამხრეთი განშტოებების ფერდობებსა და სამხრეთ საქართველოს მთიანეთის აღმოსავლეთ ნაწილში – კავკასიონის ქედის აღმოსავლეთი ნაწილის, თრიალეთის, სამსარისა და ჯავახეთის ქედების მადალმთიან ზონაში მდებარე ფერდობებს. აგრეთვე, დასავლეთ საქართველოს დაბალმთიან ზონაში მდებარე ტერიტორიის ნაწილი უკავია რაიონს, სადაც ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური რაოდენობა ერთ ზამთარში არის 5-10. რაიონს უკავია საქართველოს მთლიანი ფართობის 11 %, დასავლეთ საქართველოს დაბალმთიანი ზონის ზედა ნაწილში და აღმოსავლეთ კავკასიონის დასავლეთი ნაწილის, საშუალომთიან ზონაში მდებარე ტერიტორიის უმეტესი ნაწილი (ცხრ.7.3.1).

საქართველოს ტერიტორიის მთლიანი ფართობის 12% უკავია რაიონს, სადაც ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე, ერთ ზამთარში შეადგენს 10-15-ს. რაიონს, სადაც ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე, ერთ ზამთარში აღემატება 15-ს, უკავია საკმაოდ დიდი ტერიტორია – საქართველოს მთლიანი ფართობის 17%.

ეს რაიონი, განსაკუთრებით, დიდი გავრცელებით ხასიათდება დასავლეთ საქართველოში, სადაც მას უჭირავს კავკასიონის, გაგრის, ბზიფის, აფხაზეთის, კოდორის, სვანეთის, ეგრისის, ლეჩხუმის, რაჭისა და მესხეთის ქედების, მაღალმთიან ზონაში მდებარე ფერდობები მთლიანად და საშუალომთიან ზონაში მდებარე ფერდობების უმეტესი ნაწილი. აღმოსავლეთ საქართველოში, ამ რაიონს შედარებით მცირე ტერიტორია უკავია, აღმოსავლეთ კავკასიონის დასავლეთი ნაწილის მაღალმთიან ზონაში.

ზვავების ჩამოსვლის დიდი სიხშირის (15-ზე მეტი, ერთ ზამთარში) რაიონს დასავლეთ საქართველოში, გაცილებით მეტი ტერიტორია უკავია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. ასეთი დიდი განსხვავების მიზეზის გამოსავლენად, გავაანალიზოთ იმ ფაქტორების თავისებურება, რომლებიც განაპირობებენ ზვავების ჩამოსვლის სიხშირეს. ასეთი ფაქტორებია, თოვლის საფარის სიმკვრივე და სიმაღლე, ფერდობების დახრილობა. თოვლის სიმკვრივებს შორის, დიდი სხვაობა არ არის, როგორც აღვნიშნეთ, ახალმოსული თოვლის საშუალო სიმკვრივე დასავლეთ საქართველოში 0,12 გრ/სმ-ია, ხოლო აღმოსავლეთში – 0,10 გრ/სმ. ფერდობების დახრილობის მხრივაც, არ არის დიდი განსხვავება. კავკასიონისა და მისი განშტოებების ფერდობები, ერთნაირი დახრილობით ხასიათდება, მათთან შედარებით აჭარა-იმერეთის მთიანი სისტემისთვის (მესხეთის, შავშეთისა და არსიანის ქედები) ფერდობების შედარებით ნაკლები დახრილობაა დამახასიათებელი, მაგრამ არც ეს არის გადამწყვეტი. აღნიშნულიდან, შეიძლება დავასკვნათ, რომ დასავლეთ საქართველოში ზვავების ჩამოსვლის დიდი სიხშირე, განპირობებულია უხვოვლიანობით. სწორედ, განსაკუთრებით უხვოვლიანი და უხვ-

თოვლიანი რაიონების, საშუალო და მაღალმთიან ზონაში მდებარე ტერიტორიისთვის არის დამახასიათებელი, ზვავების ჩამოსვლის დიდი სისტემა.

საქართველოს ტერიტორიაზე ზვავების რეჟიმზე, შედარებით ხანგრძლივი სტაციონალური დაკვირვება, მხოლოდ ჯვრის უღელტეხილის თოვლ-საზვავე სადგურზე ხდებოდა. სწორედ, ამ სადგურის მონაცემების საფუძველზე შემუშავდა, ზვავების ჩამოსვლის სისტემის დადგენის მეთოდი (ფორმულა 7.3.6). საქართველოს სამსედრო გზის საუდელტეხილო მონაცემზე, ჯვრის უღელტეხილის თოვლ-საზვავე სადგურის მონაცემებით, დაფიქსირებულია ერთი და იმავე ზვავების 18-20 ზვავის ჩამოსვლა. ინტენსიური თოვის დროს, ანუ ზვავსაშიშ პერიოდში, სამსედრო გზის ზვავსაშიშ მონაცემზე მოძრაობა აკრძალულია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩამოსული ზვავების ფიქსირება, მხოლოდ, ინტენსიური თოვის დამთავრების შემდეგ ხდება. თოვის დამთავრების შემდეგ, ერთი და იმავე ზვავის კერიდან ჩამოსული, ზვავების რაოდენობის დადგენა შეუძლებელია და ჩვეულებრივ, ითვლება, რომ მხოლოდ ერთი ზვავი ჩამოვიდა. ჯვრის უღელტეხილზე, ხშირია ინტენსიური თოვა, თოვლის საფარის სიმაღლის დიდი ნამატით. ასე, მაგალითად, 1976 წლის 14-დან 19 იანვრამდე, ერთი თოვისას 5 დღეში, თოვლის სიმაღლემ მოიმატა 177 სმ, ხოლო 1987 წლის 5-დან 11 იანვრამდე, 6 დღეში – 205 სმ. ცხადია, ახალმოსული თოვლის ასეთი რაოდენობით მოსვლა, 30-35 დახრილობის მქონე ფერდობებზე, აუცილებლად გამოიწვევს ზვავების რამდენჯერმე ჩამოსვლას (მაგ. მესტიის რაიონის სოფ. ლარილარში (ჭუბერი), ზვავის სამჯერ ჩამოსვლა) [2]. აღნიშნულს, უნდა დაემატოს ისიც, რომ როგორი ზვავის კერების ციცაბო ფერდობებზე, ახალმოსული თოვლის ზვავების მნიშვნელოვანი ნაწილი, ზვავშემკრებების ზედა ნაწილში ჩერდება ისე, რომ ვერ აღწევს საავტომობილო გზამდე, ხეობის ძირს და ა.შ. რის გამოც, ისინი ყურადღების გარეშე რჩება. აღნიშნულიდან, ცხადია, რომ ჯვრის უღელტეხილის თოვლ-საზვავე სადგურის მიდამოებში მდებარე, როგორი ზვავის კერიდან

(რომლის, ცალკეული ფერდობების დახრა 35-40°-ს შეადგენს), ერთ ზამთარში ჩამოსულმა ზვავების მაქსიმალურმა სიხშირემ, შეიძლება 40-45-ს მიაღწიოს. ამასგა ამტკიცებს, თეორიული მეთოდით (ფორმულა 7.3.6) მიღებული შედეგები. ჯვრის უღელტეხილზე, რომელიც მდებარეობს მაღალმთიან ზონაში (ზღვის დონიდან 2395 მ), თოვლის მაქსიმალურმა სიმაღლემ შეადგინა 455 სმ. დასავლეთ საქართველოს განსაკუთრებით უხვოვლიან და უხვოვლიან რაიონებში, თოვლის მაქსიმალური სიმაღლე საშუალომთიან ზონაშიც კი, 580-615 სმ-ს შეადგენს (ბახმარო, ცისკარა), ხოლო მაღალმთიან ზონაში, თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე, კიდევ უფრო მეტი იქნება. რეალურია, რომ ერთ ზამთარში ერთი და იმავე ზვავის კერიდან, ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალურმა სიხშირემ 60-70-ს მიაღწიოს.

ზვავების ჩამოსვლის საშუალო სიხშირის დროს, საქართველოს ტერიტორიის 51%-ზე, ზვავების წარმოქმნა არ ხდება (ცხრ.7.3.1). ნულოვანი სიხშირის რაიონი დასავლეთ საქართველოში, მოიცავს 15°-ზე ნაკლები დახრილობის ფერდობებს და გავრცელებულია, კოლხეთის დაბლობსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, შავი ზღვის მიმდებარე ვიწრო ზოლზე, აფხაზეთსა და აჭარაში, ცალკეული მდინარეების ტერასებზე. ნულოვანი სიხშირის რაიონი აღმოსავლეთ საქართველოში, გაცილებით მეტი გავრცელებით ხასიათდება და მოიცავს, აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში, დაბალმთიან ზონაში მდებარე ტერიტორიას და საშუალომთიან ზონაში მდებარე ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს, ხოლო სამხრეთ ნაწილში – ზემოთ დასახელებულ, ორ ზონაში მდებარე ტერიტორიას მთლიანად. აღმოსავლეთ საქართველოში ზვავების ჩამოსვლის საშუალო სიხშირის დროს, ნულოვანი რაიონის დიდ ტერიტორიაზე გავრცელება განპირობებულია იმით, რომ აქ საშუალომთიან ზამთარში არ მოდის, ზვავების წარმოქმნისთვის საკმარისი თოვლი. ტერიტორიის მნიშვნელივანი ნაწილისთვის, დამახასიათებელია ზვავების ჩამოსვლის სიხშირე, 5-ზე ნაკლები ერთ ზამთარში. ეს რაიონი, ძირითადად, მოიცავს დასავლეთ საქართველოში

დაბალმომიან ზონას, აღმოსავლეთის ჩრდილოეთ ნაწილში საშუალომომიან ზონას, ხოლო სამხრეთ ნაწილში, საშუალომომიან და მაღალმომიან ზონებს. თრიალეთის, სამსარისა და ჯავახეთის ქედების თხემების მიმდებარე მაღალმომიანი (2500 მ-ზე მაღლა მდებარე) ფერდობები, აღმოსავლეთ კავკასიონის მაღალმომიან ზონაში მდებარე ტერიტორიის, უმეტესი ნაწილი და დასავლეთ საქართველოს საშუალომომიან ზონაში მდებარე ფერდობების, მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია რაიონს, სადაც ზვავების ჩამოსვლის საშუალო სიხშირე, ერთ ზამთარში 5-10-ს შეადგენს. მოცემულ რაიონს, საქართველოს მთლიანი ფართობის, 15 % უკავია. კავკასიონის ქედის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილის, გაგრის, ბზიფის, აფხაზეთის, კოდორის, სვანეთის, გრისის, ლეჩხუმისა და მესხეთის ქედების, მაღალმომიან ზონაში მდებარე ფერდობები, მთლიანად და საშუალომომთლიან ზონაში მდებარე ფერდობების მნიშვნელოვანი ნაწილი, აგრეთვე, შავშეთის, დვალეთისა და მთიულეთის ქედების თხემების, მიმდებარე ფერდობები მიეკუთვნება რაიონს, სადაც ზვავების ჩამოსვლის საშუალო სიხშირე, ერთ ზამთარში აღემატება 10-ს. რაიონი საქართველოს მთლიანი ფართობის 14%-ს მოიცავს.

ზვავების ჩამოსვლის მინიმალური სიხშირის დროს (მინიმალუროვლიანი ზამთარი), საქართველოს ტერიტორიის მთლიანი ფართობის 80%-ზე, ზვავების წარმოქმნა არ აღინიშნება (ცხრ.7.3.1). როგორც, ზემოთ აღვნიშნეთ, ზვავების ჩამოსვლის სიხშირის განმაპირობებელი, სამი ძირითადი ფაქტორიდან (ფერდობების დახრილობა, თოვლის სიმაღლე და ახალმოსული თოვლის სიმკვრივე), ორი – ფერდობების დახრილობა და ახალმოსული თოვლის სიმკვრივე იცვლება სივრცეში, ხოლო მესამე – თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე კი იცვლება, როგორც სივრცეში, ასევე დროში (ყველა ზამთარში სხვადასხვაა). ის ფაქტი, რომ მაქსიმალუროვლიან ზამთარში, ზვავების წარმოქმნა არ ხდება საქართველოს ტერიტორიის 44 %-ზე, ხოლო მინიმალუროვლიან ზამთარში, ტერიტორიის 80%-ზე ზვავების წარმოქმნის თვის საქმარისი თოვლი არ მოდის, ანუ ამ ტერიტორიაზე

მოსული თოვლის რაოდენობა, ნაკლებია მის კრიტიკულ მნიშვნელობაზე. თრიალეთის, სამსარისა და ჯავახეთის მაღალმთიან ზონაში მდებარე ფერდობები მთლიანად, კავკასიონის აღმოსავლეთი ნაწილის მაღალმთიან ზონაში მდებარე ფერდობების უმეტესი, კავკასიონის ქედის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილისა და მისი სამხრეთი განშტოებების, აგრეთვე, მესხეთის ქედის საშუალომთიან ზონაში მდებარე ფერდობების მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია რაიონს, სადაც ზვავების ჩამოსვლის სიხშირე ერთი ან მეტია, მაგრამ არ აღემატება 5-ს. მოცემულ რაიონს, საქართველოს მთლიანი ფართობის 14% უკავია. ზვავების ჩამოსვლის მინიმალური სიხშირის დროს, რაიონს, სადაც ჩამოსვლის სიხშირე ერთ ზამთარში 5-ზე მეტია, უკავია საქართველის მთლიანი ფართობის 6 % და მოიცავს, კავკასიონის ქედის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილის, მათი განშტოებებისა და მესხეთის ქედის მაღალმთიან ზონაში მდებარე ფერდობების უმეტეს ნაწილს, აგრეთვე, კავკასიონის ქედის აღმოსავლეთი ნაწილის მაღალმთიან ზონაში მდებარე ფერდობების მცირე ნაწილს. ამრიგად, შეიძლება დაგასცვნათ, რომ ტერიტორიის 20%-ზე ზვავები ჩამოდის ყოველწლიურად, ანუ ზვავების ჩამოსვლის მინიმალური სიხშირე ერთი ან მეტია, ხოლო საქართველოს ტერიტორიის 6 %-ზე ჩამოსული ზვავების რაოდენობა, ყოველწლიურად 5-ზე მეტია.

ამრიგად, საქართველოს ტერიტორიის მთლიანი ფართობის 44 %-ზე ზვავების წარმოქმნა, საერთოდ არ ხდება, 36 %-ზე ზვავები წარმოიქმნება, ორ წელიწადში ერთხელ და უფრო იშვიათად, ხოლო 20%-ზე – ყოველწლიურად.

#### 7.4. ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა

ზვავსაშიში პერიოდის ცნება მიესადაგება ან კონკრეტულ პერიოდს, როდესაც განსაზღვრული გენეტიკური ტიპის ზვავების ჩამოსვლის პირობები წარმოიქმნება, ან ზამთრის სეზონს, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია ზვავების ჩამოსვლა. დღემდე, ზვავსაშიში პერიოდის დადგენის მეთოდი შემუშავებული არ იყო, ხოლო ზვავსაშიში პერიოდის

ხანგრძლივობის გათვალისწინების გარეშე, მთიანი ტერიტორიის ზევასება ზვავსაშიშროების ხარისხის მიხედვით, არ შეიძლება იყოს სრულფოფილი.

ზვავსაშიში პერიოდის კვლევისადმი მიძღვნილი მრავალი ხაშრომისა და ჩვენს მიერ, მრავალწლიანი დაკვირვების მასალების ანალიზმა მიგვიყვანა, ზვავსაშიში პერიოდის შემდეგ განმარტებამდე: ზვავსაშიშ პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს, წლის ის მონაცემთ, რომლის განმავლობაში თოვლის საფარის სიმაღლე აღემატება კრიტიკულ მნიშვნელობას, რადგან თოვლის საფარის ასეთი სიმაღლის არსებობის დროს, კლიმატის ელემენტების ხშირი ცვალებადობისა და თოვლის საფარში მიმდინარე პროცესების გამო, მოსალოდნელია, სხვადასხვა გენეზისის ზვავების ჩამოსვლა. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობად, უნდა მივიღოთ წლის განმავლობაში იმ დღეთა რაოდენობა, როდესაც თოვლის საფარის სიმაღლე აღემატება კრიტიკულ მნიშვნელობას.

ზვავსაშიში პერიოდი, ხამთრის თოვლიანობის თავისებურებებით განპირობებული, შეიძლება იყოს, როგორც უწყვეტი, ისე წყვეტილი. ზვავსაშიში პერიოდი უწყვეტად ითვლება, თუ მისი დაწყებიდან დამთავრებამდე (მთელი პერიოდის განმავლობაში), თოვლის საფარის სიმაღლე აღემატება კრიტიკულ მნიშვნელობას. ზვავსაშიში პერიოდი წყვეტილია, თუ მოცემული პერიოდის განმავლობაში, ცალკეულ დღეებსა და დროის გარკვეულ მონაცემებში, თოვლის საფარის სიმაღლე ნაკლებია კრიტიკულ მნიშვნელობაზე. ზვავსაშიში პერიოდი, ძირითადად, უწყვეტია უცხოვლიან საშუალო და მაღალმთიან ზონებში, სადაც ის მოიცავს, თითქმის, მოელ ზამთარს – შემოღომიდან გაზაფხულამდე. უხეოთოვლიან საშუალო და დაბალმთიან რაიონებში, ზვავსაშიში პერიოდი ხშირად წყვეტილია და შედგება ორი, ან მეტი, საკმაოდ, ხანგრძლივი პერიოდისგან. არამდგრადი თოვლის საფარიან რეგიონებში, ზვავსაშიში პერიოდი შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე, ორი ან მეტდღიანი ცალკეული დროის მონაცემებისგან. ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა და-

მოკიდებულია, როგორც სივრცეში (ადგილის სიმაღლე, ოროგრაფია, ფერდობთა დახრილობა და სხვა), ისე დროში (თოვლის საფარის ხანგრძლივობა, თოვლის სიმაღლე, სიმკვრივე და სხვა) ცვალებად ფაქტორებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა, იცვლება დიდ ფარგლებში, როგორც სივრცეში, ისე დროში.

როგორც, უკვე აღვნიშნეთ, ზვავსაშიში პერიოდად ითვლება ზამთრის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაში, თოვლის საფარის სიმაღლე აღემატება კრიტიკულ მნიშვნელობას. თოვლის კრიტიკული სიმაღლე არის, თოვლის ის ზღვრული რაოდენობა, რომელზე მეტის მოსვლის შემთხვევაში, ფერდობზე თოვლის შემაკავებელ ძალებს (შეჭიდულობის და სხვა) გადააჭარბებენ, თოვლის მოძრაობაში მომყვანი ძალები (სიმძიმის და სხვა), თოვლი მოდის მოძრაობაში და წარმოიქმნება ზვავი. ჩვენს მიერ ჩატარებული, მრავალწლიანი საკელე კვლევისა და მეტეოროლოგიურ სადგურულებზე, დაკვირვების მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ როცა, ახალმოსული თოვლის სიმკვრივე დასავლეთ საქართველოში – 0,10-0,12 გრ/სმ-ია ზამთრის დასაწყისში ადგილი აქვს, ახალმოსული თოვლის ზვავების ჩამოსვლას. ზვავსაშიში პერიოდის დასასრულს, თოვლის სიმკვრივე მიღებულია 0,30 გრ/სმ-ის ტოლად, რადგან ზამთრის ბოლოს, ადგილი აქვს ძველი თოვლის ზვავების ჩამოსვლას. ძველი თოვლის საშუალო სიმკვრივე კი 0,30 გრ/სმ-ს შეადგენს. თოვლის საფარის კრიტიკული სიმაღლე, სხვადასხვა დახრილობის ფერდობებზე სხვადასხვა. ასე, მაგალითად,  $20^{\circ}$  დახრილობის ფერდობისთვის, თოვლის კრიტიკული სიმაღლე, 0,12 გრ/სმ და 0,30 გრ/სმ სიმკვრივის დროს, შესაბამისად, შეადგენს 93 და 197 სმ-ს, ხოლო  $40^{\circ}$  დახრილობის ფერდობისთვის – 23 და 49 სმ-ს. აღნიშნულიდან გამომდინარე,  $40^{\circ}$  დახრილობის ფერდობისთვის, ზვავსაშიში პერიოდი დგება მაშინ, როცა თოვლის სიმაღლე გადააჭარბებს 23 სმ-ს, ხოლო  $20^{\circ}$  დახრილობის ფერდობისთვის მაშინ, როცა თოვლის სიმაღლე გადააჭარბებს 93 სმ-ს; ზვავსაშიში პერიოდი მთავრდება მაშინ, როცა თოვლის საფარის სიმაღლე, შესაბამისად, 49 და 197 სმ-

ზე ნაკლები გახდება. გარდა, ფერდობების დახრილობისა და თოვლის სიმკვრივისა, ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობის თავისებურება, მნიშვნელოვნად არის განპირობებული, თოვლის საფარის სიმაღლით და თოვლიან დღეთა რაოდენობით, რომლებიც წლიდან წლიდე დიდ საზღვრებში იცვლება.

ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობის, დროში ცვალებადობის დასადგენად, გამოვიყენეთ საქართველოს მთიან ტერიტორიაზე მდებარე, ყველა მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემები (1940 წლიდან 2007 წ-მდე). ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა გამოვთვალეთ, აღნიშნული პერიოდის თოთოვეული ზამთრისთვის, რამაც საშუალება მოგვცა, დაგვეგმინა ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური, საშუალო, მინიმალური ხანგრძლივობა. შევადგინეთ, ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობის რუკა (ნახ. 7.4.1. იხ. დანართი).

განსაკუთრებით უხევთოვლიან რაიონში, სხვადასხვა დახრილობის მქონე ფერდობებზე, ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა, ადგილის აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერთად იზრდება, მაგრამ ზრდის ვერტიკალური გრადიენტი, ადგილის აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერთად მცირდება და ოუ, ზღვის დონიდან 500 მ-მდე ყოველ 100 მ-ზე 12-17 დღეა, ზღვის დონიდან 1500-1900 მ-ზე, ის მხოლოდ, 4-6 დღეს შეადგენს. ზვავსაშიში პერიოდის საშუალო და მინიმალური ხანგრძლივობებიც, ადგილის სიმაღლის ზრდასთან ერთად კანონზომიერად იზრდება, მაგრამ აქ პირიქით, ზრდის ვერტიკალური გრადიენტი, ადგილის აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერთად მატულობს და ის ყოველ 100 მ-ზე, დაბალმოთიან ზონაში შეადგენს 4-7 დღეს, ხოლო საშუალომოთიან ზონაში – 7-11 დღეს.

ზემოთ მოყვანილი მონაცემები რეალურია, რადგან თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლის ზრდის ვერტიკალური გრადიენტი, დაბალმოთიან ზონაში მეტია, ვიდრე საშუალომოთიან ზონაში, ხოლო თოვლის საფარის საშუალო და მინიმალური სიმაღლის ზრდის ვერტიკალური გრადიენტი კი,

პირიქით – საშუალომთიან ზონაში მეტია, ვიდრე დაბალმთიანში.

უხვთოვლიან რაიონში სხვადასხვა დახრილობის მქონე ფერდობებზე, ზვაგსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობის დამოკიდებულება ადგილის სიმაღლეზე, თუ არ ჩავთვლით ზღვის დონიდან 200 მ-ზე დაბლა მდებარე ტერიტორიას, სწორხაზოვანია. ადგილის სიმაღლის ზრდასთან ერთად, ზვაგსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა იზრდება და გრადიენტი ყოველ 100 მ-ზე, შეადგენს 8-9 დღეს. ზვაგსაშიში პერიოდის საშუალო და მინიმალური ხანგრძლივობაც, ადგილის აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერთად კანონზომიერად იზრდება, ოდონდ გრადიენტი დაბალმთიანთან შედარებით, მაღალმთიან ზონაში უფრო მეტია. დაბალმთიან ზონაში ზვაგსაშიში პერიოდის, საშუალო და მინიმალური ხანგრძლივობის ზრდის გრადიენტი, ყოველ 100 მ-ზე შეადგენს 3-5 დღეს, ხოლო საშუალომთიან ზონაში – 6-9 დღეს.

საშუალოთვლიან რაიონში, სხვადასხვა დახრილობის მქონე ფერდობებზე, ზვაგსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა, ადგილის აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერთად, კანონზომიერად იზრდება.

ვერტიკალური გრადიენტი, ყოველ 100 მ-ზე 8-10 დღეს შეადგენს. ზვაგსაშიში პერიოდის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის ვერტიკალური გრადიენტი, ყოველ 100 მ-ზე, დიდი დახრილობის მქონე ფერდობებზე ( $24-25^{\circ}$ -ზე მეტი), ზღვის დონიდან 1500 მ-მდე შეადგენს 3-4 დღეს, ხოლო უფრო მაღლა, ის იზრდება და მაღალმთიან ზონაში, 9-11 დღეს აღწევს. დამრეც ფერდობებზე ( $24-25^{\circ}$ -ზე ნაკლები) ზვაგსაშიში პერიოდის საშუალო ხანგრძლივობის ვერტიკალური გრადიენტი, ყოველ 100 მ-ზე 4-5 დღეა. ზვაგსაშიში პერიოდის მინიმალური ხანგრძლივობის ვერტიკალური გრადიენტი, ყოველ 100 მ-ზე საშუალომთიან ზონაში მდებარე ციცაბო ( $25^{\circ}$ -ზე მეტი დახრილობის მქონე) ფერდობებზე, შეადგენს 5-7 დღეს, ხოლო მაღალმთიან ზონაში მდებარე ციცაბო ფერდობებზე, ის იზრდება 10-12 დღემდე.

მცირეთოვლიან რაიონში, ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობის ზრდის ვერტიკალური გრადიენტი, ყოველ 100 მ-ზე, დაბალმთიან ზონაში მდებარე ციცაბო ფერდობებზე 2-3 დღეს შეადგენს, მაღალმთიან ზონაში მდებარე ციცაბო ფერდობებზე, იზრდება 13-15 დღემდე, ხოლო დამრეც ფერდობებზე, არ აღვმატება 2-3 დღეს. ზვავსაშიში პერიოდის საშუალო ხანგრძლივობის მატების ვერტიკალური გრადიენტი, ყოველ 100 მ-ზე საშუალომთიანი ზონის ციცაბო ფერდობებზე, 4-7 დღეს შეადგენს, ხოლო მაღალმთიანი ზონის ციცაბო ფერდობებზე, 12-15 დღეს აღწევს. მაღალმთიან ზონაში მდებარე, დიდი დახრილობის მქონე ( $35-36^{\circ}$ -ზე მეტი) ფერდობებზე, ზვავსაშიში პერიოდის მინიმალური ხანგრძლივობის ვერტიკალური გრადიენტი, ყოველ 100 მ-ზე 11-13 დღეს აღწევს. ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა ოვალიანობაზეა დამოკიდებული (ცხრ.7.4.1).

#### ცხრილი 7.4.1. ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა საქართველოს ტერიტორიაზე

ზვავსაშიშ დღეთა რაოდენობა	მაქსიმალუ- რი, %	საშუალო, %	მინიმა- ლური, %
0	44	51	80
<50	15	27	14
50-100	15	13	6
100-150	13	9	—
>150	13		

საქართველოს ტერიტორიის მთლიანი ფართობის 44% არაზვავსაშია – ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობის დროს, 51% – საშუალო ხანგრძლივობის დროს, ხოლო, 80% – მინიმალური ხანგრძლივობის დროს. დასახელებული პროცენტები იგივეა, რაც ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური სიხშირისას და ეს ბუნებრივია. ცხადია, ტერიტორია, სადაც ზვავების წარმოქმნა არ ხდება, შესაბამისად წარმოადგენს ზვავების ჩამოსვლის ნულოვანი სიხშირის მქონე ტერიტორიას.

საქართველოს ტერიტორიაზე, ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა წლების მიხედვით, ძალზე ცვალებადი სიდიდეა. 150 დღეზე მეტი ხანგრძლივობით, ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობის დროს, ხასიათდება საკვლევი ტერიტორიის მთლიანი ფართობის 13%, საშუალო და მინიმალური ხანგრძლივობის დროს, 150 დღეზე მეტი ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა, საქართველოში არ დაიკვირვება.

რაოთნის, ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობით 100-150 დღე, ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობის დროს უკავია, საქართველოს მთლიანი ფართობის 13%, საშუალო ხანგრძლივობის დროს – 9%, ხოლო მინიმალური ხანგრძლივობის დროს, საკვლევ ტერიტორიაზე, ასეთი ხანგრძლივობა არ დაიკვირვება.

ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობით 50-დან 100 დღემდე, ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობის დროს, ხასიათდება საკვლევი ტერიტორიის 15%, საშუალო ხანგრძლივობის დროს – 13%, მინიმალური ხანგრძლივობის დროს – 6 %. საქართველოსთვის დამახასიათებელია, 50 დღეზე ნაკლები ხანგრძლივობის ზვავსაშიში პერიოდი. რაოთნის, ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობის დროს, უკავია საკვლევი ტერიტორიის 15%, საშუალო ხანგრძლივობის დროს – 27%, მინიმალური ხანგრძლივობის დროს – 14%. ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობის დროს, ერთ ზამთარში 150 დღეზე მეტი ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობით ხასიათდება, ზღვის დონიდან 1400-1500 მ-ზე მაღლა მდებარე, კავკასიონის ქედის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილისა და მათი სამხრეთი განშტოებების, აგრეთვე მესენის, შავშეთისა და არსიანის ქედების ფერდობები. აღმოსავლეთ საქართველოში, 150 დღეზე მეტი ხანგრძლივობის ზვავსაშიში პერიოდი, მხოლოდ აღმოსავლეთ კავკასიონის დასავლეთი ნაწილის, მაღალმთიან ზონაში (ზღვის დონიდან 2400-2500 მ-ზე მაღლა) მდებარე ფერდობებისთვის არის დამახასიათებელი. დასავლეთ საქართველოში მდებარე კავკასიონის ქედის, გაგრის, ბზიფის, აფხაზეთის, კოდორის, მეანეთის, ეგრისის, ლეჩეუმის, რაჭის,

კიხის, მესხეთის, შავშეთის და არსიანის ქედების, საშუალომთიან ზონაში მდებარე ფერდობების, მნიშვნელოვანი ნაწილი, აგრეთვე, აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე კავკასიონის ქედისა და მისი განშტოებების, თრიალეთისა და სამსარის მაღალმთიან ზონაში მდებარე ქედების ნაწილი უპავია რაიონს, სადაც ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა, 100-დან 150 დღემდეა. რაიონს, სადაც ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა 50-100 დღეა, უპავია დასავლეთ საქართველოს დაბალმთიანი ზონის, უმეტესი ნაწილი და აღმოსავლეთ საქართველოს საშუალო და ზოგან, (განსაკუთრებით, სამხრეთ საქართველოს მთიანეთის აღმოსავლეთ ნაწილში) მაღალმთიანი ზონის მნიშვნელოვანი ნაწილი. დასავლეთ საქართველოს წინამთების შედარებით დამრეცი ფერდობები, აღმოსავლეთ საქართველოს დაბალმთიან და საშუალომთიან ზონაში მდებარე ტერიტორიის, მნიშვნელოვანი ნაწილი უპავია რაიონს, სადაც ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა, 50 დღეზე ნაკლებია. რაიონს, განსაკუთრებით დიდი ტერიტორია უჭირავს, სამხრეთ საქართველოს მთიანეთის აღმოსავლეთ ნაწილში (სამცხე-ჯავახეთი).

ზვავსაშიში პერიოდის საშუალო ხანგრძლივობის დროს, რაიონს, სადაც ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა აღემატება 100 დღეს, განსაკუთრებით დიდი ტერიტორია უჭირავს დასავლეთ საქართველოში. აქ, ის მოიცავს კავკასიონის ქედისა და მისი განშტოებების, აგრეთვე მესხეთისა და შავშეთის ქედების, მაღალმთიან ზონაში მდებარე ფერდობების უმეტეს ნაწილს. აღმოსავლეთ საქართველოში, ამ ტიპის რაიონი მოიცავს, დვალეთისა და მთიულეთის ქედების ოქემების მიმდებარე, მაღალმთიან ფერდობებს. დასავლეთ საქართველოს, საშუალომთიანი ზონის მნიშვნელოვანი ნაწილი და აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი ზონა, თითქმის, მთლიანად (დვალეთისა და მთიულეთის ქედების ოქემების, მიმდებარე ფერდობების გამოკლებით) ხასიათდება ზვავსაშიში პერიოდის საშუალო ხანგრძლივობით, 50-დან 100 დღემდე. დასავლეთ საქართველოს, დაბალმთიანი ზონა

მთლიანად და საშუალომთიანი ზონის ნაწილი, აგრეთვე, აღმოსავლეთ საქართველოს საშუალომთიანი ზონა მთლიანად და მაღალმთიანი ზონის ნაწილი, უჭირავს რაიონს, სადაც ზვავსაშიში პერიოდის საშუალო ხანგრძლივობა, 50 დღეზე ნაკლებია.

ზვავსაშიში პერიოდის მინიმალური ხანგრძლივობის დროს, კავკასიონის ქედის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილისა და მათი სამხრეთი განშტოებების, მესხეთისა და შავშეთის მაღალმთიან ზონაში მდებარე ფერდობებისთვის, დამახასიათებელია ზვავსაშიში პერიოდის, 50 დღეზე მეტი ხანგრძლივობა. აღმოსავლეთ საქართველოში ასეთი ხანგრძლივობა, მხოლოდ, აღმოსავლეთ კავკასიონის მთავარი ქედის, დასავლეთი ნაწილის თხემების, მიმდებარე ფერდობებისთვის არის დამახასიათებელი. ზვავსაშიში პერიოდის 50 დღეზე ნაკლები, მინიმალური ხანგრძლივობა დამახასიათებელია, საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის, რომელიც, ძირითადად, მოიცავს დასავლეთ საქართველოს საშუალომთიანი ზონისა და აღმოსავლეთ საქართველოს, მაღალმთიანი ზონის უდიდეს ნაწილს.

ზვავსაშიში პერიოდის ნულზე მეტი ხანგრძლივობით ხასიათდება, ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობის დროს, საქართველოს ტერიტორიის მთლიანი ფართობის 56%, საშუალო ხანგრძლივობის დროს – 49%, ხოლო მინიმალური ხანგრძლივობის დროს – 20%.

## თავი 8. საქართველოს ზგავსაშიში ტერიტორიის საზღვრები

ზგავსაშიში ტერიტორიის (ზვავების გავრცელების) საზღვრების დადგენა და მისი დარაიონება ზგავსაშიშროების მიხედვით, გლაციოლოგიური პლეივის ერთ-ერთი, ძირითადი საკითხია.

საქართველოს ტერიტორიაზე ზგავების გავრცელების საზღვრების დადგენაში, განსაკუთრებით დიდი დახმარება გაგვიწია, ექსპედიციების დროს მოპოვებულმა მასალებმა. სავალე სამუშაოები ტარდებოდა, როგორც ზამთარსა და გაზაფხულზე (როცა, ჯერ კიდევ სახეზე იყო, ზვავების ჩამოსვლით გამოწვეული შედეგები), ასევე, წელიწადის სხვა დროსაც. ექსპედიციების დროს, ზგავსაშიში ტერიტორიის საზღვრების დადგენა ხდებოდა, ვიზუალური დაკვირვებით (ზვავების გავრცელების საზღვრების, მსხვილმასშტაბიანი კარტირება, ან გეოდეზიური აგეგმვა და სხვა), მოსახლეობის გამოკითხვით, ზგავსაშიშროების გეომორფოლოგიური და გეობოტანიკური ნიშნების საშუალებით.

ზგავსაშიში ტერიტორიის საზღვრების დადგენაში, გეობოტანიკურ ნიშნებს, დიდი უპირატესობა აქვს. საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე, შენარჩუნებულია ბუნებრივი ტყის საფარი და ამიტომ, გეობოტანიკური ნიშნების (ტყის სახეობა, ფერდობებისა და ხეობის უტყეო მონაკვეთები, დაზიანებული ან განადგურებული ტყე და მისი ნარჩენები, დაბალ ზონაში უფრო მაღალი ზონისთვის დამახასიათებელი, მცენარეების სახეობების არსებობა, ხის დეროსა და ტოტების მდგომარეობა, ხეების ზრდის თავისებურება და სხვა) საშუალებით, საქმაოდ ზუსტად, შეიძლება ზგავსაშიში ტერიტორიის საზღვრების დადგენა. ზგავების გავრცელების საზღვრების დადგენაში, დიდი წელილის შეტანა შეუძლია, ზგავსაშიშროების გეომორფოლოგიურ ნიშნებსაც, რადგან რელიეფის თავისებურება (ჰიფსომეტრია, ფერდობების დახრილობა, ზედაპირის ვერტიკალური და პორიზონტალური დანაწევრება და სხვა), მნიშვნელოვნად განაპირობებს ტერიტორიის ზგავსაშიშროებას.

საქართველოს ტერიტორიაზე 1970-71, 1975-76, 1986-87 წლების, კატასტროფული ზეგების მასიური ჩამოსკლის შემდეგ ჩატარებული, საველე სამუშაოების ანალიზმა გვიჩვენა, რომ განსაკუთრებით უხვოვლიანი რაიონის მაქსიმალურ-თოვლიან ზამთარშიც კი, ზვავის წარმოქმნა ხდება, მხოლოდ იმ ფერდობზე, რომლის ზედაპირის დახრილობა მეტია 15<sup>0</sup>-ზე. ექსპედიციის დროს მოპოვებული, საველე მასალების კამერალური დამუშავებისა და თეორიული გამოთვლების შედეგების ანალიზმა, საშუალება მოგვცა გამოგვევლინა, ზვავების გავრცელების ქვედა საზღვარი, საქართველოს ძირითადი მდინარეების 51 ხეობისთვის (ცხრ.8.1).

ცხრილის მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე გრაფებში მოცემულია, სხვადასხვა ავტორის მიერ გამოთვლილი მონაცემები, კერძოდ: ლ.ქალდანი - მ.სალუქვაძე (პირობითი ნომრით 1), აბდუშელიშვილი, ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე (2), მ.ზალიხანოვი (3) და ქ. აკიფიევა (4) [33,39].

ზვავსაშიში ტერიტორიის გავრცელების საზღვრების დადგენის დროს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ზვავების გავრცელების ქვედა საზღვრის დადგენა, რადგან ზედა საზღვარი, თვალნათლივ ჩანს ბუნებაში.

საქართველოს ძირითადი მდინარეების ხეობების უმეტესი ნაწილისთვის, ჩვენს მიერ, პირველად დადგინდა ზვავების გავრცელების ქვედა საზღვრის აბსოლუტური სიმაღლე (ცხრ.8.1). ეს მონაცემები, მნიშვნელოვანად განსხვავდება, ჩვენი აღრინდელი ან სხვა მკაფიოებების მიერ მიღებული ანალოგიური მონაცემებისგან. ეს განსხვავება, განპირობებულია კატასტროფული ზვავების მასიური ჩამოსკლით, რა დროსაც ზვავებმა თავიანთი გავრცელების მაქსიმალურ საზღვრებს მიაღწია. უნდა აღინიშნოს, რომ ქ.აკიფიევას [39] მიერ, აეროფოტოგრაფიული მასალების კამერალური დამუშავებით მიღებული, ზვავების გავრცელების ქვედა საზღვრის აბსოლუტური სიმაღლე ფაქტიურთან შედარებით, უფრო მაღლა გადის. აღნიშნული ფაქტი, კიდევ ერთხელ აღასტურებს, უშუალოდ საველე კვლევის დროს მოპოვებული მონაცემების უპირატესობას, სხვა მეოთხებთან შედარებით.

**ცხრილი 8.1.ზვავების გავრცელების ქვედა საზღვრის  
სიმაღლე მდინარეთა ხეობებში**

№	მდინარის ხეობა	ზვავის გავრცელების ქვედა საზღვრის სიმაღლე,მ			
		(1)	(2)	(3)	(4)
1	2	3	4	5	6
1	ფსოუ	140			
2	ნაკადული	410			
3	უოგვარა	50		150	
4	ბზიფი	50	50	50	75
5	თეთრწყალა	365			
6	გუმისთა	40		450	700
7	პელასური	195			1040
8	კოდორი	150	370	300	755
9	მოქვი	360			
10	დალიძგა	245			
11	ოქუმი	300			
12	ენგური	270	300	350	400
13	ხობი	280			
14	ტეხური	320			960
15	ცხენისწყალი	170	400	560	1440
16	რიონი	280	350	400	960
17	ყვირილა	170			1480
18	ძირულა	170			
19	ხანისწყალი	220			
20	სულორი	150			
21	სუფსა	180			
22	გუბაზეული	140	270		
23	ნატანები	295			
24	ბუზე	120			
25	კინტრიში	90	220		
26	ჩაქვისწყალი	100	130		
27	აჭარისწყალი	50	80		
28	ჭოროხი	40			
29	მტკვარი	740			
30	ურაველი	960			
31	ქაბლიანი	1150	1480		

1	2	3	4	5	6
32	აბასთუმანი	1180	1250		
33	ფრონე	850			
34	დიდი ლიახვი	1150	1150	1100	1357
35	პატარა ლიახვი	1130			
36	ლექურა	950			
37	ქსანი	920	1070	1200	1500
38	არაგვი	870	970	1000	
39	ფშავის არაგვი	730	1010		
40	იორი	1180	1180	950	1280
41	იორი	760	790	1000	
42	ალაზანი	750	790		
43	სტორი	560			
44	ლოპოტა	570			
45	დურუჯი	630			
46	ავანისხევი	620			
47	ხრამი	720			
48	ალგეთი	730			
49	თეძამი	810			
50	ტანა	710			
51	ძაბა	800			

სუსტად შესწავლილ რეგიონებში, ზვავსაშიში ტერიტორიის საზღვრების დადგენა ხდება, სხვადასხვა მთიან ქვეყანაში, ზვავსაშიშროებაზე არსებული ფაქტიური მონაცემების გამოყენების საფუძველზე და ძირითადი ზვავწარმოქმნელი ფაქტორების (რეგიონი, მცენარეული საფარი, კლიმატი), თავისებურებათა ანალიზის საშუალებით. დასავლეთ საქართველოს, შედარებით სუსტად შესწავლილ რეგიონებში, ზვავსაშიში ტერიტორიის საზღვრის დადგენის დროს, განსაკუთრებით დიდი ყურადღება, მივაქციეთ რელიეფს. დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, უხვოოვლიან ზამთარში მოსული თოვლი, აღმატება ზვავების წარმოქმნისთვის საჭირო თოვლის რაოდენობას. აქ, ზღვის დონიდან 200-300 მ-ზე დაბლა მდებარე ტერიტორიაზეც კი, თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე 150-270 სმ-ს აღწევს, ხოლო ახალმოსული თოვლის საფარის სიმაღლის ნამატი, ერთი

თოვისას – 110-200 სმ-ს. ცხადია, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ზვავების წარმოქმნა ხდება იმ ფერდობებზე, სადაც რელიეფის თავისებურება ხელს უწყობს ზვავების წარმოქმნას, ანუ ფერდობების დახრილობა მეტია 15°-ზე. ასევე, გასათვალისწინებელია, ზვავსაში შროების გეობოტანიკური ნიშნებიც – კერძოდ, ტყის საფარის თავისებურება.

კიდევ უფრო რთულია, ზვავსაში მი ტერიტორიის გავრცელების საზღვრების დადგენა, აღმოსავლეთ საქართველოს სუსტად შესწავლილ რეგიონებში. აქ, დაბალმთიან ზონაში, თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე ნაკლებია 90-100 სმ-ზე, ხოლო ახალმოსული თოვლის ნამატი ერთი თოვის დროს – 50-60 სმ-ზე. აღმოსავლეთ საქართველოს, დაბალმთიანი ზონის ფერდობების გარკვეულ ნაწილზე, სადაც ზედაპირის დახრილობა 15° და მეტია, არ მოდის ზვავების წარმოქმნისთვის საჭირო თოვლის რაოდენობა, ანუ მოსული თოვლის სიმაღლე, კრიტიკულ სიმაღლეზე ნაკლებია. აღნიშნულიდან გამომდინარე, აღმოსავლეთ საქართველოს მცირეთოვლიან რეგიონებში, ზვავების გავრცელების საზღვრები დავადგინეთ თეორიული მეთოდებით. განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია იმ ტერიტორიის ზვავსაში შროების დადგენა, სადაც ბუნებრივი პირობები ზვავების წარმოქმნასა და ჩამოსვლას გამორიცხავს, მაგრამ შეიძლება იყოს, ზვავის გამოზიდვის კონუსი, ანუ მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოქმნილი, ზვავების მოქმედების გავლენის არეალი. ასეთ ტერიტორიაზე, ფერდობების დახრილობა და თოვლის საფარის თავისებურება, ზვავების გავრცელების საზღვრების დადგენის საშუალებას არ იძლევა. აუცილებელია, ექსპედიციურ მასალებთან ერთად, თეორიული მეთოდების გამოყენებაც. საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილზე, სადაც არ ხდება ზვავების წარმოქმნა, მაგრამ წარმოადგენს მიმდებარე ფერდობებზე წარმოქმნილი ზვავების მოქმედების არეალს, ზვავების გავრცელების საზღვრები, ზვავსაში შროების გეობოტანიკური და გეომორფოლოგიური ნიშნების საშუალებით დადგინდა. ზვავების გატყორცნის სიშორის გამოსათვლელი, საქართველოს პირობებში აპრობირებული, თეორიული მეთო-

დებით ჩატარებულმა სამუშაოებმა, საშუალება მოგვცა დაგვედგინა, ზვავების გავრცელების საზღვრები და გამოგვეყო ზვავსაშიში ტერიტორია არაზავსაშიშისგან.

ზვავსაშიში ტერიტორიის ქვედა საზღვარი, განსაკუთრებით დაბალ სიმაღლეზე (ზღვის დონიდან 40-410 მ) გადის, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ეს განპირობებულია, უხვთოვლიანობით და რელიეფის თავისებურებით. დასავლეთ საქართველოს, ჩრდილოეთ და სამხრეთ რეგიონებში – შავშეთის, მესხეთის, გაგრისა და ბზიფის ქედების ციცაბო ფერდობები, თითქმის ზღვამდე ეშვება. უხვთოვლიან ზამთარში, ამ ფერდობების უმეტეს ნაწილზე, სადაც არ ხარობს მოზრდილი ხშირი წიწვოვანი ან შერეული ტყე, ადგილი აქვს ზვავების ჩამოსვლას და ამიტომ, ამ რეგიონში არაზვავსაშიშია, მხოლოდ ვიწრო ზღვისპირა ზოლი. ასე, მაგალითად, მდინარეების ჭოროხის, აჭარისწყლის, ჟოეკვარას, ბზიფისა და გუმისთის ხეობებში, ზვავების გავრცელების ქვედა საზღვარი, ზღვის დონიდან 40-50 მ-ზე გადის. დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში, ზვავსაშიში ტერიტორიის ქვედა საზღვარი მაღლა იწევს, ამის მიზეზი კი კოლხეთის დაბლობია, რომლის ზედაპირის დახრილობა ნაკლებია  $15^{\circ}$ -ზე. აღნიშნულ რეგიონში, ზვავსაშიში ტერიტორიის ქვედა საზღვარი, ზღვის დონიდან 100-400 მ-ზე მდებარეობს.

ზვავების გავრცელების ქვედა საზღვარი, აღმოსავლეთ საქართველოში, შედარებით დაბალ სიმაღლეებზე (ზღვის დონიდან 550-700 მ), მდალაზნის მარცხენა შენაკადების ხეობებშია. ხოლო, სხვა რეგიონებში, ზვავსაშიში ტერიტორიის ქვედა საზღვრის სიმაღლე, უფრო მაღლა იწევს და ცალკეული მდინარეების (ქვაბლიანი, აბასთუმანი, დიდი და პატარა ლიახვი, იორი) ხეობებში, მისი სიმაღლე აღწევს 1000-1200 მ-ს ზღვის დონიდან. აღმოსავლეთ საქართველოში, მცირე თოვლიანობის გამო, არაზვავსაშიშია  $15^{\circ}$ -ზე მეტი დახრილობის ფერდობების გარკვეული ნაწილი.

## თავი 9. საქართველოს ტერიტორიის დარაიონება ზეპირიშოროების ხარისხის მიხედვით

ზვავსაშიშროების დადგენის, არა მარტო მეცნიერებლი, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. მთიანი რეგიონების ზვავსაშიშროების ხარისხის შეფასება და დადგენა, სხვადასხვა პრინციპს ემყარება. მათგან, გამოიყოფა ორი ძირითადი მიმართულება: პირველი, დამყარებულია არაპირდაპირ კრიტერიუმზე და მეორე – თოვლის ზვავების რაოდენობრივ მახასიათებლებზე.

ირიბი კრიტერიუმები, რომლებიც დამყარებულია გეოგრაფიული პირობების (რელიეფის, კლიმატის და მცენარეული საფარის) თავისებურებების ანალიზზე, გამოიყენება დიდი ფართობის მქონე, ან სუსტად შესწავლილი მთიანი რეგიონების, ზვავსაშიშროების ხარისხის დადგენის დროს.

ტერიტორიის ზვავსაშიშროების ხარისხის შეფასება, თოვლის ზვავების რაოდენობრივი მახასიათებლების თავისებურებათა გათვალისწინებით, მრავალ ნაშრომშია წარმოდგენილი. დადგენილია, ტერიტორიის ზვავაქტიურობა (ზვავსაშიშროების კოეფიციენტი), ზვავების სიხშირე ერთ გრძივ, ან კვადრატულ კილომეტრზე, ზვავების ჩამოსვლის სიხშირე, ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა, ზვავების კონუსის მოცულობა და სხვა [12-14,18,46].

საქართველოს ტერიტორიის ზვავსაშიშროების რუკაზე, წარმოდგენილია სისტემატური და სპორადული კატასტროფული ზვავების გავრცელების რაიონები (ნახ.1.1 – თავი 1) [4].

ზოგიერთ გამოკვლევებში, ზვავსაშიშროების რუკების შედგენის დროს, ითვალისწინებენ ზვავსაშიშროების, როგორც ირიბ (არაპირდაპირ), ისე რაოდენობრივ მახასიათებელს. უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიის ზვავსაშიშროების ხარისხის შეფასების დროს, ეველა მკვლევარი არ იძლევა, ზვავსაშიშროების ცალკეული მაჩვენებლის ზუსტ რაოდენობრივ მახასიათებელს. ასე მაგ. ხდება, რაიონების გამოყოფა ზვავების ხშირი, ან იშვიათი ქსელით, ან ზონების გამოყოფა, სადაც ზვავების ჩამოსვლა, ზამთარში რამდენჯერმე

ხდება, მაგრამ არ არის ნაჩვენები, თუ ერთ გრძივ კილო-მეტრზე, ზვავების რა რაოდენობა ითვლება ხშირად და რა რაოდენობა იშვიათად; ან რამდენჯერ ჩამოდის ზვავი ერთ ზამთარში, არ არის მოყვანილი ზვავების სიმძლავრის ზღვრული მნიშვნელობები მძლავრი, საშუალო და სუსტი სიმძლავრის ზვავების გავრცელების რაიონების გამოყოფის დროს. ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობად, თვლიან პერიოდს, ინტენსიური თოვის დასაწყისსა და დასასრულს შორის; ან პერიოდს, ზამთარში პირველი და ბოლო ზვავის ჩამოსვლის თარიღებს შორის, მაგრამ არ ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ ზამთრის განმავლობაში, დგება ისეთი პერიოდი, როცა არ არსებობს ზვავების ჩამოსვლის პირობები, ხოლო ზოგჯერ თოვლის საფარიც კი ქრება (განსაკუთრებით, არამდგრადი თოვლის საფარიან რეგიონებში); ამიტომ, ზვავსაშიში პერიოდის ნამდვილი ხანგრძლივობა, შეიძლება განისაზღვროს, ზამთარში იმ დღეთა რაოდენობის დადგენით, როცა არსებობდა ზვავების შესაძლებელი ჩამოსვლისთვის აუცილებელი პირობები.

განხილულ გამოკვლევებში, ზვავსაშიშროების ხარისხის მიხედვით, ტერიტორიის დარაიონება ხდება, ძირითადად, ზვავსაშიშროების ერთი ან ორი რაოდენობრივი მახასიათებლის, თავისებურებების დადგენის საფუძველზე, რაც არასაკმარისია ზვავსაშიშროების ხარისხის სრული შეფასებისთვის. მაგალითისთვის, განვიხილოთ აჭარა-იმერეთის მთიანი სისტემის ტერიტორიაზე მდებარე, თითქმის ერთნაირი რელიეფის ქვინე აუზების: მდ.კინტრიშისა და მდ.აბასთუმნის ზვავები. ამ ორ აუზში, ტერიტორიის ზვავაქტიურობას (ზვავსაშიშროების კოეფიციენტი) და ზვავშემკრებების სიხშირეს (მათ რაოდენობას 1 კმ<sup>2</sup>ზე) აქვთ, თითქმის ერთნაირი სიდიდეები და ზვავსაშიშროების ხარისხის მიხედვით, ტერიტორიის შეფასების დროს, ისინი აღმოჩნდებიან ერთ რაიონში. მაგრამ, ეს ორი აუზი ხასიათდება, სხვადასხვა კლიმატური პირობებით, რის გამოც მდ.კინტრიშის აუზში, ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე, ერთ ზამთარში აღწევს 20-23 შემთხვევას, ხოლო ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა

150-170 დღეს. მდ. აბასთუმნის აუზში ეს მაჩვენებელი, შესაბამისად, არ აღემატება, 3-6 შემთხვევას და 30-70 დღეს. ცხადია, ამ ორი აუზის, ერთნაირი ზვავსაშიშროების ხარისხის მქონე რაიონში გაერთიანება, სწორი არ იქნება. მთიანი რეგიონების ზვავსაშიშროების ხარისხის შეფასებისას, ზვავსაშიშროების რომელიმე, ძირითადი რაოდენობრივი მაჩვენებლის გაუთვალისწინებლობა, ყოველთვის ამასინჯებს რეალურ სურათს. ადნიშნულიდან, ცხადი ხდება, რომ ტერიტორიის ზვავსაშიშროების ხარისხის ნამდვილი სურათი, შეიძლება მივიღოთ მხოლოდ, ყველა რაოდენობრივი მასასიათებლის გათვალისწინების საფუძველზე.

ზვავსაშიშროების ხარისხის განმსაზღვრელი რაოდენობრივი მასასიათებლებია: ტერიტორიის ზვავაქტიურობა, ზვავშემკრებების სიხშირე, ზვავების ჩამოსვლის სიხშირე და ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა.

დროში მეტ-ნაკლებად უცვლელი ზვავსაშიშროების რაოდენობრივი მასასიათებლებია, ტერიტორიის ზვავაქტიურობა და ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე, ორივე დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე (რელიეფის დანაწევრება, ფერდობების დახრილობა, ადგილის ტყიანობა და სხვა), რომლებიც დროში შედარებით უცვლელია. ზვავსაშიში ფერდობები და ზვავშემკრებები (ზვავის კერა, ზვავსადენი და ზვავის გამოზიდვის კონუსი) მუდმივად არსებობს, ხოლო მათ ზედაპირზე ზვავების წარმოქმნა და გავრცელება, განპირობებულია მთელი რიგი მოვლენებით. საქართველოს ტერიტორიის, ზვავსაშიშროების ხარისხის მიხედვით დარაიონების დროს, ტერიტორიის ზვავაქტიურობისა და ზვავშემკრებების გაგრცელების სიხშირის ცვლილება, განხილული იქნება, მხოლოდ სიგრცეში. ზვავების ჩამოსვლის სიხშირე და ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა, კლიმატის ძირითადი ელემენტების (ჰაერის ტემპერატურა, ატმოსფერული ნალექები, თოვლის საფარის) დროში დიდი ცვალებადობის გამო, დიდ დიაზონზი იცვლება, არამარტო სიგრცეში (საქართველოს ტერიტორიაზე), არამედ დროშიც. ზვავსაშიშროების დასახელებული, ორი რაოდენობრივი მასასიათებლის, დროში ცვალე-

ბადობის გამოსავლენად, დადგინდა მათი მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური სიღიღები და ამ სიღიღების ცვალებადობა, საქართველოს ტერიტორიაზე. ზვავსაშიშროების ხარისხის მიხედვით დარაიონებას, საფუძვლად დაედო, ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირისა და ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობის თავისებურებანი, რადგან სწორედ, მათ გააჩნიათ, განსაკუთრებული მნიშვნელობა, ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების რეკომენდაციების შემუშავებისას.

საქართველოს დარაიონება ზვავსაშიშროების ხარისხის მიხედვით, მოვახდინეთ ზვავსაშიშროების ისეთი, ძირითადი, ოთხი რაოდენობრივი მახასიათებლის საფუძველზე, როგორიცაა: ტერიტორიის ზვავაქტიურობა, ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე, ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე და ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა. ამ რაოდენობრივი მახასიათებლის სივრცულ-დროითი ცვლილების დადგენა დაედო საფუძვლად, საქართველოს ტერიტორიის დარაიონებას, ზვავსაშიშროების ხარისხის მიხედვით.

კარტომეტრიული სამუშაოების საფუძველზე შედგენილი ცხრილიდან (ცხრ.9.1.) ჩანს, რომ საქართველოს ტერიტორიის, მთლიანი ფართობის 44% (30810-კმ<sup>2</sup>) არაზვავსაშიშია. თუ, უკრალებით განვიხილავთ ცხრილს 7.1.1-ს, აღმოჩნდება, რომ ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირის დროს და ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობის დროს, ნულოვანი სიხშირის მქონე რაიონსა და ნულოვანი ხანგრძლივობის რაიონს, თანაბარი ტერიტორია უჭირავთ და საქართველოს მთლიანი ფართობის 44%-ს შეადგენს.

#### ცხრილი 9.1. საქართველოს ტერიტორიის ზვავსაშიშროება

№	ზვავსაშიშროების ხარისხი	%
1	არაზვავსაშიში	44
2	სუსტი ზვავსაშიშროება	12
3	საშუალო ზვავსაშიშროება	33
4	ძლიერი ზვავსაშიშროება	8
5	განსაკუთრებით ძლიერი	3

რა ოქმა უნდა, ზვავების ჩამოსვლის ნულოვანი სიხშირის რაონის და ზვავსაშიში პერიოდის, ნულოვანი ხანგრძლივობის პერიოდის მქონე რაიონებს, თანაბარი ფართობი უნდა ეჭიროს, რაღგან იქ, სადაც ზვავების ჩამოსვლას არა აქვს ადგილი, არც ზვავსაშიში პერიოდი გვექნება.

არაზვავსაშიშ რაიონს უკავია, საქართველოს მთლიანი ფართობის 44 %. დასავლეთ საქართველოში არაზვავსაშიშია, კოლხეთის ბარის ტყის ლანდშაფტის გავრცელების ტერიტორია, აგრეთვე, ზვავების გავრცელების ქვედა საზღვრის ზემოთ მდებარე,  $15^{\circ}$ -ზე ნაკლები დახრილობის მდ.რიონისა და მდ.კვირილას ხეობების, გარკვეული ნაწილი. აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად, არაზვავსაშიშია კახეთის ბარის ტყის, ივრის ბარის ველის, ეკდარის ბარის ნახევარუდაბნოს, აგრეთვე, სამხრეთ საქართველოს მთის სტეპის ლანდშაფტების გავრცელების რეგიონები.

ჩვენი ქვეყნის ზვავსაშიშ ტერიტორიაზე, რომელიც შეადგენს საქართველოს მთლიანი ფართობის 56%-ს, ზვავსაშიშროების ხარისხის მიხედვით, გამოიყო თოხი რაიონი: განსაკუთრებით ძლიერი, ძლიერი, საშუალო და სუსტი ზვავსაშიშროების რაიონები ცხრ.9.1 (ნახ.9.1. იხ. დანართი).

განსაკუთრებით ძლიერი ზვავსაშიშროების რაიონს მიეკუთვნება ტერიტორია, სადაც ზვავსაშიშროების რაოდგნობრივი მახასიათებლები, აღემატება შემდეგ სიდიდეებს: ტერიტორიის ზვავაქტიურობა – 60%-ს, ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე – 15 ზვავშემკრებს 1 კმ-ზე, ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე – 15 შემთხვევას და ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა – 150 დღეს, ერთ ზამთარში. რაიონი მოიცავს საქართველოს მთლიანი ფართობის 3%-ს და ძირითადად, უკავია კავკასიონისა და მისი განშტოებების, აგრეთვე, მესხეთის ქედის ფერდობებზე მდებარე, კავკასიის მაღალი მთის ალპური და ნივალურ-გლაციალური ლანდშაფტები. განსაკუთრებით ძლიერი ზვავსაშიშროების რაიონი მოიცავს მაღალმთიან, ზღვის დონიდან 2400-2500 მ-ზე მაღლა მდებარე,  $30-35^{\circ}$ -ზე მეტი დახრილობის ტერიტორი-

ას, რომლის ნაწილი დაფარულია ალპური მდელოებით, ნაწილი კი მოკლებულია მცენარეულ საფარს. მოცემული რაიონის ცაკლეულ ფერდობებზე, ტერიტორიის ზვავაქტიურობა აღწევს 75-80%-ს, ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე – 18-20 ზვავშემკრებს 1 კმ-ზე. განსაკუთრებით ძლიერი ზვავსაშიშროების რაიონში, უხვოოვლიან ზამთარში, თოვლის საფარის სიმაღლე აღწევს 450-700 სმ-ს, ზვავების ჩამოსვლის სიხშირე – 60-70 შემთხვევას და ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა – 200-240 დღეს ერთ ზამთარში, ხოლო საშუალოთოვლიან ზამთარში შეიძლება მიაღწიოს, შესაბამისად, 250-500 სმ-ს, 25-50 შემთხვევას და 150-200 დღეს, მცირეოვლიან ზამთარში – 150-300 სმ-ს, 15-25 შემთხვევას და 75-125 დღეს ერთ ზამთარში.

ძლიერი ზვავსაშიშროების რაიონს მიეკუთვნება ტერიტორია, სადაც ზვავსაშიშროების რაოდენობრივი მახასიათებლები, აღემატება შემდეგ სიდიდეებს: ტერიტორიის ზვავაქტიურობა – 40%-ს, ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე – 10 ზვავშემკრებს 1 კმ-ზე, ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე – 10 შემთხვევას და ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა – 100 დღეს ერთ ზამთარში.

რაიონი მოიცავს საქართველოს მთლიანი ფართობის 8 %-ს და ძირითადად, კავკასიის მაღალი მთის სუბალპური (ბზიფის, აფხაზეთის, კოდორის, სვანეთის, ეგრისისა და ლეჩხუმის ქედების), მესხეთისა და შავშეთის ქედების, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – აღმოსავლეთ კავკასიონის დასავლეთი ნაწილისა და მისი განშტოებების მაღალმთიან ზონაში მდებარე ფერდობებს. რაიონის ტერიტორიის ზედაპირის დახრილობა, აღემატება 25-30°-ს, რომელიც, ძირითადად უტყვეოა, ხოლო ზოგან კი, დაფარულია მენხერი, სუბალპური ფოთლოვანი ტყით. ძლიერი ზვავსაშიშროების რაიონის ცალკეულ ფერდობებზე, ტერიტორიის ზვავაქტიურობა აღწევს 55-70%-ს, ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე – 14-16 ზვავშემკრებს 1 კმ-ზე. უხვოოვლიან ზამთარში მოცემული რაიონის ტერიტორიაზე, თოვლის საფარის სიმაღლე აღწევს 350-550 სმ-ს, ზვავების ჩამოსვლის სიხშირე – 50-60 შემ-

თხვევას, ხოლო ზვაგსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა – 150-200 დღეს; იგივე მაჩვენებლები, საშუალოთოვალიან ზამთარ-ში აღწევს, შესაბამისად, 200-400 სმ-ს, 20-40 შემთხვევას და 100-150 დღეს, ხოლო მცირეთოვლიან ზამთრებში – 100-200 სმ-ს, 14-18 შემთხვევას და 50-100 დღეს. საშუალო ზვაგსაშიშ-როების რაიონს მიეკუთვნება ტერიტორია, სადაც ზვაგსაშიშ-როების ერთი რაოდენობრივი მახასიათებელი მაინც, აღემატ-ება შემდეგ სიდიდეებს: ტერიტორიის ზვაგაქტიურობა – 20%-ს, ზვაგშემკრებების გავრცელების სიხშირე – 5 ზვაგშემ-კრებს 1 კმ-ზე, ზვაგების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე – 5 შემთხვევას და ზვაგსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხან-გრძლივობა – 50 დღეს ერთ ზამთარში. ამ რაიონში ერთიან-დება ტერიტორია, სადაც სივრცეში ცვალებადი ზვაგსაშიშ-როების რაოდენობრივი მახასიათებლების (ტერიტორიის ზვა-გაქტიურობა და ზვაგშემკრებების გავრცელების სიხშირე) სიდიდე მნიშვნელოვანია, ხოლო როგორც სივრცეში, ისე დროში ცვალებადის (ზვაგების ჩამოსვლის სიხშირე და ზვაგსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა) – უმნიშვნელო. დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით, მის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის საშუალო მთიან ზონაში (მდინარეების ბზიფის, კოდორის, ენგურის, აჭარის-წყლის და აქ მდებარე, შედარებით მცირე ფართობის მდინა-რეების აუზები), ზვაგების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე აღემატება 15-17 შემთხვევას ზამთრის განმავლობაში, ხოლო ზვაგსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა – 150-170 დღეს, ტერი-ტორიის ზვაგაქტიურობა კი ნაკლებია 20-25%-ზე, ზვაგშემ-კრებების გავრცელების სიხშირე – 5-6 ზვაგშემკრებზე 1 კმ-ზე. აღმოსავლეთ საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთ (კავ-კასიონის ჩრდილოეთი განშტოებები) და სამხრეთ ნაწილში (სამხრეთ საქართველოს მთიანეთის, აღმოსავლეთით მდება-რე საშუალომთიან და ნაწილობრივ, მაღალმთიანი ზონის ფერდობებზე), ტერიტორიის ზვაგაქტიურობა მეტია 35-40 %-ზე, ხოლო ზვაგშემკრებების გავრცელების სიხშირე – 8-10 ზვაგშემკრები 1 კმ-ზე, მაგრამ ზვაგების ჩამოსვლის მაქსიმა-ლური სიხშირე არ აღემატება 4-7 შემთხვევას ერთ ზამთარ-

ში, ხოლო ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა – 50-60 დღეს. ასეთი დიდი სხვაობა, ზვავსაშიშობის რაოდენობრივი მახასიათებლების სიდიდეებს შორის, განკირობებულია იმით, რომ დასავლეთი საქართველო უხვოვლიანობით გამოირჩევა (თოვლის საფარის სიმაღლე აღემატება 400-500 სმ-ს), რის გამოც ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე და ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა, დიდი მნიშვნელობებით ხასიათდება. ტერიტორიის ზვავაქტიურობა და ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე, აქ დიდი არ არის, რადგან ტერიტორიის ძირითადი ნაწილი, ხშირი ტყით არის დაფარული. აღმოსავლეთ საქართველოს გარკვეულ რეგიონებში, ტერიტორიის ზვავაქტიურობას და ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირეს, დიდი მნიშვნელობა გააჩნია, რაც განკირობებულია, ფერდობების ძლიერი დანაწევრებით. ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე და ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა, მცირე სიდიდეებით ხასიათდება; ამის მიზეზი – მცირეთოვლიანობა (თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე, არ აღემატება 200-250 სმ-ს).

საშუალო ზვავსაშიშობის ტერიტორიის ცალკეულ რაიონებში, აღინიშნება დიდი სხვაობა, როგორც ტერიტორიის ზვავაქტიურობასა და ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირეს შორის (მხოლოდ სივრცეში ცვალებადი მახასიათებლები), ისე ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობასა და ზვავების ჩამოსვლის სიხშირეს შორის (მაჩვენებლები, რომლებიც იცვლება, როგორც სივრცეში, ისე დროში). ასე, მაგალითად, მდ. აჭარისწყლის აუზის საშუალომთიან ფერდობებზე, ტერიტორიის ზვავაქტიურობა ნაკლებია 20-25%-ზე, ხოლო ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე შეადგენს 5-10 ზვავშემკრებებს 1 კმ-ზე; ეს აისხება იმით, რომ მდ.აჭარისწყლის საშუალომთიანი ფერდობები დაფარულია, შერეული და წიწვოვანი ტყეებით და მიუხედავად, ზვავშემკრებების დიდი სიხშირისა, მოიცავს შედარებით მცირე ფართობებს. მდ.მტკვრის მარცხენა, საშუალომთიან ზონაში მდებარე ფერდობებზე, ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე 5

ზვავზე ნაკლებია, ზამთრის განმავლობაში. ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა, ძირითადად, აღემატება 80-100 დღეს, რაც იმითაა განპირობებული, რომ დაბალი ტემპერატურის გამო, თოვლის სიმაღლის კრიტიკული მნიშვნელობა შენარჩუნებულია, ზამთრის დიდი პერიოდის განმავლობაში, ხოლო თოვლის განმეორადობა, ზვავის ჩამოსვლისთვის საკმარისი თოვლის სიმაღლის ნამატით, შედარებით, იშვიათად აღინიშნება. ამრიგად, ზვავსაშიშროების რაოდენობრივი მახასიათებლები, საშუალო ზვავსაშიშროების რაონბი, დიდ საზღვრებში იცვლება.

საშუალო ზვავსაშიშროების რაონბს უკავია, საქართველოს მთლიანი ფართობის 33% და, ძირითადად, მოიცავს კავკასიის საშუალო მთის მუქ წიწვოვანი ტყის, ამიერკავკასიის საშუალო მთის ტყის, აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე მაღალი მთის სუბალპური და ალპური ლანდშაფტების გავრცელების ტერიტორიას. რაონბის უდიდესი ნაწილი დაფარულია, შერეული და წიწვოვანი ტყეებით. ფერდობების დახრილობა, ძირითადად, აღემატება  $20-25^{\circ}$ -ს, ხოლო ალაგ-ალაგ აღწევს  $35-45^{\circ}$ -ს. საშუალოთოველიან ზამთარში თოვლის საფარის სიმაღლე, საშუალო ზვავსაშიშროების მქონე რაიონში, იცვლება 70-დან 400 სმ-მდე, ზვავების ჩამოსვლის საშუალო სიხშირე 1-დან 14 შემთხვევამდე ზამთრის განმავლობაში, ხოლო ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა 25-დან 140 დღემდე. მცირეთოვლიან ზამთარში, თოვლის საფარის სიმაღლე იცვლება 20-დან 150 სმ-მდე, ზვავების ჩამოსვლის მინიმალური სიხშირე, 6-8 შემთხვევაზე ნაკლებია, ხოლო ზვავსაშიში პერიოდის მინიმალური ხანგრძლივობა, 70 დღეზე ნაკლები. საშუალო ზვავსაშიშროების რაონბის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი, მცირეთოვლიან ზამთარში არაზვავსაშიშია.

სუსტი ზვავსაშიშროების რაონბს მიეკუთვნება ტერიტორია, სადაც ზვავსაშიშროების რაოდენობრივი მახასიათებლები ნაკლებია, შემდეგ სიდიდეებზე: ტერიტორიის ზვავაჭრიულია – 20%-ზე, ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე – 5 ზვავშემკრებზე 1 კმ-ზე, ზვავების ჩამოსვლის მაქსიმა-

ლური სიხშირე – 5 შემთხვევაზე და ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა – 50 დღეზე ერთ ზამთარში. რაიონი მოიცავს, საქართველოს მთლიანი ფართობის 12 %-ს და უკავია, ძირითადად, დაბალმთიანი (ზღვის დონიდან 400-500 მ-ზე დაბლა მდებარე) კოლხეთის მთის, ტყის დანდაფტების გავრცელების ტერიტორია დასავლეთ საქართველოში, დაბალმთიან და საშუალომთიან ზონაში მდებარე, ამიერკავკასიის დაბალი და საშუალო მთის, ტყის და სტეპის დანდაფტების გავრცელების ტერიტორია აღმოსავლეთ საქართველოში. რაიონის ტერიტორია, ძირითადად, ათვისებულია და ამიტომ, მოკლებულია ტყის ბუნებრივ საფარს. ტერიტორიის ცალკეულ ფერდობებზე გვხვდება, სხვადასხვა სახეობის ტყე. საშუალოთოველიან და მცირეთოველიან ზამთარში, სუსტი ზვავსაშიშროების რაიონი, არაზვავსაშიშია.

თავი 10.ზეპანსაჭინააღმდებო ღონისძიებები, მათი  
პლასიზიგაცია; კასიური და აძლიური ღონისძიებები;  
დროებითი და გაიტაღური ღონისძიებები.

სამთო პირობებში, მთაში გადაადგილების წესების დაცვა,  
ერთ-ერთი ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებაა. ნებისმიერ ქვე-  
ყანაში, ეს იქნება შეეიცარიისა თუ საფრანგეთის ალპები,  
ნორვეგია, საქართველო თუ სხვა ქვეყნები, სადაც სამთო კუ-  
რორგებია, აუცილებლად უნდა იყოს, სპეციალურად მომზა-  
დებული, გამოცდილი ინსტრუქტორებითა და ალპინისტებით  
დაკომპლექტებული მაშველთა ჯგუფები, სადაც ჩართული  
იქნება ადგილობრივი მოსახლეობა. სპეციალურ აღჭურვი-  
ლობასთან ერთად, აუცილებელია გაწროვნილი ძაღლების  
გამოყენება.

Х საუკუნეში, პირველი სამაშველო სამსახური შვეიცარია-  
ში, სან-ბერნარის მახლობლად, ჩრდილოეთ ევროპიდან იტ-  
ალიაში გადასასვლელთან, ბერებმა შექმნეს. ისინი დახმარე-  
ბას უწევდნენ, ზვაგში მოყოლილ და ქარბუქში დაკარგულ  
მგზავრებს. ამისთვის, სპეციალური ჯიშის ძაღლებს – დო-  
გისა და სამხრეთის მეცხვარის ჯიშის, შეჯვარების შედეგს,  
ეწ. სანბერნარებს იყენებდნენ.

პამირისა და ალტაის მთებში, 15 საუკუნის წინათ, სინდი-  
ხის გადასასვლელზე, კლდეზე გამოსახული იყო სანბერნა-  
რის მსგავსი, ლეგენდარული ძაღლის – აიას მიერ, ზვავიდან  
ადამიანის ამოვგანის სიუჟეტი. სანბერნარის ჯიშის ძაღლე-  
ბის გარდა, ლაბრადორი, გერმანული ნაგაზი, კოლი, სპეცი-  
ალური წროვნის შემდეგ, 2-3 მეტრის სიღრმეზე პოულობენ  
ზვაგში ჩამარხულებს. ლიტერატურაში აღწერილია შემთხვე-  
ვა, როცა სამაშველო ძაღლმა 5-6 მ-ის სიღრმეში, უფრო  
სწრაფად იპოვა დაშავებული, კიდრე ტექნიკურმა საშუალებ-  
ებმა. მაღლიერების ნიშანად, საფრანგეთში, პარიზის ზოოლ-  
ოგიურ მუზეუმში, ძეგლიც კი დაუდგეს სანბერნარს, რომელ-  
მაც წლების განმავლობაში არაერთი სიცოცხლე გადაარჩი-  
ნა.

აშშ და დასავლეთ ევროპაში ეწ. „ელექტრონული ძაღლე-  
ბი“ გამოიყენება. ეს არის, ტრანზისტორის ტიპის მიმღებ-გა-

დამცემი მოწყობილობა, რომელიც ზვაგსაშიშ ზონაში შესვლისთანავე უნდა ჩაირთოს. ერთ-ერთი ასეთი სახეობა, ლოურონიქსის ფირმის გადამცემი „სკედია“. აქ მნიშვნელოვანია, რომ მაშველებისა და ე.წ. მსხვერპლის მოწყობილობა, ერთ სიხშირეზე მუშაობდეს. იყენებენ ე.წ. მაგნიტომეტრებსაც. მთაში გადაადგილებისას, სასურველია მაგნიტური გადამცემით ადჭურვა. ასევე, შემუშავებულია „ტბილი ლაქების“ საპოვნი ხელსაწყო. გამოიყენება გაზის ანალიზატორები, ისინი სუნთქვის დროს გამოყოფილი, CO<sub>2</sub>-ის მომატებას აღნიშნავს.

შვეიცარიაში ჩატარდა ექსპერიმენტი – შეჯიბრი გაწროვნილ ძალებისა და იმ ხელსაწყოებს შორის, რომლებიც განვიხილავთ. აღმოჩნდა, რომ ძალები, უფრო სწრაფად პოულობდნენ დაშვებულებს, ვიდრე ტექნიკა. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ზვაგში მოყოლილ ადამიანს, კარგად ესმის, ზემოთ რა ხდება, ხოლო მისი ხმა მაშველებისთვის მიუწვდომელია, ამიტომ აუცილებელია ხმის გამაძლიერებული ზონდის გამოყენება, რომელიც გააადვილებს ძებნას.

ზვაგში მოყოლილი ადამიანი, ყოველთვის არ იღუპება. ზოგიერთი მათგანი, შემთხვევითობის, დახმარებისა თუ პირადი ძალისხმევის წყალობით, თავისუფლდება „თეთრი სიკვდილის“ ტყვეობისგან. ლიტერატურიდან, ცნობილია არა-ერთი შემთხვევა, როდესაც ზვაგის ქვეშ მოყოლილი ადამიანი გადარჩა. მაგალითად, ავსტრიის არმიის კონსულტანტი მატიას სდარსკი, რომელიც 1916 წლის 28 ოქტემბერის თვად მოყვა ზვაგში, იმავე ადგილას ჩამოსული, მეორე ზვაგის წყალობით, ამოვარდა პირველი ზვაგიდან. მას ოთხმოცამდე მოტებილობა პქნიდა და მის გამოჯანმრთელებას, 11 წელი დასჭირდა. საინტერესოა, ექვსი ტყისმჭრელის ისტორიაც, რომლებიც ზვაგმა დაფარა. მათგან, მხოლოდ ერთი პიროვნება ამოიყვანეს ცოცხალი, რადგან მან შეძლო ცხვირ-პირის გადარჩენა თოვლისგან, რითაც გაგუდვის გადაურჩა. [51,55].

წიგნის – „ყურადღება ზვაგია!“ ავტორი ქ. ოტუოტერი [51], მრავალჯერ აღმოჩნდა ზვაგის ტყვეობაში, მაგრამ გამოცდილებისა და შეუპოვრობის წყალობით, ყოველთვის ამარცხებდა სტიქიას. ცნობილია, არა-ერთი შემთხვევა, როდესაც ზვა-

ვისგან დაზარალებული, რამდენიმე საათი იმყოფებოდა თოვლის ტკუნძულიში. მაგალითად, კანადელმა მიღილუმ 78 საათი გაატარა ზვავის ქვეშ. ამოყვანის შემდეგ, მოყინვის გამო, რამდენიმე თითის ამჟუტაცია გახდა აუცილებელი. ერთმა მონადირემ, შვედეთის ლაპლანდიაში, შვიდი დღე-დამე დაჭურ ზვავის ტკუნძულიში. მან მოახერხა გარკვეული სივრცის შექმნა თავის გარშემო. გადაარჩინეს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ორივე ფეხის ამჟუტაცია ჩაუტარდა. რეკორდულად ითვლება ავსტრიელი მშენებლის – ფრაიზეგერდის შემთხვევა. შეხობა, სადაც ის იმყოფებოდა, ზვავმა დაფარა. თოვლის დიდი მასის გამო, ჩათვალეს, რომ ცოცხალი არავინ გადარჩებოდა. დაზარალებულს, მხოლოდ ერთი ხელი ჰქონდა თავისუფალი და ხის ტოტის მეშვეობით, შეეცადა თოვლის გაბურღვას. მე-14 დღეს აღმოაჩინეს ცოცხალი. საქართველოში, 1976 წლის 14 იანვარს, მესტიის რაიონის სოფ. ლარილარში, მამა და სამი შვილი აღმოჩნდნენ ზვავში, რამდენიმე საათის ძებნის შემდეგ, მამისა და ერთი გოგონას გადარჩენა შეძლეს, ხოლო ორი ვაჟი დაიღუპა [2].

ზვავსაშიში ტერიტორიის ზონების დასადგენად, აუცილებელია რისკებისა და სხვადასხვა ხარისხის საშიშროების გათვალისწინება. შვეიცარიაში მიღებულია სამფერიანი სისტემა: პირველ ზონად, დიდი საფრთხის შემცველი ზონა ითვლება და წითელი ფერითა შეფერილი; მეორე ზონა ცისფერია და პოტენციურად, ზვავსაშიშ ზონაზე მიუთითებს; ხოლო, მესამე – ოქტოი, უსაფრთხო ზონაა. კრიტერიუმად მიღებულია, ზვავის დარტყმის ძალა და ზვავების ჩამოსვლის საშუალო დრო.

1993 წლიდან ევროპულ ქვეყნებში, მათ შორის, რუსეთის ფედერაციაში მოქმედებს ზვავების წარმოქმნის რისკის კლასიფიკაცია (ცხრ. 10.1).

ზვავსაშიშროების ხარისხის მიხედვით გამოყოფილი სუსტი, საშუალო, ძლიერი და განსაკუთრებით ძლიერი რაიონებისთვის, ზვავების რისკის დონე და მოსალოდნელი შედეგი, ზვავის დარტყმის ძალისა და ზვავშემკრების ფართობის მიხედვით განვსაზღვრეთ (ცხრ.10.2) [62].

**ცხრილი 10.1. ზვავების წარმოქმნის რისკი**

Nº	რისკის დონე	თოვლი სტაბილურია	ზვავების წარმოქმნის რისკი
1	დაბალი	ძალიან	ზვავების მოულოდნელი ჩამოსვლა გამორიცხულია
2	შეზღუდული	საშუალო	არ არის მოსალოდნელი
3	საშუალო	სუსტი	შესაძლებელია დიდი და მცირე ზომის ზვავების ჩამოსვლა
4	მაღალი	არასტა- ბილური	მცირედი ზემოქმედებაც გამოიწვევს ზვავს
5	ძალიან ძლიერი	არასტა- ბილური	ყველა ფერდობიდანაა შესაძლებელი ზვავის ჩამოსვლა

**ცხრილი 10.2. საქართველოს რაიონებისთვის ზვავების  
ჩამოსვლის რისკი ზვავის დარტყმის ძალისა (P) და  
ზვავშემკრებების ფართობის (F) მიხედვით**

Nº	რისკის დონე	P, P/θ²	F, θ²	ზვავის ჩამოსვლის შედეგი
1	სუსტი	<20	<0,004	დაზიანება, ნგრევა, ტრან- სპორტის მოძრაობის შეფ- ერხება, ტყის დაზიანება
2	საშუალო	21-40	0,005- 0,008	მსხვერპლი, ნგრევა დაზი- ანება, მოძრაობის შეფერ- ხება, ტყის დაზიანება
3	ძლიერი	41-60	0,009- 0,012	მსხვერპლი, ნგრევა, დაზიანება, მოძრაობის შეჩერება, გზების და ხიდების დაზიანება, ტყის განადგურება, ელგადამცემი ბოძების დაზიანება
4	განსაკუთ- რებით ძლიერი	>60	>0,012	მსხვერპლი, ნგრევა, მოძრაობის შეჩერება, გზების და მიწისზედა სადე- ნების დაზიანება, ტყის განადგურება

ზვავების ჩამოსვლით გამოწვეული ადამიანთა მსხვერპლი და დიდი მატერიალური ზარალი განაპირობებს, ზვავსაწინააღმდეგო დონისძიებების შემუშავებასა და მათი განხორციელების აუცილებლობას. არსებობს: პასიური, აქტიური, დროებითი, კაპიტალური და სხვა. ცხრილში (ცხრ.10.3) წარმოდგენილია, ზვავსაწინააღმდეგო აქტიური და პასიური დონისძიებების კლასიფიკაცია [21,34].

პასიური ზვავსაწინააღმდეგო დონისძიებები, არ ითვალისწინებს ზვავშემკრების ტერიტორიაზე, რამე სამუშაოს ჩატარებას.

ცხრილი 10.3 ზვავსაწინააღმდეგო დონისძიებების კლასიფიკაცია

№	პ ა ს ი ჟ რ ი	№	ა ქ ტ ი ჟ რ ი
1	ზვავსაშიში ტერიტორიის გამოკვლევა, უსაფრთხო ადგილის შერჩევა	4	დონისძიება ზვავის კერაში (დროებითი, კაპიტალური, საინჟინრო ნაგებობა, გატყიანება)
2	ზვავის პროგნოზის მეთოდები (ცალკეული ზვავშემკრებისთვის, მთანი რეგიონისთვის)	5	დონისძიება ზვავსადენში (ზვავის ამაცილებელი, ობიექტის თავზე გამშვები, დამშლელი ნაგებობები)
3	ზვავსაწინააღმდეგო სამეთვალყურეო სამსახური, სამაშველო რაზმების შექმნა	6	დონისძიება ზვავის გამოზიდვის კონუსში (ზვავის ამაცილებელი, ობიექტის თავზე გამშვები, დამშლელი დამამუხრუჭებელი და გამაჩერებელი ნაგებობები)

ზვავსაშიში ტერიტორიების ათვისებისას, დიდი მნიშვნელობა მთაში მშენებლობის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას აქვს. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ სპორადული ზვავების ჩამოსვლა იწვევს, არამარტო ცალკეული ნაგებობების, არამედ დასახლებული პუნქტების მთლიანად ნგრევას, მსხვერპლსა და დიდ მატერიალურ ზარალს. ასეთი ტიპის ზვავების ჩამოსვლის, არაერთი მაგალითია მოყვანილი, ამ ნაშრომის პირველ თავში. აღნიშნულიდან გამომდინარეობს,

რომ არაზვავსაშიში ადგილების შერჩევისათვის ჩატარებული საველე გამოკვლევა დიდ უურადდებას, გამოცდილებასა და ადგილობრივი პირობების დრმა, მეცნიერულ ანალიზს მოითხოვს.

ზვავების წინააღმდეგ ბრძოლის, ერთ-ერთ ეფექტურ პასიურ ლონისძიებას, მათი ჩამოსვლის შესახებ, მოსახლეობის გაფრთხილება წარმოადგენს. ზვავსაშიშროების პროგნოზის დროულ გაცემას, უფრო დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია, ვიდრე სამაშველო სამუშაოებს. ცხადია, ნაგებობის დაცვა, დროულად გაცემული პროგნოზით შეუძლებელია, მაგრამ ადამიანების ევაკუაცია და ქონების ნაწილის გადარჩენა, შესაძლებელია.

შვეიცარიაში, თავდაპირველად, პროგნოზი გაიცემოდა, მხოლოდ სამთო-სათხილამურო ცენტრებში. გასული საუკუნის, 50-იანი წლებიდან, 1301 ზვავი ჩამოვიდა და 234 ადამიანი აღმოჩნდა ზეავის ტყვეობაში, საუბედუროდ 98 დაიღუპა, ხოლო არცერთი მოთხილამურე არ დაშავებულა. ზვავში მოყოლილ მოსახლეობას, არ გააჩნდა ინფორმაცია, ზვავების მოსალოდნელი ჩამოსვლის შესახებ. ამ კატასტროფული ზამთრის შემდეგ, პროგნოზის გაცემა მოსახლეობისთვისაც სავალდებულო გახდა.

შვეიცარიაში, სადაც 1917 წლიდან დაიწყეს ზვავების შესწავლა და პროგნოზირება, დღეისთვის ვაისფლუიობის ინსტიტუტი, რომელიც დავოსის რაიონში მდებარეობს, ინფორმაციას 55 სადამკვირვებლო პუნქტისგან და 30 მეტეოროლოგიური სადგურიდან იღებს. ამ ინფორმაციის საფუძველზე, მზადდება ზვავების ბიულეტენი, მოსახლეობის ინფორმირება ზვავების ჩამოსვლის შესახებ, რადიოთი და ტელევიზიოთ ხდება.

ავსტრიაში, შვეიცარიის მსგავსი პროგნოზების სამსახური, 1950 წლიდან არსებობს. ალპურ ქვეყნებში, 264 სპეციალური და მეტეოროლოგიური სამსახური აწარმოებს მომსახურებას. მაგალითად: საფრანგეთში – კოლ-დე-პორტი, იტალიაში – ტურინი, გერმანიაში – მიუნხენი, ავსტრიაში – ბრიოგენცი, ზალცბურგი, ინსბრუკი, კლაგენფურტი. ყველა, ამ

ცენტრში, ინფორმაციის გაცვლა და ალპებში, ზვავების ჩამოსვლის შესახებ, ერთიანი პროგნოზის შემუშავება ხდება.

აშშ-ის სამ მთიან რაიონში, გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, ტყის სამსახურია ჩართული ამ საქმეში. მონტგომერ ოტუოტერის [51] ძალისხმევით, რეგულარულად ხდებოდა პროგნოზის გაცემა. სამთო-სათხილამურო ცენტრებში, ზამთრის თვეებში, სპეციალური ბიულეტენები ყოველდღიურად გაიცემა. მთიანი რაიონების მოსახლეობის ინფორმირება ხდება რადიოს, ტელევიზიის, პრესისა და ინტერნეტის საშუალებით.

ბევრ ქვეყანაში, ზვავსაშიშროების პროგნოზის გაცემისთანავე, აყენებენ ამკრძალავ ნიშნებს. ზოგადად, გამოიყენება ნარიჯისფერ ფონზე, შავი წარწერა: „ზვავები!“, „ფრთხილად, ზვავებია!“, „დახურულია!“, „ზვავსაშიშროებაა!“. იმ პირთათვის, ვინც უგულვებელყოფს გაფრთხილებას, დაწესებულია ჯარიმა 300 დოლარამდე, ან 180 დღით პატიმრობა. მკაცრად ისჯება, ამკრძალავი ნიშნების დაზიანება.

ყირგიზეთში 30 ათასამდე ზვავშემკრებია, აქედან, ათასამდე ზვავშემკრებში ჩამოსულ ზვავს შეუძლია, დიდი მატერიალური ზარალისა და მსხვერპლის გამოწვევა. შვიდ თოვლსაზვავე სადგურსა და ოცდათორმეტ მეტეოროლოგიურ სადგურზე, წარმოებს თოვლის საფარზე დაკვირვება. პროგნოზი, ზვავსაშიში პერიოდის დადგომის შესახებ, კოდური სახელწოდებით „შტორმი“ მიეწოდება ხელისუფლებას, სამინისტროებს, უწყებებს, ტურისტული და ალპური ბანაკების წარმომადგენლებს, რადიოთი და ტელევიზიით ხდება მოსახლეობის ინფორმირება.

ზვავსაშიშროების პროგნოზის გაცემას, მოქმედებაში მოჰყავს თავდაცვის რთული მექანიზმი: იწყება მზადება ევაკუაციისთვის; ზვავსაშიშ ზონაში იხურება ობიექტები; გზებზე, გამაფრთხილებელ ნიშნებს აყენებენ; ზვავის მიერ გამოტანილი, თოვლის გამწმენდი ტექნიკის, მობილიზება ხდება; ენერგეტიკოსებმა, თადარიგი უნდა დაიჭირონ და შესაძლებელი დაზიანებების აღმომფხვრელი ბრიგადების, მზადყოფნა უნდა უზრუნველყონ; სამთო კურორტებზე,

წინასწარ უნდა მოგვარდეს, სამაშველო ჯგუფების ტრანსპორტირების პროცესში.

ზვავების პროგნოზის შემუშავებული მეთოდები ორ ჯგუფად იყოფა: 1. ცალკეული ზვავშემკრებების ან მცირე ფართობის მქონე ტერიტორიის, ზვავსაშიში პერიოდის დადგომის პროგნოზირების მეთოდები. 2. შედარებით, დიდი ტერიტორიის, ფონური პროგნოზირების მეთოდები.

პროგნოზირების ძირითად მიზანს, მოსალოდნელ ზვავსაშიშროებაზე, დროული და სისტემატური ინფორმირება წარმოადგენს. ჰიდროშეტეროლოგიის ინსტიტუტში, ზვავების შესწავლის დაწყებიდან (XX საუკუნის 50-იანი წლებიდან) დღემდე, შემუშავებულია ყველა გენეზისის ზვავის ჩამოსვლის პროგნოზირების მეთოდი, რომელიც დანერგილია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრში, საიდანაც მოსახლეობასა და დაინტერესებულ ორგანიზაციებს, დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია, მოსალოდნელი ზვავსაშიშროების შესახებ.

განსაკუთრებით, დიდია ზარალი და მსხვერპლი კატასტროფული ზვავების მასიური ჩამოსვლის დროს, ამიტომ, მაგალითის სახით, მოვიყვანთ ამ მარტივ მეთოდს (ფორმულა 10.1) [15-17],

$$T = \frac{220}{i^2}, \quad (10.1)$$

სადაც,  $T$  არის დრო (საათი) პროგნოზის გაცემიდან ზვავის ჩამოსვლამდე,  $i$  – თოვლის სიმაღლის მატების ინტენსივობა; პროგნოზის შედგენა ხდება, მხოლოდ მაშინ, როცა  $i$  – გახდება 2 სმ/სთ ან მეტი, რადგან კატასტროფული ზვავების ჩამოსვლას, ადგილი აქვს მაშინ, როცა თოვლის სიმაღლის მატების ინტენსივობა, საათში 2 სმ ან მეტია.

პროგნოზი – ზვავსაშიშროებასთან ბრძოლის მხოლოდ საწყისი ეტაპია.

აქტიური ზვავსაწინააღმდეგო დონისძიებების განხორციელებისას, ზვავის წარმოქმნის, მოძრაობისა და გავრცელების პირობებში, ადამიანი აქტიურად ერევა. იგი ცდილობს,

ზვავის კერის ზედაპირის ფორმა, არსებული მცენარეული საფარი, თოვლის მახასიათებლები, ზვავის მიმართულება, სიჩქარე და დარტყმის ძალა შეცვალოს. გამოიწვიოს ზვავის პროფილაქტიკური ჩამოსვლა, ან ხელი შეუშალოს მათ წარმოქმნას.

ზვავების ხელოვნურად გამოწვევის შესახებ ცნობები, 1433 წლიდან არსებობს, როდესაც ალპებში გადაადგილებისას, თოვლიდან გასროლით, ან გრძელი შოლტების დახმარებით იწვევდნენ ზვავს ვაჭრები, რომელთაც ტვირთი გადაკქონდათ და ასე უზრუნველყოფდნენ, უსაფრთხო გადაადგილებას ზვავსაშიშ მონაკვეთებში. დროთა განმავლობაში, შოლტი და სანადირო თოვლი, უფრო მძლავრი იარაღით შეიცვალა. I მსოფლიო ომის დროს, ავსტრიელი სამხედრო კონსულტანტი მათიას ზდარსკი, უპირატესობას ხელყუმბარას, ან ჰაუბიცს ანიჭებდა და ასე ახდენდა ზვავების ჩამოსვლას. 1934 წლიდან, მრავალი ექსპერიმენტის ჩატარების შემდეგ, შვეიცარიაში რკინიგზის დაცვისთვის, ზვავსაშიშ ფერდობებს თოვლის მასისგან, საარტილერიო სროლით ათავისუფლებდნენ.

აშშ-ში გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, საარტილერიო სისტემებს იყენებდნენ. თავდაპირველად, ეს იყო 75 მმ-იანი ჰაუბიცა, შემდგომში, მობილური კვემეხები და თანამედროვე ჰაუბიცები. ზვავებთან საბრძოლველად, საარტილერიო სისტემის შერჩევა, მრავალ პირობასთან არის დაკავშირებული. იარაღი მობილური და მსუბუქი, მაქსიმალურად უსაფრთხო უნდა იყოს და თოვლის საფარზე მოხვედრის შემდეგ, თვითლიკვიდაციის უნარი უნდა გააჩნდეს. ზოგადი ნაკლი, ყველა საარტილერიო სისტემას გააჩნია, მაგ. საბრძოლო მასალის დირებულება, ნამსხვრევებისგან მიყენებული ზიანი და აუფეთქებელი ნაღმები. გამონაკლისს, შეადგენს საზენიტო სისტემა, სადაც ნაღმების თვითლიკვიდაცია და აუფეთქებლობის აღბათობა, 1000-დან ერთია. უნდა გამოირიცხოს აუფეთქებელი, ე.წ. „ნელი მოქმედების ნაღმები“, რომლებიც შეიძლება ზვავთან ერთად ჩამოვიდეს და ფერდობზე, ან გზაზე აღმოჩნდეს, ამიტომ აუცილებელია, ყოველი გასრო-

ლილი ჭურვის აღრიცხვა და რუქაზე იმ ადგილის მონიშვნა, სადაც არ მოხდა ნაღმის აფეთქება, ხოლო ზვავის ჩამოსვლის შემდეგ, აუცილებლად, უნდა მოხდეს ადგილის შემოწმება.

ზვავების ხელოვნურად ჩამოსაშვებად გამოიყენება, ასაფეთქებელი ნივთიერებების მუხტები, ყუმბარა, ნაღმი ან რაკეტა ზვავსაში ფერდობამდე, რამდენიმე წამში აღწევს. ასაფეთქებელი ნივთიერებების გადასატანად, გამოიყენება ვერტმფრენი, მაგრამ გასათვალისწინებელია, ამინდი და ფრენის ღირებულება.

ზვავსაში ზონაში აფეთქება შესაძლებელია, შემდეგ შემთხვევებში: ა) ერთი ფერდობიდან ზვავის ჩამოსვლის დროს, აუცილებლად უნდა შემოწმდეს სხვა ფერდობებიც; ბ) ზოგჯერ, აფეთქების შემდეგ, ოველი ისევ რჩება ფერდობზე ან შესაძლებელია, მცირე ზომის ზვავის ჩამოსვლა.

#### **ფერდობებიდან ზვავების ჩამოსაშვებად გამოიყენება:**

ა). ტეტრიტორიის სამხედრო ფუგასური ჭურვები C-3 და ტროტილი; ბ) სეისმოგრაფიული დენთი; გ) 105 მმ-ზე ნაკლები კალიბრის, სამხედრო ჭურვები; დ) გამონაკლის შემთხვევაში – ღინამიტი.

#### **ოველის კარნიზების ჩამოსაშლელად გამოიყენება:**

ა) ტექნიკური 40%-იანი უელატინ-დინამიტი, რომელიც არ იყინება; ბ) სამხედრო ფუგასური ჭურვები, ან სეისმოგრაფიული დენთი;

კარნიზის წარმოქმნამდე, შესაძლებელია, წინასწარ გათხრილ ორმოებში, ფუგასური ჭურვების განლაგება; შესაძლებელია, დეტონატორების გამოყენება, კერძოდ: ა) ელექტრონული და ცეცხლოვანი კაფსულა დეტონატორები, ან დეტონატორის ზონარი; ბ) დეტონატორი ფუგასური ჭურვისთვის, უნდა იყოს №8 ან მეტი.

აუცილებლად, უნდა იყოს გათვალისწინებელი, ასაფეთქებელი ნივთიერებების შენახვის წესები.

ქვემებს, ნაღმტყორცნს, რაკეტას უნდა გააჩნდეს სიზუსტე და შორ მანძილზე სროლის უნარი, უნდა იყოს მობილური, საიმედო და გამოირჩეოდეს მართვის სიმარტივით. სხვადას-

ხედ იარაღს შორის, აღსანიშნავია 75 და 105 მმ-ის კალიბრის ქვემეხები, ასევე 75 მმ-ის ჰაუბიცები. 105 მმ-ზე მეტი კალიბრის იარაღის გამოყენება, რეკომენდებული არ არის.

105 მმ-იანი ეწ. უკუგორების არმქონე ქვემეხი, თითქმის არ განსხვავდება 75 მმ-იანი ქვემეხისგან, როგორც სროლის სიზუსტით, ისე ექსპლუატაციით და სანდობით. მისი სროლის სიშორე უფრო დიდია, ასევე დიდია დარტყმის ძალაც, თოვლზე ადვილად გადაადგილდება, მისი განთავსება შესაძლებელია, როგორც ავტომობილზე, ისე რომელიმე პლატფორმაზე. ეს იარაღი, შესაძლებელია გამოყენონ, საავტომობილო გზების დაცვის მიზნით. ნაღმზე როცხნები არ გამოყენება, იმ ადგილებში, სადაც ნაგებობები და დასახლებული პუნქტებია, რადგან მათი დაზიანება, შესაძლებელია ყუმბარის ნამსხვრევებით. ასევე, ზემოქმედების დროს, აუცილებელია, გზების გადაკეტვა და გადაადგილების შეზღუდვა. გათვალისწინებული უნდა იყოს, უსაფრთხოების ტექნიკის ძირითადი პრინციპები.

გასული საუკუნის, 70-იან წლებში, საქართველოში ზვავების პროფილაქტიკური გამოწვევა, დაბომბვისა და აფეთქების გზით (ექსპერიმენტის სახით), საქართველოს სამხედრო გზაზე ტარდებოდა. ინსტიტუტი აქტიურ მონაწილეობას იღებდა, ზვავსაშიში უბნების განსაზღვრაში, ზვავების დინამიკური პარამეტრების (ზვავის სიჩქარის, დარტყმის ძალის, მოძრავი ზვავის სიმაღლისა და კონუსის მაქსიმალური სიმაღლის) გამოვლებში. არაერთი ზვავის ხელოვნურად გამოწვევა, გახდა შესაძლებელი.

რიგ ქვეყნებში, მძლავრ მუხებს ფერდობის ძირში ათავსებენ და საპაურო ტალღის საშუალებით, იწვევენ თოვლის სტრუქტურის რდევებასა და ზგავის ჩამოსხლას.

ზვავების ხელოვნურად გამოწვევა, ფართოდაა გავრცელებული შვეიცარიაში, სადაც წლის განმავლობაში, 5-10 ათას-ამდე, ხოლო აშშ-ში, 15-20 ათასამდე აფეთქება ხდება. უკანასკნელი, 10-15 წლის განმავლობაში, ზვავების ხელოვნურად გამოსაწვევად, ზვავის კერაში, წინასწარ ხდება ზონის დანაღმვა და დისტანციურად აფეთქება.

თოვლის მდგრადობის მისაღწევად, სხვადასხვა სახის ექსპერიმენტების ატარებდნენ. მაგ. ეთილ გლიკოლით – ჩვეულებრივი ანტიფრიზით, ცდილობდნენ ზვავის გამოწვევას. ხიბინებში ვაკურატოვი [40], თოვლს კარნალიტით – სუფრის მარილით ფარავდა. ფიქრობდნენ, რომ ამ ნივთიერებებით, შეძლებდნენ თოვლის საფარის სტაბილიზირებას.

საფრანგეთში დააპატენტებს ვიბროსტენდი, რომელიც ზვავის კერაში თავსდება და მისი ჩართვისას ხდება, დაგროვილი თოვლის მასის ჩამოყრა. შვეიცარიაში, გრუნტზე ათავსებენ ე.წ. გასაძერ ბალიშებს, კომპრესორებით უშვებენ ჰაერს და ასე იწვევენ, თოვლის მდგრადობის რდვევას.


აქტიურ ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებებში, იგულისხმება ზვავის კერაში, ზვავსადენში და ზვავის გამოზიდვის კონუსში, ჩატარებული სამუშაოები. ზვავის კერაში ტარდება, დროებითი ან კაპიტალური ღონისძიებები. დროებითი ღონისძიებებიდან, კარგ ეფექტს იძლევა (განსაკუთრებით, სარკინიგზო და საავტომობილო ტრასებზე), ზვავების პროფილაქტიკური ჩამოშვება, დაბომბვისა და აფეთქების გზით.

ზვავებისგან დაცვის კაპიტალური ღონისძიებები, ითვალისწინებს საინჟინრო ნაგებობების მშენებლობასა და ზვავის კერის გატენიებას. ამ ნაგებობების მიზანია, ხელი შეუშალოს ზვავების წარმოქმნას. ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების სახეობები და მათი გატარების გზები, ცხრილის (ცხრ.10.4) სახითაა წარმოდგენილი.

ზვავებისგან დაცვის სტრატეგია, ისეთი ზვავსაწინააღმდეგო ნაგებობის მშენებლობას გულისხმობს, რომელიც ადამიანის უსაფრთხო ცხოვრებას უკავშირდება. უხსოვარი დროიდან, ალპებსა და კავკასიის ქვეყნების მთიან რაიონებში, ისე აშენებდნენ სახლებს, რომ სახლის უკანა კედელი, ფერდობზე ყოფილიყო მიბჯენილი. სახლის სახურავი დახრილი უნდა ყოფილიყო, რათა თოვლს დაცურების საშუალება ჰქონდა, ან უკანა კედელს, ზვავის მჭრელის ფუნქცია უნდა შეესრულებინა (ნახ. 10.1).

მოსახლეობა ზვავსაშიშროებას ითვალისწინებდა და მშენებლობისთვის, შედარებით უსაფრთხო ადგილებს ირჩევდა.

მათი საცხოვრებელი სახლები არაზვავსაშიშ, ქედების ციცა-ბო, თხემურ ნაწილზე ან ქედების ძირში მდებარეობდა, ასე-ვე ზვავებისგან თავდასაცავად, მიწურებსა და ფარდულებს იყენებდნენ.



ნახ. 10.1. საცხოვრებელი სახლების ზვავებისგან დაცვა ზვავებისგან დაცვის კაპიტალურ ღონისძიებას, საინჟინრო ნაგებობა წარმოადგენს, რომლის მიზანი ზვავის წარმოქმნისთვის ხელის შეშლა და ზვავსაშიში მონაკვეთის დაცვაა. პირველი ზვავსაწინააღმდეგო გალერეა, მე-18 საუკუნეში 1805 წელს, ალპებში სიმპლონის უღელტეხილზე, ნაპოლეონის ბრძანებით აიგო. გალერეა, რკინიგზისა და საავტომობილო გზის, ერთ-ერთი, საიმედო დაცვის საშუალებაა. ასეთი გალერეები გვხვდება ალპებში, ყირგიზეთში, კავკასიაში, საქართველოში (სურ. 10.2. იხ. დანართი).

1885 წელს პირველი ბეტონის კედელი, საქართველოს სამხედრო გზაზე, ზვავისგან („ბოდო“) დასაცავად აშენდა. ეს-აანეთის პირინეის მთებში, ზვავის მოძრაობის შეფერხებას, ზიგზაგისებრი მონაკვეთების შექმნით აღწევენ, ამისთვის მიზანმიმართულ აფეთქებებს მიმართავენ. ზვავსაწინააღმდეგო ნაგებობის სიმტკიცესა და საიმედოობას, თავად ზვავი განსაზღვრავს. ხიბინებში, ალპებში, იაპონიის მთებში ჩატარებულ ღონისძიებებში, გათვალისწინებულია ადგილობრივი პირობები და ზვავის ხასიათი.

ცხრილი 10.4. ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების სახეობა

№	ღონისძიების სახეობა	ღონისძიების გატარება
<b>I. პროფილაქტიკური</b>		
1	ზვავსაწინააღმდეგო სამსახურის ორგანიზება, პროგნოზი	ზვავების ჩამოსვლის დროული ინფორმირება
2	ზვავის ხელოვნურად გამოწვევა	თოვლის მდგრადობის საფუძველზე ზვავების ჩამოშვება აფეთქებით და სხვ.
<b>II. ზვავის ამაცილებელი სისტემები</b>		
1	თოვლშემაკავებელი ნაგებობა (დობე, კედელი, ფარი, სიდი, მაგოულხლართი). ფერდობის დატერასება-გატყიანება	ზვავის წარმოქმნის ზონაში თოვლის მდგრადობის მიღწევა.
2	თოვლშემაკავებელი ღობეები და ფარები	ზვავის წარმოქმნის ზონაში თოვლდაგროვების აცილება
<b>III. ზვავებისაგან დაცვა</b>		
1	მიმართულების შემცვლელი ნაგებობები; ხელოვნური ზვავსადენი, ზვავისმკრელი	ზვავის მიმართულების შეცვლა, ზვავსაშიში ობიექტის დაცვა
2	შემაჩერებელი, შემაფერხებელი ნაგებობები, დამბა, ბორცვი, ტრანშეა	ზვავის შეჩერება და მისი გადაადგილების შეფერხება
3	ზვავგამშვები ნაგებობები, ესტაკადა	ზვავის გაჩერება ობიექტის თავზე ან მათ ქვემოთ

მე-18 საუკუნიდან ფიქრობდნენ, თუ როგორ შეეკავებინათ თოვლი ფერდობზე. ზვავის მოწყვეტის ადგილას, ხდებოდა ბოძების ჩასმა. ეს მარტივი კონსტრუქციები – ღობეებს მოგვაგონებდნენ. ზვავსაშიში ფერდობის, ასეთი პირველი საინჟინრო განაშენიანება, 1868 წელს გრაუბიუდენში (შვეიცარია)


მოხდა. ჩვიდმეტ რიგად, აიგო 19 ქვის ღობე, რომლის ჯამური სიგრძე 412 მ-ს შეადგენდა. მას შემდეგ, ამ ფერდობზე ზვავი არ ჩამოსულა. დღეისთვის, ქვის ღობეები რკინა-ბეტონის, ხის, ალუმინის, ფოლადის, პლასტმასის მარტივმა კონსტუქციებმა შეცვალა. (სურ.10.3-10.4. იხ. დანართი).

თანამედროვე ზვავსაწინააღმდეგო ღობეების, ერთი მეტრის დორებულება, 500 ღოლარს შეადგენს.


მაგალითად, შვეიცარიის ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის, სენ-ანტონიონის 150 ადგილობრივი მოსახლის დასაცავად, ყოველწლიურად, მილიონ ხახვარი ღოლარია გამოყოფილი.

რიგ ქვეყნებში, ზვავის მიმართულების შემცვლელ დამბებს, მოძრავი ზვავის სიჩქარის შესასუსტებლად და შესაკავებლად აგებენ. ასეთი ნაგებობები, ბევრია ალპურ ქეყნებში. მაგალითად, ოლიმპიურ სოფელ ინსბრუკს, დიდი ზვავსაწინააღმდეგო დამბა იცავს.

ზვავის წარმოშობის ადგილებში, ტრაპეციის ფორმის, ან ჯვრის ფორმის, სპეციალურ ფარებს „კალკტაფელებს“ ათავსებენ. (ნახ. 10.5-10.6).




ნახ. 10.5. ტრაპეციის ფორმის „კალკტაფელი“



ნახ. 10.6. ჯვრის ფორმის „კალკტაფელი“

ასეთი ფარების საშუალებით, ქარის დროს ძლიერდება, თოვლის გადატანა სხვადასხვა მიმართულებით და 10 მ-ის დიამეტრის, უთოვლო მონაკვეთები წარმოიქმნება, რითაც ირღვევა თოვლის საფარის მთლიანობა.

ზვავებისგან დასაცავად, კომპლექსური დონისძიებებიც გამოიყენება (ნახ.10.7).



ნახ.10.7. ზვავებისგან დაცვის კომპლექსური სისტემა

1.მიმართულების შემცვლელი დამბა; 2. შემაფერხებელი ბორცვები და ზვავშემაკავებელი დამბა; 3. ზვავსაწინააღმდეგო გალერეა; 4. თოვლშემაკავებელი ნაგებობა

ზვავის მიმართულების შეცვლა, ხელოვნური ზვავსადენის გაყვანითაც არის შესაძლებელი. ერთ-ერთ მაგალითად, განვიხილავთ სოფ. ღურგას (აჭარა, ხულოს რაიონი), სადაც 1971 წელს ჩამოსულმა ზვავმა, დაანგრია საცხოვრებელი სახლები და 22 ადამიანი იმსხვერპლა. ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ, ადგილობრივი მიკრორელიეფის, ზვავშემკრებების მორფომეტრიული და დინამიკური მახასიათებლების დადგენის საფუძველზე, 1984 წელს შემუშავდა, სოფლის დაცვის ზვავსაწინააღმდეგო დონისძიება (სურ. 10.8. იხ. დანართი).

დამრეც ფერდობზე, სადაც ხდებოდა ზვავის გაშლა, აშენდა ზვავის მიმართულების შემცვლელი ორი დამბა. 7 მეტრი სიმაღლისა და 50-55 მეტრი სიგრძის, პირველი დამბის დანიშნულებას, ზვავის სიჩქარისა და დარტყმის ძალის შემცირება, ნაწილობრივ კი, მიმართულების შეცვლა წარმოადგნდა, ხოლო მეორე დამბის (სიმაღლე 10მ, სიგრძე 190-200მ) დანიშნულებას, უშუალოდ – ზვავის მიმართულების შეცვლა. მეორე დამბის გასწვრივ, ხელოვნური ზვავსადენი გაიყვანეს. ამ დონისძიების გარდა, გაითვალისწინეს ისიც, რომ ჰერიმაღარდოს ფერდობზე, სადაც ეს სოფელი არის გაშენებული, აუცილებელი იყო უტყეო მონაკვეთების, წიწვოვანი ჯიშის ხეებით გატყიანება და არსებული ტყის გაჩეხვის აკრძალვა. ამ დონისძიებების შემდეგ, სოფლისთვის ზვავს ზარალი, აღარ მიუყენებია.

ზვავის მიმართულების შეცვლის, სხვა მაგალითების მოყვანაც შეგვიძლია. მაგალითად, ლენტების რაიონის სოფ. ჩუკულში, სპეციალისტების რჩევით მოხდა, კლდოვანი ამაღლების გაჭრა და იქ, ზვავის გაშვება, რითაც უზრუნველყოფილი იყო მოსახლეობის დაცვა ზვავებისგან.

საქართველოს სამხედრო გზის საუღელტეხილო მონაკვეთზე, კულაგინის ხიდის ზვავისგან დასაცავად, გაპეოდა ზვავის მიმართულების შემცვლელი მიწაყრილი.

ზვავის ობიექტის თავზე, გამშვები ნაგებობები სხვადასხვა კონსტრუქციის გალერეებსა და გვირაბებს წარმოადგენენ და ძირითადად, რკინიგზებისა და საავტომობილო გზების ზვა-

გებისგან დასაცავად გამოიყენება. ასეთი გალერეები, საქართველოს სამხედრო გზასა და ბზიფი-რიწის საავტომობილო გზაზე აშენებული. ზუგდიდი საავტომობილო გზის, ჯვარისაიშის მონაკვეთზე, გვირაბი შვიდი ზვავის პერის ქვეშ გაიყვანეს, თუმცა ამ გზაზე რჩება ისეთი ზვავშემკრებები, რომლებიც საჭიროებენ ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობას.

ესტაკადები და ხიდები, ისეთი გაანგარიშებით უნდა აშენდეს, რომ ზვავმა მათ ქვემოთ გაიაროს და თავად, ნაგებობა არ დააზიანოს. ამის მაგალითია, ჯვარი-ხაიშის საავტომობილო გზის ერთ-ერთ ხევზე, რომელიც იმავდროულად ზვავსადენსაც წარმოადგენს, აშენებული ხიდი, რომლის სიმაღლე სჭარბობს ზვავის სიმაღლეს და შესაბამისად, ეს ზვავი საფრთხეს ადარ წარმოადგენს ხიდზე მოძრავი ტრანსპორტისთვის.

ზვავების წინააღმდეგ ბრძოლის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას, ზვავსაშიში ფერდობების გატყიანება ან მის ბუნებრივ საზღვრებში, ტყის აღდგენა წარმოადგენს. მიზანშეწონილია, გატყიანება აღგილობრივი ჯიშის ხეებით, ხოლო ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების დროს, გატყიანება წიწვოვანი ჯიშის ხეებით უნდა ხდებოდეს. ტყის ჭრა, ისე უნდა მოხდეს, რომ ხელს უწყობდეს ტყის ბუნებრივ განახლებას. შესაძლებელი და აუცილებელია ტყის განახლება, ხელოვნური დარგითაც. ტყის არასწორი ექსპლუატაცია და ამ ბოლო წლებში, ტყის მასივებში გაჩენილი ხანძრები იწვევს, ზვავის ახალი კერების გაჩენას, რაც თავისთვად ზრდის ზვავსაშიშორებას.

საქართველოს მთიანი რეგიონების მოსახლეობა, ტყის საფარს – ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებად მიიჩნევს.

კატასტროფული ზვავების მასიური ჩამოსვლის შემდეგ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ განსაკუთრებით ძლიერი ზვავსაშიშორების რაიონშიც კი, ხშირი, წიწვოვანი ან შერეული ტყით დაფარულ ციცაბო ფერდობებზე, არცერთი ზვავი არ წარმოქმნილა.

ზვაგსაშიშროების უგულებელყოფის, ნათელ მაგალითს წარმოადგენს, ლებარდეში საკურორტო შენობის აგება. მშენებლობა გათვალისწინებული იყო, იმ ხევის ძირში, რომელსაც „ზვაგის დელე“ ეწოდება. პიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა ვ. ცომაიამ, კ. აბდუშელიშვილმა, ლ. ქალდანმა, შეისწავლეს კურორტ ლებარდეს ზვაგსაშიშროება და შეიმუშავეს, მისი ზვაგებისგან დაცვის ღონისძიებები [41], რაც ითვალისწინებდა „ზვაგის დელის“ ზვაგის დამშლელ, დამამუხრუჭებულებელ და საკურორტო შენობამდე, გამაჩქრებელ ნაგებობათა კომპლექსის აშენებით, კურორტ ლებარდეს დაცვას. სამწუხაროდ, დამპროექტებლებმა და მშენებლებმა, არ გაითვალისწინეს მკვლევარების მიერ შედგენილი დასკვნა და გააგრძელეს მშენებლობა, რასაც საჭალალო შედეგი მოჰყება. ზვაგის ჩამოსვლის შედეგად დაიჩრა, როგორც აშენებული, ისე მშენებარე საკურორტო შენობის, უმეტესი ნაწილი. ეს მაგალითი, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მთიანი რეგიონების ათვისებისას, აუცილებელია ზვაგსაშიშროების გათვალისწინება.

ზვაგებისგან დასაცავად აუცილებელია, როგორც აქტიური (ზვაგებთან ბრძოლა), ისე პასიური (ზვაგებისგან დაცვა) ზვაგსაშინააღმდეგო მეთოდების გამოყენება.

აქტიურ ღონისძიებებს მიეკუთვნება, თოვლის საფარზე ზემოქმედების თანამედროვე სისტემის GAZEX, AVALANCHE (პნევმატური ქვემენი) და DAISYBELL კომპლექსების გამოყენება. (სურ 10.9 - 10.12. იხ. დანართი).

1989 წელს, ფრანგულმა ფირმამ 15 წლიანი ექსპერიმენტის ჩატარების შემდეგ, დააპატენტა GAZEX სისტემა, რომლის დახმარებით ქანგბადისა და პროპანის ნარევის საშუალებით, ხდება ზვაგის ხელოვნურად გამოწვევა. ასეთი სისტემა, მსოფლიოში გამოიყენება, როგორც ზამთრის კურორტების, ასევე გზების, გვირაბებისა და საცხოვრებელი კომპლექსების დასაცავად.

2002 წელს ასეთი სისტემა გამოიყენება, რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარის „კრასნაია პოლიანასა“ და კურორტ „როზა ხუბორის“ დასაცავად.

აღნიშნულ სისტემას, სამმაგი მოქმედება გააჩნია:

1. იწვევს თოვლის მასის რდევევას, გაზების წყის შედეგად;
2. იწვევს, თოვლის საფარის გამკვრივებას;
3. სეისმური ტალღა, რომელიც სისტემის ამოქმედებისას წარმოიქმნება, იწვევს თოვლის მასის ჩამოშლას.

სისტემა შედგება ორი ნაწლისგან: SHELTER მართვის პუნქტისგან, სადაც უანგბადისა და პროპანის რეზერვუარი, ელექტრონული მართვის სისტემა, რადიოსიგნალების მიმღები მოწყობილობა, თოვლის საფარის პარამეტრების განმსაზღვრელი ხელსაწყო (სურათის მარჯვენა ნაწილი) და აქტიური ზემოქმედების, რამდენიმე EXPLoder დანადგარია მოთავსებული. ნახაზზე გამოსახული, ერთი ასეთი რეზერვუარი, მომსახურებას უწევს 5 EXPLoder-ს (სურათის მარცხენა ნაწილი). ეს აქტიური ზემოქმედების დანადგარი, წარმოადგენს მეტალის მილს, რომელიც თავსდება ზვავშემქრებში და რომელთანაც მიერთებულია გაზგამტარი მილები. თავად მილები, ძირითად პუნქტში განთავსებულ რეზერვუართან არის მიერთებული. EXPLoder-ის შიგნით, ხდება უანგბადისა და პროპანის (1:6 წილით) შეერთება. ეს სისტემა მუშაობს, ზამთრის მთელი სეზონის განმავლობაში, ნებისმიერი ამინდის პირობებში და ზვავების გამოწვევა შეუძლია მანამ, სანამ ზვავი მიაღწევს დამანგრეველ მასასა და ძალას. მაგ. პურორტ „როზა ხუტორში“, ცირკში განთავსებულია 34 EXPLoder დანადგარი (სურ. 10.10. იხდანართი).

თანამედროვე ზემოქმედების სახეობას წარმოადგენს, პნევმატური ქვემეხი AVALANCHE, რომელმაც საარტილერიო იარაღი შეცვალა. ჭურვი-რაკეტა სპეციალური თხევადი (უსაფრთხო) კომპონენტებისა და დეტონატორისგან შედგება. ქვემეხი შეიძლება განთავსდეს, როგორც სტაციონარულად, ერთ გარკვეულ ადგილზე, ისე შესაძლებელია, მისი გადატანა მუხლუხიანი ტრანსპორტით. მისი გასროლის DAISYBELL (ე.წ. „ზარი“) ზვავებზე აქტიური ზემოქმედების, მესამე უახლესი ტექნოლოგიაა, რომელიც, ძნელადმისაწვდომი ზვავშემქრებების ცალკეულ უბნებზე, ზემოქმედების შესაძლებლობას იძლევა. სისტემა წარმოადგენს, მეტალის კონუსს სპეცი-

ალური მოწყობილობით, რომელიც ტროსით არის მიმაგრებული კერტმფრენზე. DAISYBELL-ის მუშაობის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ დისტანციური ინიცირებით ხდება, მეტადის კონუსში მოთავსებული ჟანგბადისა და წყალბადის ნარევის აფეთქება. კონუსი დამზადებულია, მაღალი მდგრადობის ფოლადისგან, რაც საშუალებას იძლევა, დაიკავოს გაზების ნარევი აალებამდე და მიმართოს თოვლის საფარის-კენ ასაფეთქებლად. (ნახ. 10.12. იხ.დანართი).

DAISYBELL-ის ექსპლუატაცია დამოკიდებულია ფრენის პირობებზე. მისი გამოყენება, შესაძლებელია მხოლოდ დღის საათებში, კარგი ხილვადობის პირობებში და მიჩნეულია, რომ ეს წარმოადგენს ამ სისტემის ნაკლს.

გარდა, ზემოქმედების აღნიშნული სისტემებისა, ზვავებთან საბრძოლველად, ამჟამად, სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენება, შემდეგი ტიპის ზვავსაწინააღმდეგო რაკეტები:

1. ПРЛ – 2,5 Н, კალიბრი 60 მმ, სიგრძე – არაუმტეს 850 მმ, მასა – 3 კგ, მოქმედების რადიუსი – 2500 მ.

2. „КИЗИЛ –Т“ რეაქტიულ ზვავსაწინააღმდეგო კომპლექსს, გააჩნია 650-7000 მ-მდე გასროლის სიშორე. გამოიყენება, ძნელად მისაწვდომ რაიონებში. მისი დანიშნულების ადგილზე გადატანა, ხორციელდება კერტმფრენით ან ავტოტრანსპორტით, შესაბამისი უსაფრთხოების ტექნიკის დაცვით.

კომპლექსი შედგება: 80 მმ-იანი С-8 სისტემის რაკეტების, გამშვები პულტის მქონე, მრავალლულიანი დანადგარის, МК – 52 ტიპის მიკროკალკურატორისა და ლაზერული სამიზნებელი – მანძილმზომისგან. მისი ტექნიკური მახასიათებლებია: კალიბრი – 80მმ, გასროლის მაქსიმალური მანძილი 7000 მ, მინიმალური – 650 მ; რაკეტის მასა 11,6 კგ. გამშვები დანადგარის ПУ მიმართულების რაოდენობა, არის 5, მასა – არაუმტეს 150 კგ, ხოლო საველე მდგომარეობიდან, საბრძოლო მდგომარეობაში გადასვლის დრო – 8-10 წთ.

## ლიტერატურა

1. ც.ბასილაშვილი, მ.სალუქვაძე, გ.ხერხეულიძე, ვ.ცომაია. კატასტროფული წყალდიდობები, ღვარცოფები და თოვლის ზვავები საქართველოში და მათი უსაფრთხოება. საქ. ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი, 2012.
2. მ.სალუქვაძე. ზემო სვანეთის ზვავსაშიშროება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2011.
3. მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, გ.ჯინჭარაძე. მესტიის რაიონის ზვავსაშიშროება. პიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები (საერთაშორისო კონფერენციის მასალები). თბილისი, 2011.
4. მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, გ.ჯინჭარაძე. კატასტროფული ზვავების ფორმირების თავისებურებანი საქართველოს ტერიტორიაზე. საერთაშორისო კონფერენციის „გარემო და გლობალური დათბობა“ მასალები № 3(82). თბილისი, 2011.
5. მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, გ.ჯინჭარაძე. ზვავსაშიში დასახლებული პუნქტები საქართველოში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის შრომები. თბილისი, 2012.
6. მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, გ.ჯინჭარაძე. ზვავსაშიში და პოტენციურად ზვავსაშიში დასახლებული პუნქტები საქართველოში. საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის საერთაშორისო კონფერენცია პიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები თბილისი, 28-30 მაისი, 2013.
7. მ.სალუქვაძე, ნ. კობახიძე. ტექნიკური საფარის როლი თოვლის ზვავების ფორმირებაშისაქ. ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული №121 „პიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები“. თბილისი, 2015.
8. გ. სვანიძე, ლ. ქალდანი, მ.სალუქვაძე, ვ.ცომაია. საქართველოს ტერიტორიაზე საშიში პიდრომეტეოროლოგიური და გლაციოლოგიური მოვლენები და მათგან დაცვის

- დონისძიებები. პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, გ.101, 1998.
9. გ.სულაქველიძე. თოვლის ზვავები კავკასიონზე. თბ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1952.
  10. სულხან-საბა თრბელიანი. ლექსიკონი ქართული. წიგნი I, თბილისი, „მერანი“, 1991, 308-310.
  11. ლ. ქალდანი. ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობის ცვლილება საქართველოს ტერიტორიაზე. „მეცნიერება და ტექნიკა“, № 7-9, 1999.
  12. ლ.ქალდანი. საქართველოს ტერიტორიის დარაიონება ზვავსაშიშროების ხარისხის მიხედვით. წგნ.: „აგრარული მეცნიერების პრობლემები.“ თბილისი-ბაქო, 2000.
  13. ლ.ქალდანი. საქართველოს ტერიტორიის ზვავაქტიურობა. პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, გ.106, 2001.
  14. ლ.ქალდანი. ზვავშემკრებების და ზვავების მახასიათებლები საქართველოს ტერიტორიაზე. კავკასიის გეოგრაფიული ჟურნალი 32, თბ., 2003.
  15. ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე. კატასტროფული ზვავების მასიური ჩამოსვლის წინასწარმეტყველება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესიის „გარემო და სტიქიურ-დამაგრეველი პროცესები“ მასალები, თბ., 1994.
  16. ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე. კატასტროფული ზვავების გავრცელების თავისებურებები საქართველოს ტერიტორიაზე. თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დაარსების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი მეოთხე რესპუბლიკური კონფერენციის მასალები. თბ., 1994.
  17. ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე, ი.სულაქველიძე. კატასტროფული ზვავების ჩამოსვლის პროგნოზის დაზუსტება. საქართველოს პიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს მონიტორინგის მთავარი სამმართველოს ინფორმაციული წერილი №1(132), თბ.1992.
  18. ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე ზვავსაშიშროების გავრცელების სიხშირე საქართველოს ტერიტორიაზე. პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, გ.106, თბ., 2001.


19. ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე. საქართველოს ტერიტორიის დარაიონება თოვლიანობის მიხედვით. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ.106, თბ., 2001.
20. ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე. კურორტ ბახმაროს ზვავსა-შიშროება. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ.100, თბ., 1996.
21. ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე. თოვლის ზვავები. საქოს პავა. აჭარა, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ.110, თბ., 2003.
22. ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე. თოვლის ზვავები. საქოს პავა, აფხაზეთი. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ.112, თბ., 2006.
23. ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე. თოვლის ზვავები. საქართველოს პავა, სამეცნიერო-ზემო სეანეთი. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები. ტ.113, თბ., 2010.
24. ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე. თოვლის ზვავები. საქოს პავა, გურია. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები. ტ.119, თბ., 2011.
25. ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე. თოვლის ზვავები საქართველოში. საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 117. თბ., 2011.
26. ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე. „საქართველოს ზვავსაშიშროების რუკა“. საქართველოს ბუნებრივი სტიქიური მოვლენების საფრთხეები და რისკები. CENN/ITC. თბ., საქართველო, 2012.
27. ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე. „საქართველოს თოვლიანობის და ზვავსაშიშროების ცხრა რუკა“. საქართველოს ეროვნული ატლასი. თბილისი, 2012.
28. ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე. „საქართველოს ზვავსაშიშროების რუკა“. საქართველოს კლიმატური და აგროკლიმატური რუკების ატლასი. საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, თბ., 2012.
29. ვ.ცომაია. „თეთრი ფათერაპი“. წგნ.: „მეცნიერება სოფელს“, თბ., 1970.

- 30.თ.ცინცაძე, ბ. ბერიტაშვილი, ნ. კაპანაძე, მ.სალუქვაძე. საქ-  
ართველოში სეტყვასთან და ოვლის ზღვებთან ბრძო-  
ლის სამუშაოთა განახლების საკითხისათვის. საქ. ტექნი-  
კური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი,  
2013.
- 31.Абдушелишвили К.Л.,Калдани Л.А, Салуквадзе М.Е. Катастро-  
фические лавины на территории Грузии. Тр. ЗакНИГМИ,вып.  
68(74). М., 1979.
- 32.Абдушелишвили К.Л.,Калдани Л.А, Салуквадзе М.Е. О соде-  
ржании кадастра лавин Закавказья и Дагестана.Тр.ВГИ,вып.46.  
Л., 1980.
- 33.Абдушелишвили К.Л.,Калдани Л.А, Салуквадзе М.Е. Особен-  
ности дифференциации лавин по высотным зонам на территории  
Грузии. Тр. ЗакНИГМИ,вып. 77(83). М., 1982.
- 34.Абдушелишвили К.Л.,Калдани Л.А, Салуквадзе М.Е.Кадастр  
лавин СССР, Том 9, Закавказье и Дагестан. Л.,Гидрометеоиздат,  
1984.
- 35.Абдушелишвили К.Л., Калдани Л.А., Салуквадзе М.Е.  
Лавиноопасные районы Кавказа. Тр.ЗакНИГМИ, 1988, вып.88  
(95).
- 36.Абдушелишвили К.Л., Карташова М.П., Салуквадзе М.Е. Мето-  
ды прогноза снежных лавин свежевыпавшего снега в горах За-  
кавказья. Тр.Всесоюзного совещания по лавинам. М., 1987.
- 37.Абдушелишвили К.Л., Калдани Л.А., Салуквадзе М.Е., Цомая  
В.Ш. Снеголавинный режим Кавказских перевальных дорог и  
картирование лавинной опасности. Тр.3-го Всесоюзного  
совещания по лавинам. 1989.
- 38.Абдушелишвили К.Л., Калдани Л.А. Степень лавиноактивности  
и факторы лавинообразования. Повторяемость и объем лавин  
(Кавказ). Атлас снежно-ледовых ресурсов Мира. М., 1997.
- 39.Акифьева К.В. Лавинная опасность Западного и Центрального  
Кавказа по материалам дешифрирования аэрофотоснимков.  
Тр.ЗакНИГМИ, вып.58(64), 1974.
- 40.Аккуратов В.Н. Активное воздействие на снежный покров в  
целях устранения лавинной опасности. В кн.Снег и лавины  
Хибин. М. 1967.


- 41.Балабуев А.Г., Сулаквелидзе Г.К. Методы лавинограмм. Тр. института геофизики АН Груз.ССР. Т.ХIII,1953.
- 42.Гонгадзе Д.Н., Папинашвили Л.К. Расчет удара снежной лавины о неподвижное препятствие. Сообщение АН Груз.ССР. Т.16.вып.6. 1955.
- 43.Гляциологический словарь (под редакции В.М. Котлякова). Л., Гидрометеоиздат, 1984.
- 44.Залиханов М.Ч. Распределение лавин на Большом Кавказе. Тр.ВГИ, вып.30, 1975.
- 45.Кавказский календарь, Тифлис,1851.
- 46.Калдани Л.А. Районирование территории по степени лавинной опасности. Тр.ЗакНИГМИ,вып.77(83), 1982.М
- 47.Калдани Л.А.,Салуквадзе М.Е.,Джинчарадзе Г.А. Противолавинные мероприятия. Кавказский географический журнал №5.Тб., 2005.
- 48.Калдани Л.А.,Салуквадзе М.Е., Симония Т.К.,Джинчарадзе Г.А.Методы прогноза снежных лавин. Кавказский географический журнал № 6. Тб., 2006.
- 49.Лосев К.С. Лавины СССР. Л., Гидрометеоиздат. 1966.
- 50.Напетваридзе Е.А., Папинашвили К.И. Синоптическая характеристика центральной части Главного Кавказского хребта.Метеорология и гидрология №10-11, М.. 1939.
- 51.Отуотер М. Охотники за лавинами. М., Изд – во Мир, 1972.
- 52.Салуквадзе М.Е. Распределение снежного покрова и лавин на территории Верхней Сванетии. Тр.молодых ученых ТГУ, т. 6. Тб., 1977.
- 53.Сесиашвили Л.Д. К вопросу об уплотнении снежного покрова. Тр.ЗакНИГМИ вып. 77(83).
- 54.Указания по расчету снеголавинной нагрузки при проектировании. М., Гидрометеоиздат. 1973.
- 55.Фляиг Вальтер. Внимание лавины. М..Из-во иностранной литературы. 1960.
- 56.Цомая В.Ш.,Абдушелишвили К.Л. Лавиноопасные районы Закавказья и Дагестанской АССР. Тр.ЗакНИГМИ, вып.30(36), 1968.

- 57.Цомая В.Ш. Прогноз схода лавин свежевыпавшего снега на основе учета снегонакопления на склонах. Тр.ЗакНИГМИ. вып 6&4).1979.
- 58.Цомая В.Ш. Характеристика твердых осадков и распределение их на территории Кавказа.Тр.ЗакНИГМИ,вып.68(74).1979.
- 59.Цомая В.Ш., Абдушишвили К.Л. Калдани Л.А. Лотковая лавина Звавского ущелья в районе курорта Лебарде и борьба с ней. Тр.ЗакНИГМИ, вып 45(51),1970.
- 60.Эбралидзе З.Н. Определение максимальной дальностей выброса лавин. Вестник МГУ, сер.География №4, 1989.
- 61.Kaldani L.A.,Salalanshezoning of South Caucasus. Atlas of GIS – based maps of natural disaster hazards for the Southern Caucasus. 2nd Edition -2007.
- 62.Kaldani L.A.,Salalanshezoning of mult i- plenailshesintet fot Georgia. Natural Hazards - national Soriety for the prevention and mitigation of natural Hazards. issn 0921-03Nat Hazards 10.100 rs/11069 -012 0374-3. 38


დანართი




### ნახ.1.1. სისტემატიკური და სპორადული ზვავები საქართველოში




### ნახ.2.1. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე




ნახ.2.2. თოვლის საფარის საშუალო სიმაღლე




ნახ. 2.3. თოვლის საფარის მინიმალური სიმაღლე




ნახ. 5.1. ზვაგსაშიში და პოტენციურად ზვაგსაშიში  
დასახლებული პუნქტები




ნახ.7.1.1. საქართველოს ზვაგაქტიურობის რუკა




### ნახ.7.2.1. ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე




### ნახ.7.3.1. ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე საქართველოში



**ნახ.7.4.1. ზეგავსაშიში პერიოდის მაქსიმალური  
ხანგრძლივობა საქართველოში**



**ნახ. 9.1. განსაკუთრებით ძლიერი, ძლიერი, საშუალო,  
სუსტი და არაზეგავსაშიში რაიონები საქართველოში**



სურ. 10.2. ზვავსაწინააღმდეგო გაღლერეა საქართველოს  
სამხედრო გზაზე



სურ.10.3. ზვავის შემაკავებელი პლასტმასის ბადე




სურ. 10.4. ზვავის შემაკავებელი ალუმინის ბადე



სურ. 10.8. სელოვნური ზვავსადენი



სურ. 10.9. ზეავსააწინააღმდეგო სისტემა GAZEX



სურ.10.10. კურორტი „როზა ხუტორში“ განთავსებული EXPLODER-ები



სურ. 10.11. პნევმატური ქვემეხი AVALAUNCH.



სურ. 10.12. ზვავშემკრებზე DAISYBELL სისტემით  
ზემოქმედება.